ყველაფერზე წამსვლელი კანცელარია A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 5 ნოემბერი, 2003 წელი. №289 (501)

ფასი 50 თეთრი

არჩევანის დასათვალ

... დღეს, 12 საათზე, ფილარმონიაში.

ქართველმა ხალხმა იცის, რა არის დემოკრატია

და ის დაიცავს მას

ეკა კვესიტაძე

ნოემბრის თვე შევარდნაძისთვის თანდათან საკრალურ ხასიათს იძენს. ორი წლის წინ "რუსთავი 2"-ის დასაცავად გამართული დემონსტრაციები უახლოეს ისტორიაში უკვე შევიდა "ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის" სახელით. მაშინ ქუჩაში გამოსულმა ათასობით ადამიანმა აიძულა პრეზიდენტი, რომ საყვარელ მინისტრებს შელეოდა. თუმცა, დემონსტრაციის პირველ დღეს შევარდნაძე დაჟინებით იმეორებდა, რომ თუ ისინი გადადგებოდნენ, მას არ ჰქონდა მორალური უფლება, თავის თანამდებობაზე დარჩენილიყო. მაშინ შევარდნაძემ სიტყვა არ შეასრულა და თარგამაძეს, ჩხარტიშვილსა და მეფარიშვილს უკან არ მიჰყვა.

გუშინ პრეზიდენტი ისევ ისეთი არაადეკვატური იყო თავის შეფასებებში, როგორც ორი წლის წინ. შევარდნაძე გუშინ აცხადებდა, რომ საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა და რომ პროსახელისუფლებო ბლოკი სამართლიანად იგებს, რადგან მას, როგორც ამ ბლოკის ლიდერს, მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერა აქვს.

არის რაღაცეები, რაზეც კომენტარის გაკეთება აშკარად ზედმეტია. უბრალოდ იმისათვის, რათა შევარდნაძემ დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ ვცდებით, შეკრიბოს თავისი მომხრეები და, ბოლოს და ბოლოს, დაგვანახოს ამომრჩეველთა ის 25 პროცენტი, რომელიც მას და მის ბლოკს უჭერს მხარს. ვახტანგ რჩეულიშვილმაც გვაჩვენოს ის 15 ათასი თბილისელი სოციალისტი, რომელთა მხარდაჭერითაც მისი პარტია სარგებლობს. ცოცხალ ქართველებს შორის ასეთების პოვნა, ჯერჯერობით, ყველას გაუჭირდა და ხელისუფლება დაგვავალებს, თუ ამ ადამიანების არსებობაში ერთხელ და სამუდამოდ დაგვარწმუნებს.

"თუ ხალხი მოითხოვს ჩემს წასვლას, მაშინ მე წავალ," – გუშინ ეს ფრაზაც თქვა პრეზიდენტმა. ხალხი დიდი ხანია ითხოვს შევარდნაძის წასვლას, დიდი ხანია ითხოვს კორუმპირებული ჩინოვნიკების დაჭერას, რეფორმების გატარებას, ნორმალური ცხოვრების უფლებას, მაგრამ პრეზიდენტს, უკვე დიდი ხანია, ხალხის ხმა აღარ ესმის. შევარდნაძე დიდი ხანია რეალური ცხოვრების მიღმა დარჩა და, როგორც ჩანს, იქ სამუდამოდ აპირებს ჩარჩენას. მაგრამ, დღეს მას მოუწევს, რომ ქუჩაში გამოსულ ადამიანებს მოუსმინოს და რეალობას ერთხელ მაინც გაუსწოროს თვალი. დღეს მას მოუწევს, ან ხალხის ხმა შეისმინოს, ან ისევ ირეალურ სამყაროში დარჩეს და ბრძანება გასცეს, რომ ეს ხმა სპეცრაზმელებმა ჩაახშონ.

გუშინ სპეცრაზმის მობილიზება ხელისუფლებამ უკვე დაიწყო და ქუჩებში რკინისფარებიანი პოლიციელები გამოიყვანა. მაგრამ, ტელევიზიით ნაჩვენები კადრებიდან კარგად ჩანდა, რომ ამ რკინის ფარების უკან დამფრთხალი სახეები იმალება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ერთად – ხელისუფლების ძალადობის წინააღმდეგ

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლების მცდელობამ, არჩევნების გაყალბების გზით შეინარჩუნოს ძალაუფლება, ოპოზიცია გააერთიანა და ქუჩაში გამოიყვანა. გუშინ, დღის მეორე ნახევარში თბილისის ცენტრს, ფილარმონიიდან - თავისუფლების მოედნამდე, მანიფესტაციებისა და მიტინგების ტალღამ გადაუარა.

"თუ ედუარდ შევარდნაძეს უნდა რევოლუცია, იგი მიიღებს რევოლუციას", - აფრთხილებს მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტს და მას ულტიმატუმს უყენებს. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტის შექმნის ინიციატივით გამოდის, პრეზიდენტს სთავაზობს, რომ მან დღეს, 12 საათამდე, აღიაროს 2 ნოემბრის არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ულტიმატუმის ვადის გასვლის შემდეგ, სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიის წინ, პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, გრანდიოზული მიტინგის ჩატარებით იმუქრება.

თავისუფლების მოედანზე გუშინ გამართულ ხალხმრავალ საპროტესტო აქციაში ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ "ნაციონალური მოძრაობის", ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" და "ერთობის" ლიდერები.

გაგრძელება A3 გვერდზე

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

სოფო ბუკია

"შეეგუოთ თუ ვიბრძოლოთ?"

"ვიბრძოლოთ!!!!!!!"

ზურაბ ჟვანიას მიერ დასმულ კითხვას ფილარმონიის გადაჭედილი საკონცერტო დარბაზი ერთსულოვნად გამოეხმაურა. გუშინ ის შემთხვევა გახლდათ, როცა ხალხმა თავად მოუწოდა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს რადიკალური ქმედებებისკენ: "ჩვენ თქვენთან ვართ, გაგვიძეხით წინ, დავიცვათ ჩვენი ხმები!"

"ქართველი ხალხი არ იყო ასეთი არჩევნების ღირსი," – გუშინ ქართველმა ამომრჩეველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უცხოელი დამკვირვებელი ნამდვილად არ ტყუოდა. ხალხი, რომელმაც არ დაიზარა და 2 ნოემბერს საარჩევნო უბნებთან წარმოქმნილ ხელოვნურ რიგებში იდგა, ხალხი, რომელიც საკუთარ გვარს სამ-სამჯერ ამოწმებდა საარჩევნო სიაში, ბოლოს კი მაინც უფლებააყრილი ბრუნდებოდა საარჩევნო უბნიდან, გუშინ ქუჩაში გამოვიდა. და ეს ვიღაცეებს გაუკვირდათ...

ხელისუფლების "საარჩევნო ბუღალტერიით" შეურაცხყოფილი ზურაბ ჟვანია გუშინ დღის სამ საათზე ტელევიზიით გამოდის და საკუთარ მხარდამჭერებს ფილარმონიასთან მოსვლას სთხოვს. ზუსტად საათნახევარში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფეხზე დასადგომ ადგილს ვერ იპოვიდით. დაახლოებით, ხუთი ათასამდე ადამიანი "ბურჯანაძე-დემოკრატებისგან" ქუჩაში გამოსვლას და საკუთარი არჩევანის დაცვას ითხოვდა.

"როგორ შეიძლება, ამას შევეგუოთ? ხედავთ, რა ხდება ქვეყანაზე? ეს ქვეყანა მართლა ჩაღით ხომ არ არის დახურული?" – ქართული ენის მასწავლებელი 48 წლის ნელი კაკაბაძე არც ერთ პარტიაში არ არის გაწევრიანებული, ფილარმონიაში იგი საკუთარი არჩევანის დასაცავად მოვიდა.

"იმიტომ მოვედი, რომ ძალიან მიყვარს ქალბატონი ნინო. ხელისუფლება მას ჩაგრავს, ეს არ უნდა დავუშვათ," – ამბობს გურამ ჯიქია.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერთა გამოჩენას დარბაზი ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით შეხვდა. ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე, აკაკი ასათიანი, ელდარ შენგელაია, გუბაზ სანიკიძე, დათო მაღრაძე ხალხს ტრიბუნიდან მიესალმნენ.

"დღეს ჩვენმა ხელისუფლებამ გაბედა და საქართველოს ათიათასობით მოქალაქეს ღიად გაწუცხადა: "შენი აზრი მე არ მომწონს და არ მაინტერესებს, ამიტომ შენ ვერ მიიღებ არჩევნებში მონაწილეობას". 56 ათასზე მეტი ამომრჩეველი, ჩვენი მომხრე, სიაში არ იყო შეტანილი...

გაგრძელება A2 გვერდზე

"დამკვირვებლებმა დაგმეს საქართველოში ჩატარებული არჩევნები"

დასავლური პრესა ქართულ არჩევნებზე

ზოთა უტიაშვილი

ასეთი სათაურით აქვეყნებს "ბი-ბი-სი" საქართველოს არჩევნებისადმი მიძღვნილ სტატიას. მსგავს ფრაზებს ხშირად შეხვდებით დასავლურ პრესაში ჩვენს არჩევნებთან დაკავშირებული მასალების კითხვისას. ამ თემას დასავლურმა პრესამ არცთუ დიდი ყურადღება დაუთმო, თუმცა, არჩევნების შეფასებისას დასავლელი ჟურნალისტების მოსაზრებები, თითქმის, ერთნაირია.

ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ არჩევნები ტარდებოდა შევარდნაძის მმართველობით მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილების ფონზე. "ოპოზიციის დამაჯერებელი შედეგი ადასტურებს, რომ მოსახლეობამ ზურგი შეაქცია პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომელსაც ქვეყანაში გამეფებულ სიღატაკესა და უმუშევრობაში ადანაშაულებს," – წერს "ბი-ბი-სი". "12-წლიანი მმართველობის შემდეგ, შევარდნაძემ ვერ შეძლო ვერც სტაბილურობისა და ვერც დემოკრატიის დამყარება. საქართველოში ის უაღრესად არაპოპულარულია, რადგან ვერ დაამარცხა კორუფცია და ვერ დაძლია სიღატაკე," – წერს "როიტერი". იგივეს იმეორებს ბრიტანული "გარდიანი": "მოსახლეობა უკმაყოფილოა პრეზიდენტ შევარდნაძით, რომელსაც იგი კორუფციაში ადანაშაულებს".

გაგრძელება A5 გვერდზე

"დიდი გარიგების" იურიდიული დასასრული

არჩევნების გაყალბებიდან ორი დღის შემდეგ თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია უკვე ოფიციალურად უკანონდება "რაო ეეს როსიის". დედაქალაქის ქურდულად გაყიდულ ელექტრომომარაგების სისტემას ძველი სახელი – "თელასი" უბრუნდება და მის სამეთვალყურეო საბჭოში ამერიკული კვალიც კი ქრება. "ეი-ი-ესელ" ჯიმ დოუკს, გარი ლევსლის, ჯოზეფ სლოუნსა და იგორ სერგეევს აქ "რაოელი" ანდრეი რაპაპორტი, იური შაროვი, დიმიტრი ვოლკოვი და ალექსეი ფედოტოვი ენაცვლებიან.

მაია ურუშაძე

ოთხი თვის წინ შემდგარი გარიგება გუშინ დაგვირგვინდა. თავისუფლების მოედანზე მიმდინარე მოვლენების პარალელურად, "თელასში" რუსული ენერგოგიგანტი ამერიკული კორპორაცია "ეი-ი-ეს სილკ როუდ ჰოლდინგ ბი.ვი"-სგან თელასის" აქციებს იბარებდა. ექვსკაციან სამეთვალყურეო საბჭოში "რაომ" ქართული მხარის ორი წარმომადგენელი – "თელასის" პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი და მერიის ენერგეტიკული სამსახურის უფროსი თემურ ჭინჭარაული დატოვა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ვინაობა 19 ნოემბერს, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე გაირკვევა. თავმჯდომარის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატი ანდრეი რაპაპორტია, ხოლო მის მოადგილედ, წინასწარი ინფორმაციით, თემურ ჭინჭარაულს ასახელებენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 არჩევნები A7 სამართალი A8 პროექტი

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ყველაფერზე წამსვლელი კანცელარია

რჩეულიშვილი - 9 აპრილი განმეორდება, სარიშვილი - ყველა დასაჭერია!

ბესო გულაშვილის ფოტო

კანცელარიის ფარი.

ცინიკური ღიმილი, პოლიციისა და შინაგანი ჯარების კორდონები, ოპოზიციის მიმართ მოწოდება კეთილგონიერებისკენ, სისხლისღვრით დაშინება, 2 ნოემბრის არჩევნების უპრეცედენტო სამართლიანობაზე საუბარი - ასეთი პასუხი დაახვედრა საქართველოს ხელისუფლებამ საზოგადოების მშვიდობიან, მაგრამ საკმაოდ ხმამაღალ პროტესტს... საქართველოს ხელისუფლება გუშინ შეუვალი და საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული გახლდათ, უკვე მიუღწევადი პიედესტალიდან ასწავლიდა ჭკუას ხმებწართმეულ ოპოზიციას.

თამარ ხორბალაძე

სახელისუფლებო ძალების "მობილიზება" სახელმწიფო კანცელარიაში საღამოს 6 საათის შემდეგ დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტმა ერთი საათით შეაყოვნა საკუთარ ოთახთან ევროსაბაჟოს დელეგაცია, რომელთან შეხვედრაც საღამოს 6 საათისთვის ჰქონდა დაგეგმილი და საგანგებოდ შეხვდა ძალოვანებს - უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას, შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს, გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს. სახელმწიფო კანცელარიაში ასევე გამოჩნდა კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონის ხელმძღვანელიც, რამაც კიდევ უფრო გაამყარა ეჭვები იმის შესახებ, რომ ხელისუფლება მომიტინგეების წინააღმდეგ ამ სპეცრაზმის გამოყენებას გეგმავდა.

პარალელურად, სახელმწიფო კანცელარიას ოთხი სატვირთო ავტომანქანით მოყვანილმა შინაგანი ჯარის ნაწილებმა და პოლიციამ შემოარტყა ალყა.

ხელისუფლება კანცელარიაში საკმაოდ კარგად "გამაგრებული" გახლდათ.

19 საათისთვის ძალოვანებმა საქართველოს პრეზიდენტისგან ავთანდილ ჯორბენაძესთან გადაინაცვლეს. კანცელარიაში გამოჩნდნენ სახელისუფლებო ძალის ლიდერებიც - ვახტანგ რჩეულიშვილი, ირინა სარიშვილი, ირაკლი ბათიაშვილი. უკვე ამ დროისთვის კანცელარიის პრეს-სამსახური ავრცელებს საქართველოს პრეზიდენტის მიმართვას ოპოზიციისადმი, სადაც ედუარდ შევარდნაძე ამბობს, რომ მას გადადგომა არ ესწავლება, მაგრამ:

"ისინი ჩემთან გაიზარდნენ და ძალიან კარგად მიცნობენ, ამიტომ ისიც იციან, რომ ამგვარი განცხადებებით ვერ შემაშინებენ," - ამბობს საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი და კიდევ ერთხელ იმეორებს:

"2 ნოემბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ქართული დემოკრატიის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისია და ის პირველია უკანასკნელი წლების განმავლობაში, რომელიც ყველაზე გამჭვირვალედ ჩატარდა. პირადად ვარ დაინტერესებული სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებით. შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიები შეიძლება იყოს, მაგრამ პარტიებმა უკმაყოფილების მიზეზი ჯერ ცესკო-ში უნდა გაარკვიონ, ხოლო შემდეგ - სასამართლოში"

საქართველოს პრეზიდენტი, თურმე, იმდენად დარწმუნებულია 2 ნოემბრის არჩევნების დემოკრატიულობაში, რომ თუ ვიღაც დამკვირვებელი რამეს იტყვის, ეს არ აინტერესებს.

რაც შეეხება ხალხის პროტესტს: **"აბსურდია იმის მტკიცება, რომ ვინც ბევრ ხალხს შეკრებს რუსთაველის გამზირზე, გამარჯვებული ისაა. პრეზიდენტსაც შეუძლია მოსახლეობის მოწოდება და შეკრება პრეზიდენტის სახსნელად, მაგრამ ეს აუცილებელი არაა, რადგან პრეზიდენტს ხსნა არ სჭირდება",** - ასეთია პასუხი ამ პროტესტზე.

ამ კომენტარის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო კანცელარია მალე დატოვა.

დახურული თათბირი სახელმწიფო მინისტრთან კიდევ რამდენიმე საათი გრძელდებოდა, შემდეგ ძალოვანი მინისტრები კანცელარიიდან "გაიპარნენ", რითიც ჟურნალისტთა კითხვებს თავი აარიდეს და პირდაპირ სახელმწიფო ტელევიზიაში ამოყვეს თავი, ისევე, როგორც სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ.

ჟურნალისტებისთვის კი კომენტარები სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა, ვახტანგ რჩეულიშვილმა, ირინა სარიშვილმა და ირაკლი ბათიაშვილმა "არ დაიშურეს":

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი აცხადებს, რომ **"ხელისუფლებას ოპოზიციასთან მოსალაპარაკებელი არაფერი აქვს და არც დესტაბილიზაციის საშიშროებას ხედავს. არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში. სისხლის დაღვრის მსურველებს ხელისუფლება წინ აღუდგება..."**

რჩეულიშვილს ქვეყანაში 1989 წლის 9 აპრილის განმეორების ეშინია.

მისი განცხადებით, **"ხელისუფლება მზად არის, ოპოზიციასთან დიალოგი გამართოს, რათა თავიდან იქნას აცილებული დესტაბილიზაცია და ვითარების უფრო გამწვავება. თუმცა, თუ მდგომარეობა უმართავი გახდა, მაშინ სამართალდამცველი ორგანოები ქმედით ღონისძიებებს გაატარებენ".**

რჩეულიშვილი მოსახლეობას მოუწოდებს, არ აყვნენ პროვოკაციას და არავითარ შემთხვევაში ქუჩაში არ გამოვიდნენ, განსაკუთრებით - არ გამოიყვანონ ქუჩაში და მიტინგზე ბავშვები (?!).

ყველას დაჭერა-დაპატიმრებას მოითხოვს ირინა სარიშვილი: **"თუ საქართველოს ხელისუფლებამ და სახელმწიფო სტრუქტურებმა პრინციპულობა არ გამოიჩინეს, ქვეყანაში "უმართავი ქაოსი" შეიქმნება. სამართალდამცველებმა სასწრაფოდ უნდა აღკვეთონ ეს აქცია, რადგან უშიშროების სამინისტრომ კარგად იცის, რომ აქციის ორგანიზატორები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებენ, რომლის მიზანს ქვეყანაში ქაოსის შექმნა წარმოადგენს,"** - ამბობს იგი.

ირაკლი ბათიაშვილი კი კეთილგონიერებისკენ მოუწოდებს ოპოზიციას.

ასეთი გახლდათ ხელისუფლება გუშინ. მიტინგის დაშლასთან ერთად, სახელმწიფო კანცელარიაც და მისი მისადგომებიც დაცარიელდა, თუმცა იმის შეგრძნება, რომ ამ შენობის და ამ ხელისუფლების შესანარჩუნებლად დღევანდელი მმართველი ძალები ყველაფერზე წავლენ, დარჩა...

ციფრული განხეთქილების ანარეკლი

გიორგი ასანიშვილი

"ციფრულ განხეთქილებაზე" საქართველოს პრეზიდენტი ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ ალაპარაკდა. ოპოზიციამ მაშინ ბევრი იქილიკა, ამ კაცს საქმე გამოლევიაო. დღეს უკვე ნათელია, რომ შევარდნაძე არ ტყუოდა - 2002 წლის ზაფხულში იგი, ეტყობა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებს ჭვრეტდა. მართლაც, თუ 2 ნოემბრის არჩევნების ოფიციალურ და რეალურ მონაცემებს შევადარებთ ერთმანეთს, ციფრული განხეთქილების არსებობაში ეჭვი აღარ შეგვეპარება - ცესკო-ს ოქმები სხვას ღაღადებენ, "სამართლიანი არჩევნებისა" და ხმების პარალელური დათვლის მონაცემები - სხვას. ამას ემატება კიდევ ერთი ციფრული განხეთქილება თავად ოპოზიციის რიგებში: მაშინ, როდესაც საერთო პლატფორმაზე დგებიან "ნაციონალები", "ბურჯანაძე-დემოკრატები" და "ერთობა", მათი, ერთი შეხედვით, ბუნებრივი მოკავშირე -"ახალი მემარჯვენეები" - განზე დგებიან. ასე რომ, ციფრული განხეთქილება სახეზეა. სწორედ მისი "მავნე შედეგების გამოსასწორებლად" შეხვდნენ ერთმანეთს გუშინ დედაქალაქის საკრებულოში "ნაციონალური მოძრაობისა" და ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერები. ამ ტანდემს, ოდნავ მოგვიანებით, პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" თავკაციც შეუერთდა.

მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ჯუმბერ პატიაშვილი ერსულოვანნი არიან იმაში, რომ დაუშვებელია, ხელისუფლებას 2 ნოემბრის არჩევნების სრული ფალსიფიცირების საშუალება მიეცეს. **"ნუ ჰგონია ხელისუფლებას, რომ ფაფის ჭამას ვაპირებთ,"** - აცხადებს სააკაშვილი, რომელიც იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ არჩევნების შედეგების გამყალბებლებს მკაცრი მეთოდებით შეებრძოლება.

ბესო გულაშვილის ფოტო

მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციას გაერთიანებისთვის ეპატიჟება.

არანაკლებ კატეგორიულია ნინო ბურჯანაძეც. **"თუ ხელისუფლება ისედაც გაყალბებულ ხმებს კიდევ უფრო გააყალბებს, არჩევნების შედეგებს ბოიკოტს გამოვუცხადებთ,"** - იმუქრება ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის ლიდერი.

ამასთან, იგი ილაშქრებს იმ "დისკუსიის" წინააღმდეგ, რომელიც არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო და "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიერ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა-არგადალახვას შეეხება. **"ეს პრობლემა საერთოდ არ დგას დღის წესრიგში. იგი ხელისუფლების მიერ არის ინსპირირებული. ჩვენ უკვე გვაქვს 183 ათასი ხმა, რაც ნებისმიერი დონის გაყალბების შემთხვევაშიც კი საკმარისია საარჩევნო ბარიერის გადასალახავად. დღეს რომ მოსახლეობის 14-15 პროცენტის მხარდაჭერა გაგვაჩნია, დოკუმენტურადაც შეგვიძლია დავადასტუროთ. ხელისუფლებამ ამ თემაზე იმიტომ დაიწყო საუბარი, რომ იფიქრა, შევშინდებოდით და მასთან კომპრომისზე წავიდოდით. ამის გაკეთებას კი ნამდვილად არ ვაპირებთ,"** - აღნიშნავს ბურჯანაძე.

თავის მხრივ, ჯუმბერ პატიაშვილიც ხაზგასმით საუბრობს, რომ **"2 ნოემბრის მსგავსი დანაშაულებრივი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა."** "ერთობის" ლიდერი მოითხოვს, რომ სახელისუფლებო ბლოკს არ მიეცეს თავისი ბნელი საქმეების ბოლომდე მიყვანის საშუალება.

სააკაშვილის, ბურჯანაძის და პატიაშვილის გუშინდელ შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც პოლიტიკოსებზე არანაკლებ აქტიურობდნენ. ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" დირექტორმა კახა ლომაიამ მოუწოდა ოპოზიციური ჯგუფების ლიდერებს, ცესკო-ს შენობის წინ დაიწყონ მასობრივი, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია მოთხოვნით: "ჩვენს არჩევანს არავის მოვაპარინებთ!"

ამ "იდეის" ხორცშესხმა გუშინვე მოხდა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ საპროტესტო აქცია ცესკო-სთან კი არა, საკრებულოს შენობის წინ ჩატარდა.

"ახლები" კურსს იცვლიან

ლელა მჭედლიძე

"ჩვენ დავიცავთ არა მხოლოდ ჩვენი ამომრჩევლების, არამედ სხვა პარტიების ინტერესებსაც," - "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის, დავით გამყრელიძის ამ განცხადებას წინ სხვა უძღოდა, კერძოდ ის, რომ "მემარჯვენეებს" შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის პრობლემა არა აქვთ. "ახალმა მემარჯვენე" გამყრელიძემ გუშინვე განმარტა, რომ სხვა პარტიების ("ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების") ინტერესების დაცვას მისი პარტია "ბარიკადებზე" არ აპირებს.

"მშვიდობიანი აქციის ჩატარების უფლება ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას აქვს... მაგრამ აქციაში მონაწილეობა ჩემთვის არავის შემოუთავაზებია, ასეთ შეტყობინებებს კი ტელევიზორით ნამდვილად არ უნდა ვიგებდე... ბოიკოტის გამოცხადება და მუშტების ქნევა ნაადრევია, რადგან ეს პროტესტი რეალურ, ოქმების შეჯამების შედეგებს უნდა ეყრდნობოდეს. ცენტრალური საარჩევნო კომისია არარეალურ შედეგებს არ გამოაქვეყნებს... აქციაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას კი, მხოლოდ მე კი არა, პარტიის პოლიტიკური საბჭო იღებს, რომლის შემადგენლობაშიც ყველა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე შედის..." - სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, "მემარჯვენეებს" თავდაჯერების საფუძველს მათ მიერ ჩატარებული სამუშაო აძლევს. გამყრელიძის განცხადებით, **"მართალია, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუ რა შედეგები აქვს მათ პარტიას აჭარაში"**, მაგრამ აქედან დიდ "მოსავალს" "ახლები" არც ელოდნენ. პარტიის ლიდერის გუშინდელი განცხადებით, პარტიის წევრები ყველა ოლქში მუშაობდნენ და საარჩევნო ოქმების შეჯამებას თვალყურს ადევნებენ....

"ახალი მემარჯვენეები" ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებზე გაბრაზებულების პოზაში აღმოჩნდნენ. პირველ რიგში, იმიტომ, რომ, როგორც თავად ამბობენ, ამომრჩეველთა სიების გამო წამოწყებულ კამპანიას "ნაციონალებმა", "დემოკრატებმა" და ა.შ. თავის დროზე მხარი არ დაუჭირეს. გარდა ამისა, გამყრელიძის განმარტებით, სააკაშვილი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, ვინც "ახალი მემარჯვენეების" მიერ საარჩევნო ბარიერს მიღმა აღმოჩენის შესაძლებლობაზე დაიწყო საუბარი. მიუხედავად ამისა, "მემარჯვენეთა" ლიდერი აღიარებს, რომ **" "ნაციონალურმა მოძარობამ" დიდ წარმატებას მიაღწია. საერთოდ, "ნაციონალური მოძრაობა" დეპუტატობის ბევრი მაჟორიტარი კანდიდატისათვის ერთგვარი "ლოკომოტივის" როლშიც კი აღმოჩნდა".**

რამდენად რეალურ ძალად მიიჩნევს გამყრელიძე ოპოზიციას ახალი მოწვევის პარლამენტში? - "მემარჯვენეების" კურსის ცვლილების სიმპტომები ამ კითხვის პასუხშიც გამოჩნდა. გაერთიანებული ოპოზიციის თუ ძალთა შესაძლო გადანაწილების შესახებ ლაპარაკის ნაცვლად, გამყრელიძემ იმ მიღწევებზე ამჯობინა საუბარი, რასაც "ახლების" ათკაციანმა ფრაქციამ ამ მოწვევის პარლამენტში მიაღწია - საკანონმდებლო ინიციატივების გატანით თუ "მოქალაქეთა კავშირის" დაშლაში შეტანილი თავისი წვლილით. **"მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა"**, - იმეორებდა გამყრელიძე. ახალი მოწვევის პარლამენტში კი "მემარჯვენეებს" უკვე 25-30 კაცის გაყვანის იმედი აქვთ.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აჭარაში გაემგზავრა ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც "ახლებთან" კარგი ურთიერთობითაა ცნობილი.

ორი სიტყვით

თბილისი. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან მოსალაპარაკებელი არაფერი აქვს და არც დესტაბილიზაციის საშიშროებას ხედავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი."დევნილთა სახალხო პარტიის" ლიდერი ბორის კაკუბავა აცხადებს, რომ "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერებს ცოტნე ბაკურიას, ჯემალ გოგიტიძეს, მერაბ რაფავას, როლანდ ნიჟარაძეს და თორნიკე ფიფიას დაგეგმილი აქვთ აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის იზოლაცია ბათუმში და "დაკ"-ის როგორც პარტიის გაუქმება.

ისინი დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ავთანდილ იოსელიანის დავალებით მოქმედებენ, განუცხადა პრაიმ-ნიუსს ბორის კაკუბავამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ მის საარჩევნო ბლოკს ათობით ათასი ამომრჩევლის ხმა წაართვა, რაც დაახლოებით 15 პროცენტის ფარგლებშია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" სპიკერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ოპოზიციის მხრიდან მოსალოდნელ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით პოლიციას წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებს. ამასთან, სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი საეჭვოდ მიიჩნევს 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ოპოზიციის გაერთიანების შესაძლებლობას ხელისუფლების წინააღმდეგ. **პრაიმ-ნიუსი**

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ბესო გულაშვილის ფოტო

"ბურჯანაძე-დემოკრატების" მსვლელობა მერიისკენ.

ვირველი გვერდიდან

დღეს ჩვენ მათი უფლება უნდა დავიცვათ. თუ თქვენ, ათასობით ქართველს, წაგართვეს არჩევნის უფლება, ჩვენ ბოიკოტს გამოვუცხადებთ ასეთ არჩევნებს, საერთოდ არ შევალთ ასეთ ვითომ პარლამენტში. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, თქვენთან ერთად, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად," – განუცხადა ჟვანიამ საკუთარ ამომრჩეველს.

განსაკუთრებული ოვაციით დარბაზი იმ ინფორმაციას შეხვდა, რომ "ბურჯანაძე-დემოკრატებთან" ერთად, ხელისუფლებისა და გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ ბრძოლას მიხეილ სააკაშვილიც აპირებს.

"ქალბატონი ნინო დღეს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. ისინი დღეს ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ. გპირდებით, ჩვენ, მოწინავე, ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალები მართლა ჩავკიდებთ ერთმანეთს ხელს და არ დავუშვებთ თქვენი სიმწრით გაკეთებული არჩევნების წყალში ჩაყრას," – აღნიშნა ჟვანიამ და "გულწრფელად მიულოცა" "ნაციონალებს" არჩევნებში გამარჯვება, რისთვისაც მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

"გპირდებით, ჩვენ დავიცავთ ჩვენს ხმებს, რომელიც თქვენ გვანდეთ. ჩვენ დავიცავთ სხვა პარტიების ხმებსაც. ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ უპენსიოდ, უხელფასოდ, უშუქოდ და ასე შემდეგ დარჩენილ ხალხს ღირსებაც წაართვან," – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ გუშინდელ შეკრებაზე.

"ეს ხელისუფლება 1921 წელს დაწყებულ რეპრესიებს აგრძელებს. მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს ღირსეული ადამიანისთვის - ხმის უფლებას წაართმევენ, ღირსებას თუ სიცოცხლეს? "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ, არ მოვმკვდარვართ," - თქვა დავით მაღრაძემ.

ფილარმონიიდან "ბურჯანაძე-დემოკრატები" საღამოს ექვსი საათისთვის თავისუფლების მოედნის მიმართულებით დაიძრნენ. ბლოკის ლიდერებმა აქციის მონაწილეებს სიმშვიდისაკენ მოუწოდეს. მერიის შენობასთან "ბურჯანაძე-დემოკრატებს" სააკაშვილის მომხრეთა ხუთიათასიანი არმია ელოდებოდა. მომიტინგეები პოლიციელთა კორდონით შემორტყმული "იმელის" შენობის წინ გაჩერდნენ, სადაც ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს. **"თუ დევდარიანის კომისია კვლავაც ამგვარი არითმეტიკით გააგრძელებს საარჩევნო შედეგების გამოქვეყნებას, იგი უნდა გადადგეს. დღეს ჩვენ გასაფრთხილებლად მოვედით,"** – განაცხადეს მომიტინგეებმა და გზა მერიის მიმართულებით განაგრძეს.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერები პარლამენტის შენობასთანაც შეჩერდნენ, პოლიციელთა კორდონი ამ შენობასაც გაძლიერებული ძალებით იცავდა. **"მათ უკვე სათავისოდ დაიგულეს საქართველოს პარლამენტის შენობა, თუმცა ძალიან ცდებიან,"** – განაცხადეს "დემოკრატებმა" და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობასთან ოცწუთიანი აქციის შემდეგ, მერიის წინ მომიტინგეებს შეუერთდნენ. მერიის წინ მდებარე მოედანი თითქმის მთლიანად დაფარა აღშფოთებულმა მოსახლეობამ. აქ იყვნენ "კმარას" აქტივისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც აქციის შესახებ ტელევიზიით შეიტყვეს. ხალხი ჩამოდიოდა სამარშრუტო ტაქსებიდან და მომიტინგეებს უერთდებოდა. **"მე ვფიქრობ, რომ ისიც კი, ვინც ამ წუთას ტელევიზორს უზის სახლში, სულით და გულით აქაა. ეს დღეს მთავარია. ჩვენ მთელი საქართველოს მხარდაჭერას ვგრძნობთ, ჩვენ ცამდე მართლები ვართ. იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ოპოზიციურად ასაღებენ თავს და დღევანდელ მიტინგს არ დაესწრნენ, საკუთარი თავი გამომაჟღავნეს, ისინი ხელისუფლებასთან არიან შეკრულნი, "** – უთხრა "24 საათს" ერთ-ერთმა მომიტინგემ ნინო ნიკოლაძემ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

რუსთავი. რუსთავის საოლქო კომისიის თავმჯდომარე მამუკა მუმლაძე სამშაბათს გულის მწვავე სტენოკარდიული შეტევით საავადმყოფოში მოათავსეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბლოკის - "ეროვნული თანხმობა - იბერიის გაბრწყინება" ერთ-ერთი ლიდერი, "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ 2 ნოემბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები მასობრივად გაყალბდა.

ნათაძის თქმით, ხმების გაყალბება ხდებოდა დიდი თავხედობით და ეს აწყობდა მათ, ვინც დღეს პირველ ადგილზეა, ანუ სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსათვის". **პრაიმ - ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი უსამართლოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონის მაცხოვრებლებს საქართველოს პარლამენტში საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატის არჩევის უფლება არა აქვთ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კოდორის ხეობისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა გულრიფშის რაიონში წყალდიდობის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა, რაც ართულებს გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების გადაადგილებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია პოლიტიკურ პარტიებს და ბლოკებს აკრიტიკებს 2 ნოემბერს საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო სიებში ქალების არასაკმარისად წარმოდგენის გამო.

პარტიებმა თავიანთ საარჩევნო სიებში საკმარისი რაოდენობის ქალები წამყვან ადგილებზე არ შეიყვანეს და არც პარტიის კანდიდატებად დაასახელეს, ამასთან პარლამენტმა არ მიიღო შესწორება საარჩევნო სიებში კვოტების განსაზღვრის შესახებ, აცნობეს პრაიმ-ნიუსს საპარლამენტო არჩევნებზე ეუთოს დამკვირვებელთა მისიიდან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" უკმაყოფილოა 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნებზე ნაჩვენები თავისი წინასწარი შედეგებით, თუმცა გაყალბებაში ბრალს ვერავის სდებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემატიკა განიხილეს რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა და გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. სომხეთის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, რომელიც მთავრობამ პარლამენტში წარადგინა, თავდაცვის სფეროსთვის 49 მილიარდ 628 მილიონი დრამია გათვალისწინებული (85 მილიონ აშშ დოლარზე მეტი). ეს თანხა 15 მილიონი დოლარით აღემატება მიმდინარე წელს სამხედრო უწყებისთვის გათვალისწინებულ ბიუჯეტს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. „აღორძინების" წევრი ელიზბარ ჯგუნელიძე, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციულის გარდა, კენჭს ყვარლის რაიონში მაჟორიტარული წესით იყრიდა, დამარცხების გამო საპროტესტო აქციების გამართვას არ აპირებს. **მედია-ნიუსი**

ერთად - ხელისუფლების ძალადობის წინააღმდეგ

მასობრივი მანიფესტაცია თავისუფლების მოედანზე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გიორგი ბარამიძის თქმით, ზოგი ჭირი მარგებელია - ხელისუფლების მიერ არჩევნების შედეგების გაყალბების მცდელობამ ოპოზიცია გააერთიანა. **"ჩვენ მოვედით, რომ ერთად მოვიპოვოთ გამარჯვება,"** - ასე მიმართა ბარამიძემ საკრებულოს წინ შეკრებილ საზოგადოებას, როდესაც "ბურჯანაძე-დემოკრატების" მოძრეები თავისუფლების მოედანზე "ნაციონალების" მხარდამჭერებს შეუერთდნენ.

ერთობლივ მიტინგზე გამოსული მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტისგან ოპოზიციის გამარჯვების აღიარების გარდა, ქვემო ქართლსა და აჭარაში 2 ნოემბერს დაფიქსირებული შედეგების გაუქმებასაც ითხოვს. **"ჩვენი ხალხი დგას ჩოლოქთან, რათა გაყალბებულმა ხმებმა თბილისამდე ვერ ჩამოაღწიოს"**, - აცხადებს სააკაშვილი.

მიტინგის მსვლელობისას, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა აქციის მონაწილეებს აუწყა, რომ პრეზიდენტის ბრძანებით, მობილიზებულნი არიან შეიარაღებული ძალები, მაგრამ "კომანდოს ბატალიონი" უარს აცხადებს ყაზარმების დატოვებაზე. სააკაშვილმა მოუწოდა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, არ აღმართონ იარაღი თანამოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც ქუჩაში თავიანთი საარჩევნო ხმის დასაცავად არიან გამოსულნი.

ოპოზიციის ზემოთ ნახსენები გაერთიანება მაინც პირობითად და არასრულფასოვნად უნდა ჩაითვალოს: თავისუფლების მოედანზე არ მისულან "ლეიბორისტები" და "ახლები". თუ შალვა ნათელაშვილის ასეთი გადაწყვეტილება მოულოდნელობა ნამდვილად არ ყოფილა, სამაგიეროდ, "მემარჯვენეების" "გაუჩინარებამ" ბევრი გააოცა.

მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, "ახლები" ბათუმში წავიდნენ, ასლან აბაშიძესთან გასარიგებლად და აჭარიდან ხმების ჩამოსატანად. **"სისხლიანი ხმების მიღების ნაცვლად, "მემარჯვენეებს" უჯობთ, აქ მოვიდნენ და ჩვენს გვერდით დადგნენ,"** - ურჩია საკრებულოს თავმჯდომარემ "ახალ მემარჯვენეებს" და იქვე დასძინა, რომ ვინც თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ოპოზიციური პარტიების გვერდით არ დადგება, **"დაამტკიცებს, რომ ხელისუფლებასთან არის შეკრული."**

საკრებულოს წინ გამართული გრანდიოზული მანიფესტაცია გუშინდელი დღის "გვირგვინად" იქცა, რომელსაც წინ უძღოდა ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციების ციკლი ფილარმონიასთან, "იმელის" შენობასთან, პარლამენტთან... ამ აქციებმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. მხოლოდ პარლამენტის შენობის წინ შეიქმნა სიტუაციის დაძაბვის საშიშროება, რადგან ფარებით აღჭურვილი პოლიციელები დემონსტრანტებს საკანონმდებლო ორგანოს წინამდებარე მოედანზე არ უშვებდნენ.

ამას ზურაბ ჟვანიამ "ისტორიული სცენა" უწოდა. **"პარლამენტის მოქმედ თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს და ორ ვიცე-სპიკერს, გიგი წერეთელსა და ელდარ შენგელაიას, პარლამენტის შენობასთან არ უშვებენ, რადგან, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ეს შენობა უკვე თავისად აქვს დაგულებული"**, - აღნიშნა ჟვანიამ. თუმცა, პოლიციელთა კორდონი მალე უმტკივნეულოდ გაირღვა, სახელდახელო მიტინგი ჩატარდა და აქციის მონაწილეებმა ბოლო "პუნქტისკენ" - თავისუფლების მოედნისკენ გასწიეს.

გუშინ განვითარებულ მოვლენებს დღეს აუცილებლად ექნება გაგრძელება. როგორი კალაპოტით წარიმართება საპროტესტო კამპანია, ფილარმონიის შენობაში გადაწყდება, სადაც დღეს ოპოზიციის ლიდერები შეიკრიბებიან. **"ხვალ აქ მთელ საქართველოს ჩამოვიყვანთ,"** - მიხეილ სააკაშვილის მიერ გუშინ გაკეთებული ეს განცხადება საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ 5 ნოემბერს საქართველოს პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი დღე ელის.

ქართველმა ხალხმა იცის, რა არის დემოკრატია და ის დაიცავს მას

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ეს პოლიციელები ხელს ვერ აწევენ ხალხზე, რადგან ისინიც ისეთივე მათხოვრებად აქცია ამ ხელისუფლების გაუმაძღრობამ და ზღვარგადასულმა კორუმპირებულობამ, როგორც დანარჩენი საზოგადოება, რომელსაც ყველაფერთან ერთად, არჩევანის და უკეთესი მომავლის უფლება წაართვეს და რომელიც დღეს ამ უფლების დასაბრუნებლად ქუჩაში გამოვა.

გუშინ სახელმწიფო ტელევიზია მთელი მონდომებით ცდილობდა, რომ ხალხის მშვიდობიანი დემონსტრაცია დესტაბილიზაციის მცდელობად მოენათლა და არქივიდან ამოღებულ კადრებს იშველიებდა იმის საჩვენებლად, რომ "ქართული ინტელიგენცია" დესტაბილიზაციას ეწინააღმდეგება.

ამორალური იქნება ყველა იმ ადამიანის ქმედება, რომელიც დღეს განაცხადებს, რომ ქართულმა საზოგადოებამ უხმოდ უნდა ჩაყლაპოს იმ ხელისუფლების ცინიზმი და თავხედობა, რომელიც მას, წლებია, სიბნელეში აცხოვრებს, უხელფასოდ, უპენსიოდ, ყველანაირი პერსპექტივის და იმედის გარეშე; მოითმინოს იმ ადამიანების თავხედობა, რომლებიც უკანასკნელი მოდელის მანქანებით დადიან, ხალხისაგან მოპარული ფულით რესტორნებში და კაზინოებში ერთობიან, შემდეგ კი სატელევიზიო ეთერიდან მოსახლეობას არწმუნებენ, რომ დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ.

"არჩევნების დღეს საკუთარი თვალით ვნახე, როგორ იდგა ერთი ატირებული მოხუცი ქალბატონი ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან და საღამომდე იბრძოდა იმისათვის, რომ ხმა მიეცა. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ მან არ იცის, რას ნიშნავს დემოკრატია," – თქვა არჩევნების შეფასებისას ეუთო-ს დამკვირვებელმა.

ქართულმა საზოგადოებამ იცის, რას ნიშნავს დემოკრატია და ისიც იცის, თუ როგორ უნდა იბრძოლოს თავისი ხმის დასაცავად. არასოდეს ხალხი ასე მზად არ ყოფილა საქართველოში იმისათვის, რომ თავისი არჩევანის უფლება დაეცვა. ხალხის განწყობაში კარგად იგრძნობა ისიც, რომ ის დღეს ერთიან და ძლიერ ოპოზიციას ითხოვს. გუშინ ოპოზიციამ გაერთიანება მოახერხა და თუ ის ამ ერთიანობის შენარჩუნებას შეძლებს, მაშინ ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. ოპოზიციას დღეს აქვს ისტორიული შანსი, რომ ქართული საზოგადოების ეს მზაობა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის გამოიყენოს.

ხარაგაულში დამოუკიდებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა

გუშინ ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიამ, როგორც იქნა, დაამტკიცა მაჟორიტარული არჩევნების შედეგების ოქმი, რომლის მიხედვითაც, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა დამოუკიდებელმა კანდიდატმა გიორგი ჩახვაძემ. შემაჯამებელ ოქმს საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა მოაწერა ხელი. კომისიის სხდომის მიმდინარეობის პარალელურად, საოლქო კომისიის შენობის გარეთ შეკრებილი იყო ხარაგაულის მოსახლეობა, რომელიც, მოვლენების სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში, საკუთარი არჩევანის დაცვას აპირებდა.

საგულისხმოა, რომ ორი ნომბრიდან მოყოლებული, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული მათი კანდიდატი ნუგზარ ნავაძე იყო. ჩვენი ინფორმაციით, ნავაძე სასამართლოში სარჩელის შეტანასაც აპირებდა. თუმცა, როგორც ჩახვაძის მხარდამჭერები აცხადებენ, საოლქო სასამართლომ მას სარჩელის მიღებაზე უარი განუცხადა.

რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს. ჩახვაძემ 937 ხმით მოუგო ნუგზარ ნავაძეს, მესამე ადგილზე კი "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ნოდარ ებანოიძე გავიდა.

24 საათი

1015

იყავით ხაზზე და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელი-სგან

ჯეოსელის წამახალისებელი გათამაშების წესები და პირობები — 1015

- ჯეოსელის წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ჯეოსელის ყველა აქტიურ აბონენტს
- წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია ისარგებლოთ მომსახურებით – 1015
- მომსახურებაზე 1015 დარეკვის საფასურია 0.50 ლარი (დღგ ს ჩათვლით)
- მოგების შანსი იზრდება ყოველი დარეგისტრირებისას ნომერზე – 1015
- შოუს მსვლელობისას, ანუ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მობილური ტელეფონი ჩართული უნდა იყოს ორმხრივად
- ჯეოსელის წამახალისებელი გათამაშებისას წამყვანი უკავშირდება იმ აბონენტს, რომლის ნომერიც იქნება ამოღებული ლოტოტრონიდან
- დაკავშირებისას წამყვანი მოსთხოვს აბონენტს ამოირჩიოს რომელიმე რიცხვი 1 დან 15-ის ჩათვლით. თითოეული ნომრის უკანა მხარეს მითითებული იქნება პრიზის დასახელება (მათ შორის ე.წ. შავი ყუთიც)
- შავი ყუთის ამორჩევის შემთხვევაში წამყვანი არ გამოაცხადებს მასში მოთავსებულ საჩუქარს, იგი შეეკამათება აბონენტს და შესთავაზებს გარკვეულ თანხას. ამგვარად, აბონენტს შესაძლებლობა ეძლევა არჩევანი გააკეთოს შეთავაზებულ თანხასა და გაურკვეველ პრიზს შორის
- თუკი ლოტოტრონიდან ამოღებულ ნომერთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება*, მაშინ წამყვანი ხელახლა ამოიღებს ახალ ნომერს
- ერთი შოუს განმავლობაში ერთიდაიგივე ნომრის ორჯერ ამოღების შემთხვევაში, მეორე მოგება გათილდება
- პრიზი გადაეცემა იღბლიანი სიმ-ბარათის წარმომდგენს
- 9 ნოემბრიდან ყოველ კვირადღეს, 22 საათზე, რუსთაველ 2-ის პირდაპირ ეთერში შესდგება ჯეოსელის წამახალისებელი გათამაშება
- სულ გაიმართება 10 წამახალისებელი გათამაშება და ყოველ გათამაშებაზე დასაჩუქრდება 15 აბონენტი.
- პირველ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის აბონენტები, რომლებიც 2 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით ისარგებლებენ 1015-მომსახურებით, მეორე გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ისარგებლებენ ამ მომსახურებით 9 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით და ა.შ.
- მეათე გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის აბონენტები, რომლებიც წამახალისებელი გათამაშებისას (სულ 10 გათამაშება) ისარგებლებენ 1015-მომსახურებით მინიმუმ 50-ჯერ. მათი ნომერი მოთავსდება ლოტოტრონში თითოჯერ ყოველ ორმოცდამეათე ზარზე
- ჯეოსელის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ჯეოსელის თანამშრომლებს, დილერებს, დისტრიბუტორებსა და მათი ოჯახის წევრებს.
- აბონენტს მოგებული პრიზის შესაბამისი ფულადი თანხა არ გადაეცემა
- პრიზების გადაცემა მოხდება გათამაშებიდან არაუგვიანეს 10 დღისა

* წამყვანი 3-ჯერ აკრეფს ნომერს და ეცდება დაუკავშირდეს აბონენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის ტელეფონზე ისმის დაკავების ზუმერი.

GEOCELL

www.geocell.ge

ELIT ELECTRONICS
SIEMENS
VESTEL

საინფორმაციო სამსახური 928 ან 822 770177

მოკლედ

საბითუმო ბაზარი ნოემბრის ლიმიტებს აწესებს

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ენერგოკომპანიებისთვის და პირდაპირი მომხმარებლებისთვის, ნოემბრისთვის დენის მოხმარების ახალი გრაფიკი დააწესა. გრაფიკი წარმოდგენილი განაცხადებისა და გადახდის მაჩვენებლების მიხედვით შედგა. ენერგობალანსში, რომელიც ახალ გრაფიკს საფუძვლად დაედო, გათვალისწინებულია, რომ რუსეთიდან დღე-ღამეში 2 370 კილოვატსაათი ელექტროენერგიის იმპორტი უნდა მოხდეს, ხოლო "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკმა დღე-ღამეში საშუალოდ 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია უნდა გამომუშაოს.

შედეგად, "თელასი" ნოემბერში ელექტროენერგიას შეუზღუდავად წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად მიიღებს. პიკის საათში თბილისი 510 მეგავატით დაიტვირთება. დანარჩენი გამანაწილებელი ენერგოკომპანიები ელექტროენერგიას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებლის მიხედვით მიიღებენ. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" 245 მეგავატის ნაცვლად, 114 მეგავატ სიმძლავრეს მიიღებს.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი თავის წევრებს დაწესებული ლიმიტების უმკაცრესი დაცვისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ უარყოფს, რომ ენერგოსექტორში სერიოზული პრობლემები შეიქმნება. "კერძოდ, მარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურებზე შემცირდება წყლის მარაგი და სისტემას დამატებითი ძვირადღირებული ელექტროენერგიის იმპორტი დასჭირდება, რაც სისტემაში არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოვლად წარმოუდგენელია," – მიიჩნევენ ბაზარში.

24 საათი

ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა შეფერხდა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა თურქეთის ტერიტორიაზე ამ ეტაპზე გარკვეულწილად შეფერხებულია. CENN –ის (არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი) განცხადებით, თურქეთში, სადაც ნავთობსადენმა 1070 კილომეტრის სიგრძეზე უნდა გაიაროს, მშენებლობის შეფერხება ოპერატორი კომპანიის "თეფის" მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ განაპირობა. ხსენებულმა კომპანიამ 58-ის ნაცვლად სამუშაოების მხოლოდ 47 პროცენტი შეასრულა.

როგორც CENN-ში აღნიშნეს, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ნატიკ ალიევი იმედოვნებს, რომ თურქეთის ოფიციალური პირები უახლოეს მომავალში მოაგვარებენ ამ პრობლემას. შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაიწყო და მომავალი წლის ბოლო კვარტალში უნდა დასრულდეს. კასპიის ნავთობის მისაღებად კი მილსადენი 2005 წლის გაზაფხულზე უნდა იყოს მზად.

24 საათი

ირანს, კუვეიტს და გაერთიანებულ საემიროებს ნავთობის ასწლიანი მარაგი აქვთ

მსოფლიოში ნავთობის ყველაზე დიდი მარაგის – 261,8 მილიარდი ბარელის მფლობელი საუდის არაბეთი გახლავთ. ქვეყანაში ერთი დღე-ღამის განმავლობაში, დაახლოებით, ცხრა მილიონი ბარელი ნავთობი მოიპოვება და ასეთი ტემპი 86-წლიანი მარაგის შექმნის გარანტიას იძლევა. მეორე ადგილზეა ერაყი 112,5 მილიარდ ბარელიანი მარაგით, ხოლო მესამე ადგილი (97,8 მილიარდი ბარელი) არაბეთის გართიანებულ საემიროებს უკავია. სამივე ქვეყანა, ირანთან ერთად, ყოველდღიურად 16 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებს. 2020 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 30 მილიონს მიაღწევს. რაც შეეხება აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ნორვეგიის ნავთობმარაგს, იგი ხუთ-ათ წელიწადში ამოიწურება.

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტი 350 მილიონი ლარითაა გარღვეული

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლის გეგმა, 10 თვის ოპერატიული მონაცემებით, 69 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 349,08 მილიონი ლარია.

10 თვის ფაქტიური შემოსავლებით, სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის გეგმა შესრულებულია 96 პროცენტით, გარღვევა 31,12 მილიონი ლარია.

10 თვის ოპერატიული ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 74 პროცენტით, გარღვევა 243,1 მილიონი ლარია. 10 თვის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალო თვიური ამოღება 68,12 მილიონს ლარს შეადგენს. ამ ინფორმაციის ზედაპირული ანალიზიც კი საკმარისია, რომ წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების ნაწილში 100 მილიონ ლარზე მეტი გარღვევის პროგნოზი გავაკეთოთ.

უმძიმესი მდგომარეობაა ცენტრალურ ბიუჯეტში. წლის გეგმა შესრულებულია 67 პროცენტით, გარღვევა 276,55 მილიონი ლარია.

ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით, გარღვევა 27,08 მილიონი ლარია.

კატასტროფული მდგომარეობაა ცენტრალური ბიუჯეტის გრანტებში. წლის გეგმა შესრულებულია 24 პროცენტით, გარღვევა 72,87 მილიონი ლარია. წლის ბოლომდე ამ ნაწილში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

სოციალური ფონდის შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 77 პროცენტით, გარღვევა 57,37 მილიონი ლარია.

საგზაო ფონდის შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 71 პროცენტით, გარღვევა 14,3 მილიონი ლარია.

დეფიციტის დაფინანსების წლის გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით, გარღვევა 72,24 მილიონი ლარია.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"

საბიუჯეტო ბალანსის შესრულება

იანვარ-სექტემბერი 3 წლისათვის

მლნ. ლარებში

დასახელება	2001 ფაქტიური	2002 გეგმა	2002 ფაქტიური	% 2001 ფაქტიურთან	% 2002 გეგმასთან
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1027.4	809.44	778.32	69%	96%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	589.7	557.15	67%	94%
საგადასახადო შემოსავლები	699.9	477.24	483.30	73%	101%
არასაგადასახადო შემოსავლები	78.4	58.21	51.32	65%	93%
გრანტები	95.4	56.25	22.53	24%	40%
სოციალური ფონდი	244.2	178.31	186.83	77%	105%
საგზაო ფონდი	49.5	34.83	35.2	71%	101%
დეფიციტის დაფინანსება	239.8	176.55	167.56	70%	95%
ეკონომიკის სამინისტრო საშინაო	8.5	8.5	7.55	89%	89%
საქართველოს გადასახადების შემოსავლები	22	22	14.08	64%	64%
ფინანსთა სამინისტრო	40	29.54	31.9	80%	108%
ფინანსთა სამინისტროს სხვა			3.58		
მიწათსარგებლობის შემოსავლები	41.5	24.51	20.55	50%	84%
საქართველოს პროკურატურა	12.8	9.61	9.11	71%	95%

დასახელება	2001 ფაქტიური	2002 გეგმა	2002 ფაქტიური	% 2001 ფაქტიურთან	% 2002 გეგმასთან
საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	336.2	395.32	416.43	78%	105%
საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	389.1	279.66	264.77	68%	95%

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

იანვარ-სექტემბერი 4 წლისათვის

მლნ. ლარებში

დასახელება	წლის პროგნოზი	შესრულება	%	3 წლისწინა
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	779.42	69%	0.32
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	557.65	67%	0.49
საგადასახადო შემოსავლები	699.9	483.77	73%	0.47
სოციალური ფონდი	244.2	187.05	77%	0.23
საგზაო ფონდი	49.5	35.02	71%	0.00
დეფიციტის დაფინანსება	239.79	167.56	70%	0.00

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."
გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და სამთავრო ფასებში. ფასები სომხეთში საწყობებიდან: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. ასრულე 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი სავარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.
ჩვენი წარმომადგენლობებია:
საქართველოში: ტელ: 22 78 59, 899 74 50 65
სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30, ფაქსი: (3741) 52 92 30
E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am

"დიდი გარიგების" იურიდიული დასასრული

ПЕРВЫЙ ГВЕРДИЦКИЙ

გუშინ მიკოლაიუნასმა "სიახლეები" საზოგადოებას საგანგებო ბრიფინგზე შეატყობინა.

ბუნებრივია, ახალი სამეთვალყურეო საბჭო ხელუხლებლად დატოვებს პოსტზე "თელასის" ამჟამინდელ გენერალურ დირექტორს დანგირას მიკოლაიუნასს, რომელმაც შესანიშნავი მარიფათი გამოიჩინა: მისი მეცადინეობით "რაო ეეს როსიი" - "თელასთან", "ხრამჰესების" კასკადთან და "თბილსრესის" 300-მეგავატიან ენერგობლოკებთან ერთად - უკვე სახელმწიფო ელექტროსისტემის რამდენიმე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტს აკონტროლებს. ამ ობიექტებს შორისაა სომხეთთან მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი "ალავერდი" და ოთხიდან ორი თბილისის ძირითადი ქვესადგური – დიდუბისა და ლისის.

შედეგად, "რაო" საქართველოში მთელ ენერგეტიკულ ჯაჭვს – ელექტროენერგიის იმპორტს, გენერაციას, გადაცემასა და დისტრიბუციას აკონტროლებს. ამის გამო თბილისს არც შეტყობია, როცა გუშინ, დილით, ავარიულად გაითიშა "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკი. "რაომ" მაშინვე გაზარდა რუსეთიდან დენის იმპორტის მოცულობა. ძვირი თბოენერგიის ნაცვლად ახლა რუსული ენერგოგიგანტი საქართველოს შედარებით იაფი ელექტროენერგიით ამარაგებს. სამაგიეროდ, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება ბეწვზე და ორ ელექტროგადამცემ ხაზზე - "კავკასიონსა" და "სალხინოზე" ჰკიდია.

მოკლედ, სახელისუფლებო გეგმა განხორციელდა. "რაო" საქართველოში ფეხს მყარად იკიდებს. თუმცა, ხელისუფლების "გმირობათა" ნუსხას ამით წერტილი როდი დაესმება. ქართულ მხარეს ჯერ კიდევ "დასამუშავებელი" აქვს მეორე სამარცხვინო გარიგების დეტალები. მთავრობას ხომ "გაზპრომისთვის" ჯერ კიდევ გადასაცემი აქვს გაზის იმ საწარმოთა ნუსხა, რომელთა პრივატიზაციაც რუსული გაზის გიგანტის უშუალო მონაწილეობით უნდა განხორციელდეს.

საქართველოს განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების შანსს ახალი საბაჟო კოდექსი აძლევს

ЭТЕРИ МАМУЛАШВИЛИ

ევროსაბაჟოს გენერალური დირექტორი მარტინ ბრაუნი საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში მიმდინარე რეფორმის პირველი შედეგებით კმაყოფილია და იმედს გამოთქვამს, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი მათ მიერ შემუშავებულ ახალ საბაჟო კოდექსს უხმაუროდ დაამტკიცებს. მარტინ ბრაუნი საბაჟო სისიტემაში გამეფებული კორუფციის შესახებ საუბრისაგან ამ ეტაპზე თავს იკავებს. საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ბრაუნი გუშინ დილით საბაჟო დეპარტამენტის შეფს შეხვდა, მოგვიანებით კი - ფინანსთა მინისტრს. საღამოს ევროსაბაჟოს დირექტორი კანცელარიის მეათე-მეთერთმეტე სართულზე, სახელმწიფო მინისტრსა და პრეზიდენტთან სტუმრობდა.

ევროსაბაჟოს თავკაცი საქართველოში მიმდინარე საბაჟო რეფორმით კმაყოფილია.

ევროკავშირის დაფინანსებით საბაჟო დეპარტამენტში მიმდინარე რეფორმა უკვე ერთ წელზე მეტია, გრძელდება, რომლის ფარგლებში ევროსაბაჟოს ავსტრიელმა ექსპერტებმა სრულიად ახალი საბაჟო კოდექსი შეიმუშავეს. მარტინ ბრაუნის ამჟამინდელი ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე საკითხის განხილვაა დაგეგმილი, მათ შორის არის ხსენებული კოდექსის რეალურ ცხოვრებაში დანერგვაც. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი ირწმუნება, რომ ახალი კოდექსის მიღებით, საქართველოს განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების საუკეთესო შანსი მიეცემა. ევროსაბაჟოს დირექტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეორადი კანონმდებლობის შემუშავებას, **"რომლის გარეშე ახალი კოდექსი წყალში გადაყრილი შრომა იქნება",** - აღნიშნა დავით თარხან-მოურავმა. მარტინ ბრაუნმა ქართულ მხარეს მეორადი კანონმდებლობის მომზადებაში დახმარება აღუთქვა.

მეორე საკითხი, რასაც საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, საბაჟოზე მიმდინარე სტრუქტურული რეფორმაა. ევროსაბაჟოს წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებთან ერთად უკვე შეიმუშავეს საბაჟო დეპარტამენტის ახალი სტრუქტურა, რომელიც, თარხან-მოურავის შეფასებით, საბაჟოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა იქნება.

საბაჟოზე მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტი დეპარტამენტის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდებია, რომელიც დეკემბრის თვეში უნდა დაწყებულიყო, თუმცა, თარხან-მოურავის ვარაუდით, გარკვეული მიზეზების გამო, მომავალი წლის იანვრამდე გადავადდა. საკვალიფიკაციო გამოცდებს გაივლის საბაჟო დეპარტამენტის აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი, გარდა თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისა. მარტინ ბრაუნის განცხადებით, გამოცდებს უცხოელი ექსპერტები ჩაიბარებენ და თითოეული თანამშრომლის სამსახურში აყვანა მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცედურა იქნება. საბაჟოს შეფი არ გამორიცხავს, რომ გამოცდების შემდეგ თანამშრომელთა რაოდენობა, შესაძლოა, შემცირდეს.

ევროსაბაჟოს დელეგაციის ოთხდღიანი ვიზიტი საქართველოში 7 ნოემბერს დასრულდება. დღეს კი მარტინ ბრაუნი, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, აჭარაში გაემგზავრება, სადაც ასლან აბაშიძესთან შეხვედრა და სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის მონახულებაა დაგეგმილი. ვიზიტის შედეგების შემაჯამებელ განცხადებას ევროსაბაჟოს დირექტორი პარასკევს სასტუმრო "მარიოტში" გააკეთებს.

ორი სიტყვით

თბილისი. ბიზნესმენთა საერთაშორისო ორდღიანი კონფერენცია გაიხსნა სამშაბათს ნალჩიკში, რომელშიც თურქეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობენ. როგორც სააგენტო "აფსნიპრესი" იტყობინება, საერთაშორისო ჩერქეზული ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონფერენციის მიზანია ამ რესპუბლიკების საქმიან წრეებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა. კონფერენციაზე სოხუმს წარმოადგენს ეკონომიკის და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი კონსტანტინე ტუუბა და "აფხაზეთის მრეწველთა ასოციაციის" თავმჯდომარე ლეონიდ ოსია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეიდან გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის 59 რაიონული ფილიალი ელექტროენერგიას დაწესებული გრაფიკის მიხედვით მიიღებს. მომხმარებლები დენს გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ 2-3 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, ყველა რაიონში საარჩევნო ადმინისტრაციებს ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში მიეწოდებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილისი უარყოფითად აფასებს სამხრეთ კავკასიის ენერგოსისტემების ერთიან სისტემად გაერთიანების იდეას. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის გამონათქვამებიდან," – წერს ბაქოში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთი „ექო“. მენაღარიშვილი მონაწილეობდა აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუშაობაში. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, „ერთიანი, საერთო, მაგრამ ამასთან, არავისი - ჩვენ უკვე გვქონდა. მხარს ვუჭერთ რეგიონის ქვეყნების ენერგოსისტემების მჭიდრო თანამშრომლობას, მაგრამ იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება თითოეული ქვეყნის ეროვნული ინტერესები“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, 2003 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, 2002 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10 უმსხვილესი კომერციული ბანკის მთლიანი აქტივები 31,9 პროცენტით გაიზარდა. 10 უმსხვილესი კომერციული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში 34,5 პროცენტით მოიმატა, ხოლო სააქციო კაპიტალმა - 22,5 პროცენტით. კომერციულ ბანკებში მთლიანი ვალდებულებების ზრდა, ძირითადად, დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების მოცულობის ზრდამ განაპირობა, ხოლო სააქციო კაპიტალის მატება აქციონერთა მიერ ახალი შენატანების და მოგების ზრდას უკავშირდება. მთლიანი აქტივების მიხედვით, უმსხვილეს ბანკთა ათეულში შედიან - "თიბისი ბანკი", "საქართველოს ბანკი", "გაერთიანებული ბანკი", "მიკროსაფინანსო ბანკი", "ბანკი ქართუ", "საქართველოს საზღვაო ბანკი", ბანკი "რესპუბლიკა", "ინტელექტ ბანკი", "სახალხო ბანკი" და "თბილუნივერსალბანკი". **ინტერ-პრესი**

სს "პროკრედიტ ბანკის" ყველა ფილიალსა და ბანკომატში 2003 წლის 15 დეკემბრამდე
პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank
პროკრედიტ ბანკს მოპარეს! მოპარეს შუქი!
ყოველი 21-ე, ჩოგელის 15 დეკემბრამდე ბახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ევ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს ბენეფიტორს. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

სანგრილოს ფილიალი 0112 თბილისი თამარ მეფის გამზ. 18 ტელ: (995 32) 20-16-16 ფაქსი: (995 32) 77-96-11 central@procreditbank.ge
ვაკის ბანკოფისი 0179 თბილისი მეხეთის ქ. 8 ტელ: (995 32) 25-28-06 ფაქსი: (995 32) 25-28-07 vake@procreditbank.ge
საბურთალოს ბანკოფისი 0177 თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 ტელ: (995 32) 20-17-17 ფაქსი: (995 32) 20-17-18 saburtalo@procreditbank.ge
ვაბაზღის ბანკოფისი 0112 თბილისი თეატრის მოედნის 3/32 ტელ: (995 32) 92-16-16 ფაქსი: (995 32) 77-96-11 stationsquare@procreditbank.ge
ქუთაისის ბანკოფისი 4600 ქუთაისი წმინდა ნინოს ქ. 4 ტელ: (995 231) 4-87-05 kutaisioutlet@procreditbank.ge
ზუგდიდის ბანკოფისი 2100 ზუგდიდი თამარეჯანიძის ქ. 1 ტელ: (995 215) 5-11-23 ფაქსი: (995 32) 93-43-74 zugdidi@procreditbank.ge
გორის ფილიალი 1400 გორი ჭავჭავაძის ქ. 10 ტელ: (995 270) 2-16-09, 7-50-64 ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58 gori@procreditbank.ge
მცხეთის ბანკოფისი 3000 მცხეთა რიონეაშვილის ქ. 3 ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50 ფაქსი: (995 32) 94-31-36 mtskheta@procreditbank.ge
გლდანის ფილიალი 0167 თბილისი ომარ ხიზანიშვილის ქ. 1 ტელ: (995 32) 57-01-01 ფაქსი: (995 32) 57-10-01 gldani@procreditbank.ge
ვარკეთილის ფილიალი 0182 თბილისი კოსმონავტების ქ. მე-2 ჩიხი ტელ: (995 32) 76-44-82 ფაქსი: (995 32) 76-44-81 varketili@procreditbank.ge
ღიღვის ბანკოფისი 0115 თბილისი ვახტანგ გორგასლის ქ. 118 ტელ: (995 32) 77-96-55 ფაქსი: (995 32) 77-96-56 lilo@procreditbank.ge
ქუთაისის ფილიალი 4600 ქუთაისი თამარ მეფის ქ. 65 ტელ: (995 231) 4-14-14 ფაქსი: (995 231) 4-51-64 kutaisi@procreditbank.ge
ფოთის ფილიალი 4400 ფოთი ფ. აღმაშენებლის ქ. 23 ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3 ფაქსი: (995 293) 28-28-4 poti@procreditbank.ge
ბათუმის ფილიალი 6000 ბათუმი ლეჩა ქაჩკოვსკის ქ. 18 ტელ: (995 222) 7-24-20 ფაქსი: (995 222) 7-19-54 batumi@procreditbank.ge
ბათუმის ბანკოფისი 6000 ბათუმი ჭავჭავაძის ქ. 18 ტელ: (995 222) 7-74-19 ფაქსი: (995 222) 7-74-19 batumioutlet@procreditbank.ge
ჯვარედინის ბანკოფისი 6201 ჯიხეთი ფ. აღმაშენებლის ქ. 2 ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439 kobuleti@procreditbank.ge

იტალიელმა ჟურნალისტებმა ვლადიმირ პუტინი მოთმინებიდან გამოიყვანეს

ლევან ღირსიაშვილი

ვლადიმირ პუტინი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კომპანია "იუკოსის" და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი შეფის ვოლოშინის გადადგომის შესახებ პირველი კომენტარები გააკეთა. მან ამის თაობაზე იტალიელ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ისაუბრა. სააგენტო "ანსას", გაზეთ "კორიერე დელა პრესას" და ტელეკომპანია "რაის" ჟურნალისტები რუსეთის ლიდერს კრემლში ეწვივნენ. როგორც რუსული მედია იუწყება, თავდაპირველად პუტინი მშვიდ განწყობას ინარჩუნებდა. მან ჩვეულ სტილში ისაუბრა ერაყის საკითხზე, რუსეთ-ევროპის ურთიერთობებზე. "ამის შემდეგ კი, იტალიელმა ჟურნალისტებმა საუბარი პრეზიდენტისათვის არასასურველ თემაზე გადაიტანეს: მას კომპანია "იუკოსის" და ვოლოშინის გადადგომის თაობაზე კომენტარი სთხოვეს," - იუწყება "გაზეტა რუ." შეკითხვაზე, ხომ არ მიუთითებს "იუკოსზე" შეტევა რუსეთის ხელისუფლების ავტორიტარული სტილის მმართველობაზე, პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა:

"თუკი თქვენ შეხედავთ, რა ხდებოდა შეერთებულ შტატებში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, დაინახავთ, რომ სისხლის სამართლის საქმე სხვადასხვა კომპანიების, დაახლოებით, ოცამდე ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ აღიძრა, ხოლო მარტო ერთ კომპანიაში - "ენრონი" 20 ასეთი საქმე იყო აღძრული. დაპატიმრებები პირდაპირ ოფისებში ხდებოდა, ხელბორკილების დადებით, და ყველაფერი ეს ტელევიზიის ეთერით დემონსტრირდებოდა. საქმეში გასულმა ერთ-ერთმა პირმა სიცოცხლე თვითმკვლელობითაც კი დაასრულა. და რატომღაც, არ იბადება ეჭვი იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა იქ."

"გაზეტა რუ" ამასთან დაკავშირებით საკმაოდ არაორაზროვან კომენტარს აკეთებს: **"ანუ, პრეზიდენტმა გასაგები გახადა - რომ ხოდორკოვსკი ჯერ კიდევ ცოცხალია, ეს კარგია."**

ვლადიმირ პუტინმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ხაზგასმით, რომ ის არ აპირებს 90-იან წლებში რუსეთში ჩატარებული პრივატიზაციის შედეგების გადასინჯვას და ამით დასავლელი ინვესტორები და რუსი მეწარმეები დაამშვიდა. **"მე კატეგორულად ვეწინააღმდეგები პრივატიზაციის შედეგების გადასინჯვას, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ეს შედეგები არ არის იდეალური. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრივატიზაციის პროცესში, ეროვნული სიმდიდრის გადანაწილების დროს, მათ ერთმანეთში მოილაპარაკეს, ეცხოვრათ განსაზღვრული წესებით, მათ კი კანონის მიხედვით ცხოვრება უნდა ისწავლონ. აი, ახლა ამ საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი პროკურატურაში მივიდა და განაცხადა: "კარგით, მე მაშინ არ გადავიხადე. მოდით, ახლა გადავიხდი და დავივიწყოთ ეს საქმე." ასე არ ხდება,"** - მტკიცედ განაცხადა პუტინმა.

იტალიელი ჟურნალისტი კი პრეზიდენტის მოთმინებიდან გამოყვანას შეეცადა და დასვა კითხვა: "როდის არ გადაიხადეს, 90-იან წლებში?"

"90-იან წლებში კი არა, ახლა!" - განაცხადა მოთმინებიდან გამოსულმა პუტინმა. "და, აი, ახლა მას კონკრეტული ბრალდება წაუყენეს. ასეთი ვაჭრობა, ასეთი მოლაპარაკებები დაუშვებელია. ყველამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს: კანონი ყოველთვის უნდა შესრულდეს და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც უხერხულ ადგილზე მოგიჭერენ," - თქვა პუტინმა და, როგორც რუსეთის მედია იუწყება, პრეზიდენტი მიხვდა, რომ უკვე საკმარისზე მეტი თქვა. ამის შემდეგ კი პუტინმა, რატომღაც, ჟურნალისტებისათვის უდანაშაულობის პრეზუმფციის განმარტებაც გადაწყვიტა. **"ადამიანი დამნაშავედ შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მიერ ჩაითვალოს, ამ მომენტამდე კი ის უდანაშაულოდ ითვლება. ეს, რაც მე გითხრით, გენერალური პროკურატურის პოზიციაა. სასამართლომდე კი ამის განცხადება, განსაკუთრებით - ჩემთვის, როგორც სახელმწიფო მეთაურისათვის, არაკორექტულია. ამან, შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იქონიოს გავლენა ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ. ერთიც და მეორეც ცუდია,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა და არც კი გახსენებია, რომ მან თავისი პოზიცია "იუკოსის" საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე წუთის წინ საკმაოდ არაკორექტულად დააფიქსირა. მომდევნო კითხვაზე კი, რომელიც პროკურატურის საქმიანობას შეეხებოდა, პრეზიდენტმა სამართალდამცავი ორგანოებისადმი თავისი სიმპათია გამოხატა. **"სამართალდამცავი ორგანოებისადმი პრეტენზიების წაყენება არ შეიძლება მანამდე, ვიდრე ისინი კანონის ფარგლებში მოქმედებენ. კანონდარღვევაზე რეაგირება მათი მოვალეობაა. ის ბრალდებები, რომლებსაც პროკურატურა კომპანიის ხელმძღვანელებს უყენებს, უკვე სახალხოდ, პროკურატურის მიერ სასამართლოში უნდა დამტკიცდეს. აი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმ ადამიანების დანაშაულსა თუ უდანაშაულობაზე საუბარი, რომელთაც პრეტენზიებს დღეს უყენებენ,"** - გადაეფარა პრეზიდენტი თავის ძალოვანებს.

და ბოლო შეკითხვაზე, შეიცვლება თუ არა ხელისუფლების კურსი ადმინისტრაციიდან ალექსანდრ ვოლოშინის წასვლის შედეგად, პუტინმა განაცხადა: **"ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდებოდა. ბოლო დროს "იუკოსის" მოვლენებმა საკადრო საკითხების გადასაწყვეტად კატალიზატორის როლი შეასრულა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი – კარგი მმართველი და ძალიან წესიერი ადამიანია. მაგრამ, ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ მე მას წარვუდგინე პიროვნება, რომელსაც ის ამ პოსტზე უნდა შეეცვალა. ეს მან იცოდა და ამ ადამიანს თავის შემცვლელად თავადვე ამზადებდა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. ეს იყო პირველი კომენტარი, რომელიც ვლადიმირ პუტინმა ვოლოშინის გადადგომასთან დაკავშირებით გააკეთა. იქვე დასძინა, რომ ადმინისტრაციის ახალი შეფი დმიტრი მედვედევი და მისი გუნდი **"ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებების მქონე ხალხია, რომლებიც რუსეთში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე არიან ორიენტირებულნი."**

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შემდეგ? ალბათ ის, რომ ეს არის შემთხვევა, რომელსაც კომენტარი არ სჭირდება.

"დამკვირვებლებმა დაგმეს საქართველოში ჩატარებული არჩევნები"

პირველი გვერდიდან

უცხოელი ჟურნალისტების შეფასებით, გარდაუვალი მარცხის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ ფალსიფიკაციას მიმართა, რაც, ძირითადად, სიების გაყალბებითა და საარჩევნო უბნების თვითნებური გახსნა-დახურვით გამოიხატა. "2 ნოემბრის არჩევნებმა ჩაიარა ქაოსისა და უამრავი დარღვევის პირობებში. ამომრჩეველთა, სულ ცოტა, 10-მა პროცენტმა სიაში საკუთარი თავი ვერ აღმოაჩინა," – იუწყება რადიო "თავისუფლება". "უამრავი ამომრჩეველი არ იყო შეტანილი საარჩევნო სიებში. სიებთან დაკავშირებით ბევრი გაუგებრობა წარმოიშვა," – დასძენს "ბი-ბი-სი".

სიებში უამრავი ადამიანის გამორჩენა არ ყოფილა შემთხვევითი. "მოხდა სიების გამიზნული დეზორგანიზაცია, რამაც საშუალება მისცა ხელისუფლებას, უფრო მეტი ხმა მიეღო, ვიდრე სხვაგვარად მიიღებდა," – განუცხადა საერთაშორისო დამკვირვებელმა "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტს.

არც საარჩევნო უბნების უთავბოლო გახსნა-დახურვა ყოფილა შემთხვევითი. "იმ რაიონებში, სადაც ოპოზიციის პოზიციები ძლიერი იყო, საარჩევნო ოლქები ოთხი საათით გვიან გაიხსნა და დაიხურა, – წერს ბრიტანული "ინდეპენდენტი", - იმ რაიონებში კი, სადაც ხელისუფლებას ბევრი მომხრე ჰყავდა, ცხადია, არც სიებთან და არც უბნების მუშაობის დროსთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა."

გაყალბების მცდელობამ შედეგიც გამოიღო. "ოფიციალური შედეგები ეწინააღმდეგება ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს, რომელიც ოპოზიციის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა," – იუწყება "ბი-ბი-სი". "ანალიტიკოსების პროგნოზი და ეგზით პოლების შედეგები აშკარად მიანიშნებდა, რომ თუ მასობრივი გაყალბება არ იქნებოდა, პარლამენტის კონტროლი ოპოზიციის ხელში უნდა გადასულიყო," – წერს "ლოს ანჯელეს ტაიმსი".

ჩაწყობილმა არჩევნებმა საერთაშორისო დამკვირვებელთა შესაფერისი შეფასებაც დაიმსახურა. დასავლურ პრესას მოჰყავს ევროპის საბჭოს წარმომადგენლის ტომას კოქსისა და ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის, ბრუს ჯორჯის სიტყვები. "მე და ჩემი კოლეგები სრულებით შოკირებულნი ვართ მომხდარით" (ტომას კოქსი) და ამ არჩევნების შემდეგ, "ჩვენ გაგვიჩნდა ეჭვი, რამდენად შეუძლია მთავრობას სანდო არჩევნების ჩატარება" (ბრუს ჯორჯი).

დასავლური პრესა ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ გაყალბების მიუხედავად, ოპოზიციურმა პარტიებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას. ამასთან დაკავშირებით, ბრიტანული "ინდეპენდენტი" წერს: "თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, ეს იქნება პირველი შემთხვევა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, როდესაც მმართველი პარტია დამარცხდება".

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება გაიმარჯვებს? "ლოს-ანჯელეს ტაიმსი" წერს: "ანალიტიკოსების მტკიცებით, არჩევნების შედეგები გავლენას იქონიებს იმაზე, საქართველო განაგრძობს დასავლეთისაკენ სვლას თუ ისევ რუსეთის ორბიტაში დაბრუნდება. პრეზიდენტის ბანაკში ზოგიერთი პოლიტიკოსი რუსეთთან კავშირების გაღრმავებას უჭერს მხარს. თუ უცხოელი დამკვირვებლები ჩათვლიან, რომ არჩევნები საფუძვლიანად გაყალბდა, საქართველოსადმი საგარეო მხარდაჭერა შეიძლება შემცირდეს."

ორი სიტყვით

ნიუ-იორკი. გუშინ გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 179 ხმით სამის წინააღმდეგ, სთხოვა აშშ-ს გააუქმოს კუბის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციები. სამი ქვეყანა - თავად აშშ, ისრაელი და მარშალის კუნძულები - გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო. ასამბლეა ამგვარ გადაწყვეტილებას უკვე მეთორმეტეჯერ იღებს.

■ ■ ■

ბაღდადი. 4 ადამიანი დაიჭრა გუშინ ბაღდადში კოალიციის შტაბ-ბინის ახლოს ბომბის აფეთქების შედეგად, – განაცხადა პენტაგონმა. ამავე ქალაქში გზაზე დადებულმა ნაღმმა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი იმსხვერპლა

■ ■ ■

ინდონეზია. მაშველები ჯერ კიდევ ცდილობენ წყლიდან და ტალახიდან ადამიანების ამოყვანას. ქალაქ ბუკიტ-ლავაგში მომხდარმა წყალდიდობამ 170 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

■ ■ ■

მადრიდი. როგორც გაერო-ს ატომური სააგენტოს ხელმძღვანელმა ესპანურ პრესას განუცხადა, ირანის მიერ გაკეთებული განცხადება ადასტურებს, რომ წარსულში ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას სისტემატურად არღვევდა.

■ ■ ■

საუდის არაბეთი. ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრინცმა ნაიეფმა განაცხადა, რომ მისმა უწყებამ მოახერხა დიდი ტერაქტის თავიდან აცილება, რომელიც მექაში მუსულმანი პილიგრიმების წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო და რომელსაც ბინ-ლადენის მომხრეები გეგმავდნენ

■ ■ ■

პალესტინა. იასირ არაფატსა და მის ახალ პრემიერ კურეის შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა სულ უფრო მწვავდება. დაპირისპირება შეუძლებელს ხდის როგორც ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნას, ისე სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას.

■ ■ ■

შრი-ლანკა. ამ ქვეყნის პრეზიდენტმა გუშინ გადააყენა სამი ძირითადი მინისტრი, დაითხოვა პარლამენტი და არმიას სასიცოცხლო ობიექტების დაცვა უბრძანა. ამან შრი-ლანკაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, რამაც "ტამილის ვეფხვებთან" მიღწეულ შეთანხმებას შეიძლება საფრთხე შეუქმნას.

■ ■ ■

ნიუ-იორკი. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა 16 გამოჩენილ ადამიანს სთხოვა, დაასახელონ ის უმთავრესი საფრთხეები, რომლებიც მსოფლიო მშვიდობას ემუქრება და მოამზადონ რეკომენდაციები გაერო-ს სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით.

bp

კონტრაქტორების მოწვევა წინასწარი კვალიფიკაციისათვის

კომპანია BP Caspi აწყობს კონტრაქტორებს ტენდერის წინასაკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისათვის _ საქართველოში ნარჩენების განთავსება / მართვის მომსახურების კონტრაქტის გასაფორმებლად. საქმეში იგულისხმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, სამხრეთ კავკასიის მილსადენების პროექტებისა და ბაქო-სუფსის მილსადენის პროექტის ფარგლებში ამჟამად მიმდინარე სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობის ხელშეწყობის.

ნარჩენების განთავსება / მართვის მომსახურების გაწევა

საქმეების მოცულობა
საქმეში გულისხმობს ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების ნარჩენების განთავსება / მართვის ერთეულიანი მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში, რომლის ხანგრძლივობა 25 წლამდე ვადით განისაზღვრება. საქმეშიაა მოცულობა სამი ფაზისთვის შედგება:

ტერიტორიის მესაზღვრე ფაზა
შესყიდვის ფაზაზე მოიაზრება საკვლევის ან ოპერაციის უფლების მოპოვება მიწის ნაკვეთზე საფარეველით, სადაც მომავალი ნაგებობა უნდა განთავსდეს. BP აღჭურვილ მიწის ნაკვეთს მოგვაწვდის ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ვიდიცეში.

განვითარების ფაზა
ფარეთოების ფაზა ეულისხმობს ზემოხსენებული ობიექტის მშენებლობის საფარეველით. საქმეში დეტალური საპროექტო ნახაზები და ტექნიკური სპეციფიკაციები მოქმედებელია ევროკავშირის (EU) სტანდარტების საფუძველზე და ხელმისაწვდომია კონტრაქტორებისთვის გასაცნობად. საქმეში მოიაზრება, მაგრამ არ შემოიფარგლება, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებით/კომპონენტებით, არ შემოიფარგლება რა ამით. კერძოდ:

- ინფრასტრუქტურა
- შემოღობილი ტერიტორია
- მიმდინარე ქვის მშენებლობა შემოღობილი ტერიტორიის შიგნით
- ოფისების და პერსონალის შენობების მშენებლობა
- ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია

- ნარჩენთა განთავსების სექცია
- ნარჩენთა განთავსების სექციის ამოთხრა და მოწყობა
- ფრუნტის დაყრა და დატკეპნა მაფენორალის კონტურის მიმდინარად
- დატკეპნილი თიხის მოპარკეტების მშენებლობა
- გუთანშრომის მოწყობა და მისი დაცვა
- მოპარკეტების დამცავი სამეულების და წამდინარე წყლების შეგროვების სისტემის მოწყობა და დამონტაჟება

- დაცული სამანქანე მეურნეობა
- სამეურნეო შენობა წამოსმული ბეტონის ფილებზე თანმდევი საფარეველი სისტემით
- კონტეინერების და ავტოტრანსპორტის სამრეცხაო
- ნავთობიანი წყლის სეპარატორი შლამის საქვაბით
- წამდინარე წყლების გამწმენდი სადგურები

- ობიექტთან მისასვლელის გეოდეზიწყობა
- მისასვლელი გზის შეკეთება
- რეკომენდაციის ხედის რეამდენიტაცია (კონტრაქტორის მიერ დაპროექტებული კომპონენტის)

ექსპლოატაციის ფაზა

ექსპლოატაციის ფაზა დაიწყება ვინეთარების ფაზის წარმატებით დასრულებისთანავე და გულისხმობს ობიექტის ექსპლოატაციის ეკოლოგიურ სტანდარტებს მიხედვით. ISO 14001 სერტიფიკატის მიპოვებას ობიექტის ამოქმედებიდან 12 თვის განმავლობაში და ამ სერტიფიკატის შენარჩუნების კონტრაქტის სრული ვადის განმავლობაში.

ხარისხის კონტროლი

პროექტის განვითარების ფაზა დაექვემდებარება შემოწმებითის ხარჯების კონტროლის მესამე მხარის მიერ.

მოთხოვნები
მოწვევა სამეულის მიღებაი მიეულობის შეზრუნების წინასაკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად შეეხება საქართველოში რეგისტრირებულ ეკოლოგიურ / ნარჩენების მართვის პროფილის მქონე კონტრაქტორებს ან ერთობლივ საწარმოებს, რომლის ერთ-ერთია პარტნიორი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, ინდენტიფიცირებულ მიეულებულ ხელშეკრულების მინიმუმ 5-წლიანი ვადისთვის. წინასაკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეულია არიან განვითარების ფაზის ქვეკონტრაქტორები, რომელიც შეიძლება იყოს ძირეული კონტრაქტორი, რომელსაც ბილი პირადობა შეხორციელებული აქვს მაშას, სანდოობა-სამშენებლო, ან ეკოლოგიური-სანდოობა სამეულები და რომელსაც შეეხება წარმოადგენის 30000 აშშ დოლარის და მეტი ღირებულების კონტრაქტების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაინტერესებულ მხარეებს წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტების პაკეტის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამეულო საათებში, ორშაბათიდანხუთშაბათამდე, 10 10 ნოემბრის დღის 9 საათიდან, პარასკევამდე 14 21 ნოემბრის 18 საათამდე. დოკუმენტების მიღება შეიძლება დაცვის სამსახურის მეშვეობით შენობის მისაღებში.

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. № 38, კომპანია BP-ს პროექტის ოფისი.

ბაღდადში 25 ტონა საიდუმლო დოკუმენტაცია აღმოაჩინეს

ერაყში მივლინებული სპეციალური ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებიც ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი დამუშავების პროგრამების ძებნით არიან დაკავებულნი, რამდენიმე საიდუმლო ოთახი აღმოაჩინეს, სადაც ერაყის ყოფილი ხელისუფლების საიდუმლო დოკუმენტები ინახებოდა.

"უოლ სტრიტ ჯორნალის" კორესპონდენტს ამ დოკუმენტების ხილვის საშუალება მიეცა. მისი თქმით, ოთახებში დაახლოებით 25 ტონა საიდუმლო ფურცლები ეწყო. სავარაუდოა, რომ ეს არის დოკუმენტები, სადაც ასახულია სრული ცნობები სადამის რეჟიმის აგენტურის შესახებ. გაზეთის კორესპონდენტის თქმით, ადვილი წარმოსადგენია თუ რა სკანდალი მოჰყვება ამ არქივის გამოქვეყნებას, სადაც, წინასწარი ინფორმაციით, ჩამოთვლილია ყველა ის მთავრობა, კერძო პირი თუ კომპანიები, რომლებიც ჰუსეინის რეჟიმთან თანამშრომლობდნენ.

ამავდროულად, გუშინდელი დღე ერაყში აფეთქებების სერიით აღინიშნა. აფეთქება მოხდა შიიტების წმინდა ქალაქ ქერბელში, რასაც, სულ ცოტა, ერთი ადგილობრივი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ბომბი იმ სასტუმროსთან მდგარ ავტომანქანაში იყო ჩამონტაჟებული, სადაც ირანელი სტუმრები იყვნენ გაჩერებულნი. პარალელურად, ბაღდადის ცენტრში სამი რეაქტიული ჭურვი აფეთქდა. ერთ-ერთი მათგანი ამერიკელთა სამხედრო ობიექტს მოხვდა, ხოლო ორი ჭურვი ბაღდადის ცენტრალურ ქუჩებში ისროლეს. სააგენტო "ბი-ბი-სის" კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყებოდა, რომ აფეთქებების ხმა მთელ ქალაქში ისმოდა. მისი თქმით, ამერიკელ სამხედროთა შორის მსხვერპლი არ არის.

თურქეთი ამერიკას ფავორიტიზმში ადანაშაულებს

თურქეთის ელჩმა ამერიკაში, ფარუქ ლაგოღლუმ ვაშინგტონს გუშინ ქურთებისადმი მეტისმეტ ლოიალობაში დასდო ბრალი. ელჩის თქმით, ამან ერაყში შესაძლოა, სამოქალაქო ომი გამოიწვიოს.

"ქურთები გაცილებით მეტად არიან წარმომადგენლობაში, ვიდრე წესით უნდა იყვნენ, – განაცხადა მან, - ჩვენ ვფიქრობთ, ქურთები ამერიკის ფავორიტები არიან და მათ მეტისმეტად დიდი როლი ეძლევათ ერაყის მომავალი მოწყობის განსაზღვრაში".

თავისი მოსაზრების დასტურად, ლაგოღლუს ერაყის მმართველი საბჭოს შემადგენლობა მოჰყავს, სადაც 25 წევრიდან 5 ქურთია, მაშინ როდესაც ქურთები ერაყის მთლიანი მოსახლეობის 16 პროცენტს შეადგენენ.

"თუ ერაყი ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილზე კონტროლი ქურთებმა დაამყარეს, ეს იქნება უბედურების რეცეპტი," – განაცხადა ელჩმა.

"უბედურება" ის იქნება, თუ ერაყში მოვლენები ისევე განვითარდა, როგორც 70-იანი წლების ლიბანში. "თუ გინდა, რომ ლიბანის განმეორება თავიდან აიცილო, ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში ყველა ეთნიკურ ჯგუფს თანაბარი როლი უნდა მისცე. თუ თქვენ შექმნით ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ერაყი იქნება ფედერაცია, რომელიც შეიძლება დაიშალოს, მაშინ თქვენ ახლავე ქმნით დესტაბილიზაციის საფუძველს. ნუ იზამთ ამას," – განაცხადა ელჩმა.

ლაგოღლუმ აშშ-ს მთავრობა იმის გამოც გააკრიტიკა, რომ მან საკმარისად არ იმუშავა ერაყის მმართველ საბჭოსთან, რათა ამ უკანასკნელს ქვეყანაში თურქეთის ჯარების შემოშვებაზე თანხმობა მიეცა.

თავდასხმა თურქეთის საელჩოზე

გუშინ უცნობმა მამაკაცმა სცადა, ცეცხლი წაეკიდებინა ჰოლანდიაში მდებარე თურქეთის საელჩოსათვის. მან შენობაში ცეცხლმოკიდებული ჩანთა შეაგდო. შედეგად, დაზარალდა ერთადერთი ადამიანი, რომელიც შიშისაგან ფანჯრიდან გადახტა.

თავდამსხმელის შესახებ პოლიციამ მხოლოდ ის განაცხადა, რომ იგი 16 წლის ახალგაზრდაა, რომელიც ამბობს, რომ საელჩოს დაწვა პირადი და არა პოლიტიკური მოტივებით სცადა.

თურქეთის ხელისუფლებამ პროტესტი გამოთქვა მომხდართან დაკავშირებით და განაცხადა, რომ საელჩოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება ჰოლანდიის მთავრობას არაერთხელ სთხოვა. ანკარა აცხადებს, რომ მან შეიძლება ჰოლანდიისაგან კომპენსაცია მოითხოვოს.

ბოლო 30 წლის განმავლობაში, ევროპაში მდებარე თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები არაერთხელ გახდა თავდასხმის ობიექტი ქურთული, სომხური და ბერძნული ტერორისტული ორგანიზაციების, ისევე როგორც რადიკალური მემარცხენე დაჯგუფებების მხრიდან.

სკანდალი რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში

გუშინ მთელი დღის მანძილზე უცხოელი და ადგილობრივი დამკვირვებლები, პარტიები და ჟურნალისტები N20 საოლქო კომისიაში უშედეგოდ ცდილობდნენ, მიეღოთ ის საჯარო ინფორმაცია, ოქმებისა და ჩანაწერთა წიგნის სახით, რომელიც კომისიაში უბნებიდან შევიდა. როდესაც გაირკვა, რომ ხალხი ინფორმაციის მიღების გარეშე საოლქოს არ დატოვებდა, კომისიიდან უგზო-უკვლოდ დაიკარგა საცავი ოთახის გასაღები.

მაია მოსიაშვილი

გუშინ 12 საათზე დანიშნული სხდომა საოლქო კომისიამ მეორე დღისთვის გადადო. დილით იქ მისულმა "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" და "ლეიბორისტებმა" კომისიის თავმჯდომარეს მამუკა მუმლაძეს უბნებიდან შემოსული ოქმების ჩვენება მოსთხოვეს. **"საოლქო ვალდებულია თავის სარეგისტრაციო ჟურნალში დააფიქსიროს საუბნო ჩანაწერთა წიგნში არსებული ყველანაირი დარღვევა ან ჩანაწერი. საოლქოს ვთხოვეთ ორივე მათგანის ჩვენება, რათა შედარება შევძლოთ. სამწუხაროდ, უარი მივიღეთ,"** - განაცხადა "ბურჯანაძე-დემოკრატმა" ზაზა იმედაშვილმა. მოგვიანებით სარეგისტრაციო ჟურნალში მართლაც არ აღმოჩნდა საუბნო ოქმებზე ჩანაწერები. იქ იყო მხოლოდ ალავიძის და კენკებაშვილის 97 და 47 ფურცლიანი ოქმები დარღვევების თაობაზე, ასევე - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ათი უბნის შედეგების გაუქმების მოთხოვნა, შესაბამისი დოკუმენტებით.

12 საათისთვის საოლქოში მისულმა ეუთო-ს ორმა დამკვირვებელმა - ჰანს გუტბროდმა და მატს მელინმა - იგივე თხოვნით მიმართეს კომისიას. პასუხი ასეთი იყო: ოქმები და ჟურნალები დალუქულია და საცავში ინახება. ეუთო-ს დამკვირვებლებმა სურვილი გამოთქვეს, კომისიის წევრებთან ერთად შესულიყვნენ საცავში და დალუქული დოკუმენტების გახსნა დაეფიქსირებინათ.

ამის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: საოლქო კომისიის თავმჯდომარე სტენოკარდიული შეტევით საავადმყოფოში გადაიყვანეს, ნახევარი საათის შემდეგ საოლქოში მისი მოადგილე ალეკო ედიშერაშვილი მივიდა, რომელიც სიტუაციის განმუხტვას შეეცადა და ეუთო-ს წარმომადგენლებს საცავში შეყვანას შეჰპირდა, თუმცა კატეგორიული უარი განაცხადა ოთახში მათთან ერთად ვიდეოკამერიანი ჟურნალისტის შესვლაზე. ერთსაათიანი ჭიდილის, ჟურნალისტთა კომისიიდან ძალით გაძევების მცდელობის, ასევე სხვა ოთახში განცალკევების შემდეგ ედიშერაშვილმა განაცხადა, საცავს კი გავაღებდით, მაგრამ გასაღები თავმჯდომარეს გაჰყოლია საავადმყოფოშიო. ეს საღამოს ხუთ საათზე მოხდა. რამდენიმე წუთში ედიშერაშვილი გასაღების მოსატანად წავიდა და, როგორც იტყვიან, აღარც დაბრუნებულა.

საღამოს 6 საათისათვის ნანა დევდარიანის მიერ რუსთავში მივლინებული ნოდარ ეფრემიძე საოლქო კომისიაში მივიდა. **"ცესკო-ში შეიქმნა პრობლემა, რადგან რუსთავიდან ინფორმაცია აღარ წამოვიდა. მე ნანა დევდარიანის დავალებით ჩამოვედი. აქ მითხრეს, რომ კომისიის თავმჯდომარე სასწრაფო დახმარებით წაიყვანეს, მას გაჰყვა მოადგილე, რომელსაც გასაღები უნდა მოეტანა. ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, მოიტანონ გასაღები, გაიხსნას საცავი და დაიწყოს ის პროცესები, რაც კანონით არის გათვალისწინებული,"** - განუცხადა "24 საათს" ნოდარ ეფრემიძემ. მისი მოთხოვნა ყურად არავინ იღო. პირიქით, ედიშერაშვილმა კომისიაში დარეკა, გაიგო რა ხდებოდა და საერთოდაც აღარ გამოჩნდა. ამის შემდეგ კომისიაში მყოფი პოლიციელების მხრიდან კვლავ ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების გარეთ გამოყრის მცდელობას, თუმცა მათ კორექტულობა შეინარჩუნეს და დავალება ვერ შეასრულეს.

ცესკო-ს წარმომადგენელმა, რომელიც ხუთი საათის მანძილზე ელოდა, თითქოს-და, გასაღების მოსატანად იქვე, ხუთი წუთის სავალზე, საავადმყოფოში წასულ მოადგილეს, ღამის თორმეტ საათზე "24 საათს" განუცხადა, რომ შეიძლება ის კომისიაში მთელი ღამის განმავლობაში დარჩეს. იგივე ჰქონდა განზრახული ეუთო-ს ორ დამკვირვებელს.

ჰანს გუტბროდი 12 საათის მანძილზე საცავის კართან იდგა და არც ღამით აპირებდა პოსტის დატოვებას. უცხოელთა მხრიდან საქმის ასეთმა ერთგულებამ ქართველების სინდისის ქენჯნა გამოიწვია. ბევრი იქ მყოფი წუხელ აცხადებდა, რომ სახლში არ წავიდოდა და დამკვირვებლების გვერდით დადგებოდა, ბევრიც გულწრფელ მადლობას უხდიდა უცხოელებს - ჩვენს საკეთებელს თქვენ აკეთებთო. თავად დამკვირვებლები კი ჩუმად ისმენდნენ ყველაფერს და, რა თქმა უნდა, კომენტარს არაფერზე აკეთებდნენ.

და ბოლოს, ერთი საინტერესო ინფორმაცია. "24 საათისათვის" ცნობილი გახდა, რომ საოლქოს საცავს, სადაც ბიულეტენები ინახება, მეორე კარიც აქვს, რომელიც ოთახის შიგნიდან ქაღალდებით არის დაფარული. თუ ეს მართლაც ასეა, საოლქოს სკანდალი მოელის, თუმცა უკვე არც უმაგისოდ ადგას კარგი დღე.

სახურავშეკეთებული კორპუსების მობინადრეები სიებში ვერ მოხვდნენ

ნანა ქადაგიშვილი

"კმარას" აქტივისტები დაღამებამდე დაქროდნენ თბილისის ქუჩებში.

ვახო ბესელია ფოტო

მოძრაობა "კმარამ" საპროტესტო აქციები 13.30 საათზე დაიწყო. **"ხელისუფლება საკუთარ მარცხს ვერ ეგუება და უტიფრად ცდილობს, ხალხს არჩევნების რეალური შედეგები დაუმალოს!" "ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს, ასეთ დროს ყველამ ამბიციები უკანა პლანზე უნდა გადასწიოს!"** – ასეთი შინაარსის განცხადებებითა და წითელჯვრიანი დროშების ფრიალით "კმარამ" საბურთალო-ვაკე-რუსთაველის გამზირი გაიარა და 6 საათისთვის თავისუფლების მოედანზე გაჩერდა. მერიის შენობის წინ უამრავ ახალგაზრდა თუ ხანშიშესულ მოქალაქეს მოეყარა თავი და აქციის ბოლომდე ფეხის მოცვლას არ აპირებდა. **"ჩვენს ხმებს ბოლომდე დავიცავთ, არაფერზე უკან არ დავიხევთ, გვეყო ამდენი უსამართლობა,"** – ერთხმად გაიძახოდა ყველა.

თამარ მახარობლიძე:

- 10 წლის წინათ, სამოქალაქო ომში ჩემს შვილს გადავეფარე და ორი ტყვია მომხვდა. მას შემდეგ ქუჩაში არ გამოვსულვარ, მაგრამ დღეს აქ რომ არ ვყოფილიყავი, არ შეიძლებოდა. ჩვენი უფლებები ყველანაირი ხერხით უნდა დავიცვათ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ხელისუფლებას უსამართლობა და დაცინვა არ უნდა ვაპატიოთ.

ანა დესპოტაშვილი:

- გულითა და სულით მინდოდა, რომ "ნაციონალური მოძრაობისთვის" მიმეცა ხმა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, არჩევნებში მონაწილება ვერ მივიღე, სიიდან სწორედ არჩევნების წინა დღეს ამომიღეს. ყველა ცოცხალი რომ სიებში ჩაეწერათ, მკვდარ სულებს როგორღა ჩატევდნენ? ხალხი იძულებული გახადეს, რომ ქუჩაში გამოსულიყო.

იოსებ ბაჩაგაშვილი:

- გუშინ "კურიერში" რჩეულიშვილის გამოსვლას თუ უყურეთ? ქუჩაში ნუ გამოხვალთო, რომ გაიძახოდა... როგორ არ უნდა გამოხვიდე? როდემდე ვითმინოთ ხელისუფლების პარპაში. ეს აქცია სისხლისღვრითაც რომ დასრულდეს, ჩვენი უფლებებისა და ხმების დაცვის ფასად მაინც ღირს. სანამ ხელისუფლება ჩვენს ნებას არ სცნობს, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, არაფრისაც არ მეშინია.

გულიკო ნამგალაური:

- ვარკეთილის პლატოზე 42-ე კორპუსის 11 მობინადრე საარჩევნო სიებში არ იყო, რადგან თერთმეტივე "ნაციონალური მოძრაობის" მომხრეა. ხელისუფლება კი უსირცხვილოდ გაიძახის, არჩევნები სამართლიანად ჩატარდაო. არ უნდა შევარჩინოთ ასეთი ცინიზმი.

ნანა პიტავა:

- 24-ე საარჩევნო უბანში დამკვირვებელი ვიყავი და კარგად ვიცი, არჩევნები რა სამართლიანადაც ჩატარდა. დიღმის მასივის მეორე კვარტალში საკაშვილმა რომელ კორპუსშიც სახურავები გადაახურინა, ამ კორპუსების მობინადრეები საარჩევნო სიებიდან ამოიღეს. ხალხს ამდენი უსამართლობა ყელში ამოუვიდა. პროტესტის გამოხატვა აუცილებელია, ოღონდ, არა მგონია, ეს აქცია შეტაკებაში გადაიზარდო, თუკი, რა თქმა უნდა, ხელისუფლება არ იქნება აგრესიული.

"კმარას" აქტივისტების გამოჩენამ მერიის წინ მოწყობილ აქციას მონაწილენი უხვად შემატა. მალე კი მათ ოპოზიციური პარტიის ლიდერები და მათი მხარდამჭერებიც შეუერთდნენ.

ნანა დევდარიანი მზად არის, საეჭვო შედეგები თავად გაასაჩივროს

გუშინ საქართველოში შექმნილი საგანგებო პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დღის ბოლომდე სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის მიერ გამართულ რამდენიმე პრესკონფერენციაზე სახელდებოდა ის მონაცემები, რომლებიც ცესკო-ში საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მოდიოდა.

თავად ნანა დევდარიანმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ კომპიუტერულ ბაზაში შედის ოლქებიდან ჩამოსული ინფორმაციები და მას არავის მუქარის არ ეშინია, რადგან მონაცემები ცესკო-ში არ იცვლება და კომპიუტერებში მონაცემები იმ ტელეფონოგრამების საფუძველზე ხვდება, რომელსაც ცესკო-ს საორგანიზაციო განყოფილება საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან იღებს. ამავე დროს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარტიების წარმომადგენლებს მისი მისამართით მუქარის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა. **"ციხეში ჩასმით ნურავინ დამემუქრება. მუქარის არ მეშინია და არც მათი პროტესტის გამო ვაპირებ შემაჯამებელი ოქმების გადასწორებას",** – განაცხადა დევდარიანმა ერთ-ერთ ბრიფინგზე.

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტის წარგზავნილები კი კვლავ არ ღელავდნენ. ცხადია, რომ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა სიმშვიდე სულაც არ იყო მოჩვენებითი. ხელისუფლების მიერ არაერთგზის გაკეთებული განცხადებები მათ წყნარად ყოფნის საფუძველს ნამდვილად აძლევდა.

დღის მეორე ნახევარში ცესკო-ში უკვე შემოსული იყო ქვემო ქართლის საარჩევნო ოლქებიდან ჩამოსული მონაცემები, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელისუფლებო ბლოკის პოზიციები უფრო გაამყარა. მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ ხმებს აჭარიდან.

მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ბათუმში თავად ბადრი პატარკაციშვილი გაემგზავრა. ამის შემდგომ კი პოლიტიკურ კულუარებში იმაზე დაიწყეს საუბარი, რომ ეს ვიზიტი საარჩევნო ვაჭრობას უკავშირდებოდა და ასლან აბაშიძესთან შეხვედრა ხმების გადანაწილებას ისახავდა მიზნად. თუმცა, ვისთვის გაისარჯა ასე ბადრი პატარკაციშვილი და ვისთვის აპირებდა აჭარის ხელმძღვანელისაგან ხმების ყიდვას, ამაზე პირდაპირ, ღიად არავინ საუბრობდა, მაგრამ გამოითქმებოდა ერთი, საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნება – ეს ვიზიტი იმ პოლიტიკურ ძალას დასჭირდა, ვინც გუშინ საღამოს არც "ნაციონალების" და არც "გაერთიანებული დემოკრატების" გვერდით არ დადგა.

მოგვიანებით ეს ინფორმაცია პატარკაციშვილის პრესმდივანმა კატეგორიულად უარყო. **"გაუგებარია ამ დეზინფორმაციის გავრცელების მიზეზი, მით უფრო, რომ ბადრი პატარკაციშვილი ამ წუთებშიც თავის რეზიდენციაში, საკუთარ სამუშაო კაბინეტში იმყოფება",** - აცხადებდა გუგა კვიტაშვილი.

და კიდევ: გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სამთავრობო ბლოკის წარმომადგენლებმა არაერთხელ გაგვიმეორეს, რომ ორი ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვა სახელისუფლებო ბლოკმა. მეორე მხრივ კი, დასძენდნენ, რომ სრულ სურათს ჯერაც არ ფლობდნენ. თანაც, ჩვენთან საუბარში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ საბოლოო შედეგებზე საუბარი ნაადრევია. თანაც, მისი თქმით, თუკი პირადად მას რომელიმე ოლქიდან ჩამოსული მონაცემები საეჭვოდ მოეჩვენება, იგი თავად გაასაჩივრებს ამ შედეგებს. მისივე თქმით, დღევანდელი სურათით ძნელია, ისაუბრო იმაზე, თუ რომელი ოლქიდან მოსული შედეგებია საეჭვო, მაგრამ იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს. განსაკუთრებით დაძაბული ვითარებაა შექმნილი საქართველოს დედაქალაქში. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ გაურკვეველია, რომელმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ამას ცესკო-ს თავმჯდომარე თავად ოლქებში შექმნილი ურთულესი მდგომარეობით ხსნის.

პარტიათა შედეგები კი საღამოს ცხრა საათისთვის ასე გამოიყურებოდა: **ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" - 23,7 პროცენტი, "ნაციონალური მოძრაობა" - 23.0 პროცენტი, "ლეიბორისტული პარტია" - 13,4 პროცენტი, "ბურჯანაძე დემოკრატები" - 8,5 პროცენტი, "ახალი მემარჯვენეები" - 7,3 პროცენტი, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" - 6,7 პროცენტი და ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 6,3 პროცენტი.**

24 საათი

„ამას ყველაფერი შეიძლება დავარქვათ, არჩევნების გარდა"

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ქვემო ქართლსა და აჭარაში არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვს

"დაგვაკვირდით, გვიყურეთ, რა პრობლემაა, მაინც იმას გავაკეთებთ, რაც ჩვენ გვინდა!" - ასე ეუბნებოდნენ ჩვენს დამკვირვებლებს ქვემო ქართლში კომისიის წევრები და საარჩევნო უბნებთან მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ცინიზმმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, როცა დამკვირვებლებს შეუვსებელი, მაგრამ ბეჭედდარტყმული და ხელმოწერილი ოქმის ბლანკები გამოატანეს: "წაიღეთ და რაც გინდათ, ის ჩაწერეთო." გუშინ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ თინათინ ხიდაშელმა საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარა. ასოციაციის წარმომადგენლები ქვემო ქართლში მომხდარ გაუგონარ დარღვევებზე საუბრობენ და არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვენ.

ვერიკო თევზაძე

"ქვემო ქართლში კომისიის წევრები სპეციალურად აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდნენ, თუმცა ჩვენ მაინც ვარჩევდით გვარებს, რომელთა შესახებ ისინი ხალხს მიუთითებდნენ – ხმა მიეცითო. დაბა კაზრეთის გამგებლის მოადგილეს არაფერი დაუმალავს, გუშინ მან გვითხრა: "დიახ, მივუთითებდით ამომრჩეველს, თუ ვისთვის მიეცათ ხმა, რადგან თავად გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ჩვენ ვეხმარებოდით გადაწყვეტილების მიღებაში. დიახ, ვაძლევდით კომისიის წევრებს ინსტრუქციებს, რადგან მათ არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ." ყველგან ღია აგიტაცია მიმდინარეობდა, ბევრგან თავად კომისიის წევრები ხაზავდნენ ბიულეტენებს... პერიოდულად შუქს აქრობნენ და შემდეგ ყუთში ბიულეტენებს ყრიდნენ. ბოლნისის ერთ-ერთ უბანზე შეეშალათ, ჯერ ბიულეტენები ჩაყარეს და შემდეგ ჩააქრეს შუქი... ამას ყველაფერი შეიძლება დავარქვათ, არჩევნების გარდა. ბოლნისის რაიონის სოფელ ცურტავში ბიულეტენებს დიპლომების საფუძველზე გასცემდნენ. ქალები ქალიშვილობის გვარების პასპორტებით აძლევდნენ ხმას, სიებში კი სულ სხვა გვარები იყო ფიქსირებული. 12 საათისთვის აქ 340 ამომრჩეველი მოვიდა, მათგან 232 უსაბუთო იყო, მაგრამ ყველას მისცეს ხმის მიცემის უფლება... მუხრანის №32 უბანზე სკოლის მასწავლებელმა საბირამ (გვარი ჩვენთვის უცნობია) ერთდროულად ათი ბიულეტენი მიიღო... მარნეულის სოფელ ყიზილაჯლოს №46 უბანში მარნეულის პოლიციის უფროსი და გამგებელი, 15 შეიარაღებულ პირთან ერთად, უბანში შეიჭრნენ. მათ დაიტაცეს ბიულეტენები, ორ რიგად ჩამწკრივდნენ და ბიულეტენებში პირველ და მეორე ნომრებს ხაზავდნენ. საღამოს 20 საათზე გაურკვეველი ჯგუფი შეიჭრა ამავე უბანში, დაამტვრია საარჩევნო ყუთი. აკრეფილი ბიულეტენების დათვლისას არც ერთ კონვერტზე არ აღმოჩნდა ბეჭედი, დამკვირვებელთა გაპროტესტების შემდეგ ყველანი გამოაძევეს უბნიდან... ქვემო ქართლში ბიულეტენების ქსეროასლები დაამზადეს... კაზრეთში საარჩევნო ყუთმა მასობრივ ჩაყრებს ვერ გაუძლო და გატყდა... ერთ-ერთ ჩვენს დამკვირვებელს საკვები მოჰპარეს, რათა ცოტა ხნით მაინც დაეტოვებინა საარჩევნო უბანი..."** ეს არის ფრაგმენტები იმ დარღვევებისა, რომლებიც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებლებმა გამოავლინეს ქვემო ქართლში. გუშინწინ მათ საჩივრები შეიტანეს საოლქო კომისიაში. ასოციაციის თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი პრესას დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში გააცნობს მრავლისმთქმელ ფოტო და ვიდეომასალას. ხიდაშელის თქმით, აჭარაში უბნების დახურვის შემდეგ დამკვირვებლებს გაურკვეველი მიზეზის გამო განუცხადეს, გარეთ ვერ გახვალთო. **"მათ აჭარის ტერიტორია ეუთო-ს წარმომადგენელთა დახმარებით დატოვეს. ჩოლოქზე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ეს ადამიანები ეუთო-ს რომ გამოეყვანა."**

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ქვემო ქართლისა და აჭარის არჩევნების შედეგების გაუქმებისთვის იბრძოლებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვს როგორც ქვემო ქართლში, ასევე აჭარაში. **"დარღვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, აჭარაში არჩევნების ჩატარების არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა"**, - აღნიშნავს ხიდაშელი და დასძენს: **"ხელისუფლება ტყუილად ელოდება - ჩვენ მას ფიანდაზით არ მივართმევთ გაყალბებულ ხმებს ქვემო ქართლიდან და აჭარიდან."**

გაზეთი ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცენდენტი აჭარაში

ორი სიტყვით

თბილისი. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას საარჩევნო უბნებზე მომხდარ დანაშაულებზე ექვსი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. შს სამინისტროს პრესმდივნის პაატა გომეულაურის ინფორმაციით, ოთხ საქმეს პროკურატურა, ხოლო ორს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის რაიონული სამსახურები იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ადვოკატთა ტესტირება იწყება. დღეს 250 ადვოკატი გამოცდას პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩააბარებს. ადვოკატმა 100 ტესტიდან სწორი პასუხი 75-ს უნდა გასცეს. გამოცდებს უცხოელი და ქართველი დამკვირვებლები დაესწრებიან. იუსტიციის საბჭოს ცნობით, საქართველოში ადვოკატთა ტესტირება სულ სამ ეტაპად ჩატარდება. გამოცდების მორიგი ეტაპი 2004 წლის აპრილშია დანიშნული.

ამ ეტაპზე ტესტირებას 1400 იურისტი გაივლის. ისინი გამოცდებს საერთო სპეციალიზაციაში (სისხლისა და სამოქალაქო სამართალში ერთად), სამოქალაქო და სისხლის სამართალში ჩააბარებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამმართველოს ეკონომისტი კახა ფარჩუკაშვილი მეტროსადგურ „ახმეტელის“ ქვედა ვესტიბიულში ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ფარჩუკაშვილს შეღაპარაკება მოუხდა მეტროს სადგურში, რა დროსაც მან „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან უმისამართოდ ისროლა და გვირაბში მიიმალა. ფარჩუკაშვილი მეტროპოლიტენის პოლიციამ დააკავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისში, გუშინ, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები დააკავეს. 23 წლის ბესიკ კუპრაშვილი, რომელიც სხვადასხვა ხულიგნობის ჩადენის გამო იძებნებოდა, ამჟამად ქუთაისის ციხეშია გადაყვანილი. გუშინვე სამართალდამცველებმა ხულიგნობისთვის კიდევ ერთი კრიმინალური ავტორიტეტი - 22 წლის შოთა თევდორაძე დააკავეს. იგი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, წინააღმდეგობა გაუწია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელს, პოლიციის ლეიტენანტს გრიგოლ ბეშიძეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ზესტაფონი. ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში გამავალ საავტომობილო გზაზე 3 ნოემბერს მომხდარ ავარიას ერთი ადამიანის სოცოცხლე ემსხვერპლა. ქუთაისის მიმართულებით მოძრავი თერჯოლელი კახა აბესაძე თავისი ავტომანქანით დაეჯახა "ვაზ-21-07" მარკის ავტომანქანას, რომელსაც ზესტაფონელი 35 წლის მირზა ნებიერიძე მართავდა. ნებიერიძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შექმნილი ახალი საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ მერაბ გელოვანი დანიშნა. ამჟამად დეპარტამენტის თანამშრომლებით დაკომპლექტების პროცესი გრძელდება, რომელიც ნოემბრის თვეში უნდა დასრულდეს.

მერაბ გელოვანი წლების მანძილზე მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში, იყო ზესტაფონის რაიონის პროკურორი, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი და გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსის მოადგილე. საგამოძიებო დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი უწყების - საგანგებო ლეგიონის გაუქმების შემდეგ შეიქმნა. ამით ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული მოკვლევისა და გამოძიების ფუნქცია მიენიჭა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საბაჟო პუნქტები უსაფრთხოების ხელსაწყოებით აღიჭურვება, რომლებითაც რადიაქტიული და ასაფეთქებელი ნივთიერებების შემოტანა და გატანა გაკონტროლდება. როგორც რადიაქტიური უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, ამით შესაძლებელი გახდება საზღვარზე რადიაციული და ასაფეთქებელი ნივთიერებების გატანაზე კონტროლის გამკაცრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ახალციხე. არჩევნების დღეს, 2 ნოემბერს ღამით, უცნობმა პირებმა ახალციხის "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ოფისის კარები გატეხეს და გაიტაცეს სეიფი, რომელშიც 8 ათას 100 ლარი იყო მოთავსებული. ეჭვმიტანილების ვინაობა, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის თემურ მღებრიშვილის განცხადებით, აღნიშნული სამსახური ყოველთვის მობილიზებულია, რათა მასობრივი თავშეყრის ადგილებში დაუყოვნებლივ აღიკვეთოს კანონდარღვევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის პოლიციამ ორი ახალგაზრდა დააკავა, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება ედებათ ბრალად. დაკავებულებს ხელჩანთაში უპოვეს "აკმ"-ის სისტემის ავტომატი 2 მჭიდითა და 53 საბრძოლო ვაზნით, ასევე - "F-1" ტიპის ხელყუმბარა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბაღდათი. დღეს, დილით, ბაღდათის რაიონის პოლიციამ სოფელ თერსათში მცხოვრები ორი მამაკაცი დააკავა, რომელთაც ავტომანქანის გატაცება ედებათ ბრალად. ბაღდათის პოლიციის განცხადებით, დაკავებულებმა აღიარეს, რომ ქუთაისელ ერეკლე დიდიძეს სულხან-საბას გამზირიდან "ვაზ-21-06" მარკის ავტომანქანა გასტაცეს. დაკავებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე 184-ე მუხლის II ნაწილით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

„ნაციონალების„ ოფისზე თავდამსხმელს ხულიგნობის ბრალდება წარუდგინეს

თამარ კაკიტაძე

საარჩევნო დაძაბულობა საქართველოში კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ხელისუფლება გამარჯვებისთვის არანაირ უკანონო ხერხს არ ერიდება. აქედან გამომდინარე, არც ამ ქმედების ზუსტი გაშიფვრაა იოლი; მით უმეტეს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ, რათა საკუთარ "მბრძანებლებს" კეთილშობილი სახე შეუნარჩუნონ.

არღვლიანმა "ნაციონალების" ოფისს პროფესიონალის პისტოლეტიდან ესროლა.

"ძნელი სათქმელია, ზუსტად რა მოხდა "ნაციონალური მოძრაობის" ოფისის წინ. ფაქტია, ის პიროვნება, რომელმაც რამდენჯერმე მოახდინა გასროლა, ძალიან დიდხანს ტრიალებდა ოფისთან და დაცვის წევრებმა მისი მოშორება ვერ მოახერხეს. ასევე ფაქტია ისიც, რომ ელდარ არღვლიანი, რომლიც ნასვამი იყო, უმისამართოდ, ჰაერში კი არ ისროდა, არამედ იარაღი დაუმიზნა ოფისს და მიშა სააკაშვილის მძღოლს. საინტერესოა, კიდევ ერთი გარემოება, არღვნიანს ჰქონდა პროფესიონალების პისტოლეტი. ვინ ან რატომ მისცა ეს იარაღი, გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეჭვის დონეზე იმის მტკიცებას მაინც ვერ დავიწყებთ, რომ არღვლიანი ვინმეს შეკვეთას ასრულებდა და ვინმეს მოკვლა უნდოდა, ეს სამართალდამცველებმა უნდა დაადგინონ. ვიდრე გამოძიება საბოლოო დასკვნას არ გააკეთებს, ჩვენ ეჭვის დონეზე არავის დავადებთ ხელს.

ერთი კი ფაქტია, ამ არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა შევარდნაძემ აშკარად დაინახა, რომ დღეს თუ ხვალ მას მიშა სააკაშვილი შეცვლის, ამიტომ არც ის არის გამორიცხული, რომ მისი მოშორება უნდოდეს". – აღნიშნა ჩვენთან საუბარში "ნაციონალური მოძრაობის" უკვე მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი თარგამაძემ.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ, დაახლოებით საღამოს რვის ნახევარზე, "ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისს და პარტიის ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მძღოლს ერთმა პიროვნებამ ცეცხლსასროლი იარაღიდან (სავარაუდოდ, "მარგოლინის" მარკის მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან) რამდენჯერმე ესროლა. სროლის შედეგად არავინ დაჭრილა, თავდამსხმელი კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გულრიფშის რაიონის სოფელ აჟარიდან დევნილი ვინმე ელდარ არღვლიანი აღმოჩნდა.

სააკაშვილის დაცვის წევრებმა არღვლიანი დააკავეს და იგი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებს გადასცეს. ვინაიდან დამნაშავე ინციდენტის ღამეს ნასვამი იყო, ამიტომ მისი დაკითხვა მხოლოდ გუშინ მოხერხდა.

"ამ ეტაპზე ვერ გამოიკვეთა ის, რომ არღვლიანს მიზნად ჰქონდა "ნაციონალების" ოფისზე თავდასხმა ან ვინმეს მოკვლა. როგორც დაკითხვისას აღნიშნა, მას შელაპარაკება სააკაშვილის დაცვის წევრებთან მოუვიდა და ამის შემდეგ უმისამართოდ ისროლა. თუმცა, არღვლიანმა სამართალდამცველებს ვერ წარმოუდგინა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამიტომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონო ტარების და ხულიგნობის მუხლებით აღიძრა. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და დღეს აღმკვეთი ღონისძიების შესაფარდებლად სასამართლოს მივმართავთ", – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მთაწმინდა-კრწანისის რაიონის კრინიმალური პოლიციის უფროსმა ზაზა ჭაიამ.

ჩხარტიშვილის საარჩევნო შტაბს ესროლეს

ვანო ჩხარტიშვილის შტაბის დაცხრილული ფანჯრები

ორი დღის წინ, დაახლოებით ათ საათზე, ოზურგეთში, ვანო ჩხარტიშვილის საარჩევნო შტაბზე თავდასხმა მოხდა.

დაუდგენელმა პიროვნებამ ავტომატური იარაღით რამდენჯერმე შტაბის მისამართით გაისროლა. თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია. სროლის შედეგად დაზიანდა შტაბის მინები. რამდენიმე ტყვია კი მოხვდა ოფისის წინ გაჩერებულ პოლიციის მანქანას, სადაც რამდენიმე პოლიციელი იჯდა. სამართალდამცველებს დამნაშავე არ დაუფიქსირებიათ. თვითმხილველთა თქმით, ერთი პიროვნება რკინიგზის სადგურის მიმართულებით გარბოდა და თან ისროდა. ელოდებოდა თუ არა ვინმე დამნაშავეს, არავინ იცის.

მომხდართან დაკავშირებით ოზურგეთის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონო ტარებისა და სხვისი ქონების განადგურების მუხლებით აღიძრა.

პროკურორის იაკობ დოლიძის თქმით, სამართალდამცველები დამნაშავეს ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებენ. თუმცა, იქაური სამართალდამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ დამნაშავეს უახლოეს დღეებში დააკავებენ.

24 საათი

თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ

"თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" – ამ საქმეს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო 19 ნოემბერს განიხილავს. საუბარია, ბათუმის თამბაქოს ქარხნის ყოფილი დირექტორის, ბათუმის ექსმერის თენგიზ ასანიძის საქმეზე. თენგიზ ასანიძის შვილის - დავით ასანიძის ცნობით, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ უნდა განიხილოს სარჩელი, რომლითაც თენგიზ ასანიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებას და უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს.

თენგიზ ასანიძე 1994 წელს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებისთვის გაასამართლეს და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

1999 წლის პირველ ოქტომბერს იგი პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეიწყალა, მაგრამ ასლან აბაშიძემ იგი პატიმრობიდან არ გაათავისუფლა.

აჭარის პროკურატურამ, პრეზიდენტის შეწყალების აქტის მიუხედავად, იმავე წლის 11 დეკემბერს ასანიძის მიმართ სისხლის სამართლის ახალი საქმე აღძრა ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსის ვაჟა გოგიტიძის გატაცების მცდელობის ბრალდებით, რისთვისაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2001 წლის 29 იანვარს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა აჭარის სასამართლოს განაჩენი, მსჯავრდებული თენგიზ ასანიძე უდანაშაულოდ ცნო და მისი პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

უზენაესი სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის მიუხედავად, თენგიზ ასანიძე კვლავაც ბათუმის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორის ტუსაღია.

ყოფილი მძევალი ჩვენებას იძლევა

ორთვიანი მძევლობიდან გათავისუფლებული როლანდ ჩანგელია ადასტურებს, რომ ის მთელი ამ ხნის განმავლობაში აფხაზ კრიმინალს, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სპეცრაზმის მეთაურს ვალერ ბუთბას ჰყავდა დატყვევებული. რატომ და რისთვის - მძევლად ყოფილი ვერ აკონკრეტებს. ზუგდიდიდან მოტყუებით გატაცებული და გუშინწინ ენგურის ხიდზე დატოვებული როლანდ ჩანგელია გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ზუგდიდელ სამართალდამცველებს აძლევდა ჩვენებას. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მისი ბოლომდე დაკითხვა ვერ მოხერხდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი თავს შეუძლოდ გრძნობს.

"გამტაცებლები არ მახსოვს, თვალები ამიხვიეს, ისინი მე არ მინახავს. ვიცი, რომ ბუთბასთან ვიყავი. ჩემს გათავისუფლებაში აფხაზი კრიმინალი ფულს რომ ითხოვდა, გუშინ, გათავისუფლების შემდეგ გავიგე", - აცხადებს როლანდ ჩანგელია. არადა, გატაცების მეორე დღესვე ჩანგელიას ოჯახის წევრები ირწმუნებოდნენ, რომ თავად გატაცებულმა დარეკა სახლში და ოჯახს უთხრა, რომ თუ მის გათავისუფლებაში 80 ათას დოლარს არ გადაიხდიდნენ, მას ცოცხალს ვეღარ ნახავდნენ.

"შენ პატიოსანი ყოფილხარ, არ ყოფილხარ ის კაცი, ვინც მე მჭირდებოდაო", – ვალერ ბუთბას ეს სიტყვები გამხდარა როლანდ ჩანგელიას გათავისუფლების მიზეზი. ამას თავად ყოფილი მძევალი იხსენებს. სამართალდამცველები ჩანგელიას უხმაუროდ გათავისუფლების მიზეზს სხვაგვარად ხსნიან: "მისი გათავისუფლება განაპირობა იმან, რომ გატაცებაში ეჭვმიტანილები დავაკავეთ და გატაცებულის ადგილსამყოფელის შესახებ მონაცემები გადავეცით როგორც აფხაზურ, ასევე რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს", - ასეთია სამართალდამცველთა განმარტება.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ როლანდ ჩანგელია აფხაზმა სეპარატისტებმა ენგურის ხიდამდე მიიყვანეს და ოჯახში დაბრუნების უფლება მისცეს. როგორც სამართალდამცველები ამტკიცებენ, მძევალი გამოსასყიდი თანხის გადახდის გარეშე გაათავისუფლეს. რა მოხდა სინამდვილეში, რა გახდა ჩანგელიას გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი და რამ აიძულა ვალერ ბუთბა, ოჯახში დაებრუნებინა ქართველი მძევალი მაშინ, როცა მას მთელი ორი თვის განმავლობაში არ თმობდა - ძნელი სათქმელია. საეჭვოა, გამოძიებამ გატაცება-გათავისუფლების ნამდვილ მიზეზებს ბოლომდე ახადოს ფარდა.

24 საათი

შსს კვლავ გაძლიერებული რეჟიმით იმუშავებს

"შინაგან საქმეთა სამინისტრო ყაზარმული მუშაობის რეჟიმიდან გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა და ასე გაგრძელდება, მანამ, ვიდრე ახალი პარლამენტის პირველი სხდომა არ შეიკრიბება,"- განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ რუბენ ასანიძემ. მისი თქმით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შსს-ს ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს კვლავაც გაძლიერებული რეჟიმით იმუშაოს; მით უფრო, რომ რიგი პოლიტიკოსების მხრიდან კვლავაც არასასურველი მუქარები ისმის. **"პოლიცია მაქსიმალურადაა მობილიზებული ექსცესებისა და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, რადგან ჯერ კიდევ არსებობს ოპერატიული ინფორმაციები შესაძლო პროვოკაციების თაობაზე,"** - განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

რაც შეეხება შინაგან ჯარს, რომელიც არჩევნების დროს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წესრიგის დასაცავად იყო გადანაწილებული, მათი ნაწილი დაუბრუნდა დისლოკაციის ადგილს, "ხოლო ნაწილი იქ დარჩა, სადაც მათი დატოვება ისევ იყო საჭირო," - განაცხადა ასანიძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაძლიერებული რეჟიმით მუშაობდა, ხოლო 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, 29 ოქტომბრიდან, ყაზარმული მუშაობის რეჟიმზე იყო გადასული. **პრაიმ ნიუსი**

მოსკოვის სასამართლო საქართველოდან ექსტრადირებულ ტუსაღებს ასამართლებს

მოსკოვში დაიწყო ვოლგოდონსკისა და მოსკოვის ტერაქტების ორგანიზებაში ბრალდებული ადამ დეკუშევისა და იუსუფ კრიმშამხალოვის სასამართლო პროცესი.

რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეს, რომელსაც "გრიფით საიდუმლო" ადევს, მოსკოვის საოლქო სასამართლოში დახურულ კარს მიღმა განიხილავენ. სასამართლო პროცესზე ჟურნალისტთა დასწრება აკრძალულია.

იუსუფ კრიმშამხალოვს და ადამ დეკუშევს ბრალი ედებათ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრობაში, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობაში, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობებში, იარაღის უკანონო დამზადებასა და შენახვაში.

რუსეთის გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 1999 წლის 8 და 13 სექტემბერს, მოსკოვში, ხოლო 1999 წლის 16 სექტემბერს, ვოლგოდონსკში მომხდარი ტერაქტების ორგანიზატორი 9 კაცი იყო - ალ-ხატაბი, აბუ უმარი, აჩემაზ გოჩიაევი, ხაკიმ აბაევი, დენის საიტაკოვი, ზაურ და თემურ ბატჩაევები, იუსუფ კრიმშამხალოვი და ადამ დეკუშევი.

რუსეთის სპეცსამსახურების ინფორმაციით, ალ ხატაბი და აბუ უმარი რუსმა სამხედროებმა ჩეჩნეთში, ერთ-ერთი სპეცოპერაციის დროს გაანადგურეს. ჩეჩნეთში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაიღუპა ასევე ზაურ ბატჩაევი, ხოლო მისი ძმა თემურ ბატჩაევი საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველი ძალოვანების მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს იყო ლიკვიდირებული.

იუსუფ კრიმშამხალოვი ტერორისტული ჯგუფის ლიდერის აჩემაზ გოჩიაევის მარჯვენა ხელია. გოჩიაევის დაჯგუფების ნაწილი ქართველმა სამართალდამცველებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს და დაუყოვნებლივ რუსეთს გადასცეს. როგორც ცნობილია, ქართველმა ძალოვანებმა ადამ დეკუშევი ურეკში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს, ხოლო იუსუფ კრიმშამხალოვი - ლაგოდეხში დაგეგმილი ოპერაციისას. სწორედ ლაგოდეხის ოპერაციის დროს დაიღუპნენ გოჩიაევის ჯგუფის სამი წევრი; მათ შორის - თემურ ბეტჩაევი.

საქართველოდან რუსეთში ექსტრადირებულმა იუსუფ კრიმშამხალოვმა რუს სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენება თავიდანვე ჩააბარა. მან დეტალურად აღწერა, თუ როგორ იგეგმებოდა ტერაქტები და არც ის დაუმალავს, რომ გოჩიაევის ტერორისტული ჯგუფის წევრები ტერორისტულ წვრთნას ხატაბის მეთაურობით პანკისის ხეობაშიც გადიოდნენ. მეორე ბრალდებული ადამ დეკუშევი რუსეთის პროკურატურის მიერ წაყენებულ მძიმე ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

რუსეთის პროკურატურის ინფორმაციით, აჩიმეზ გოჩიაევი და ხაკიმ აბაევი, რომლებზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, საქართველოს ტერიტორიაზე აფარებენ თავს. რუს სამართალდამცველთა განცხადებით, მათ არაერთხელ მიმართეს ქართველ კოლეგებს ძებნილთა დაკავების თხოვნით, მაგრამ - უშედეგოდ.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო არ ადასტურებს რუსეთის სამართალდამცველი სტრუქტურების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ტერორისტობაში ბრალდებულთა - აჩემაზ გოჩიაევისა და ხაკიმ აბაევის საქართველოში ყოფნის შესახებ.

"აღნიშნული ინფორმაცია პერმანენტულად მოწმდება ოპერატიული არხებით, მაგრამ არასოდეს დადასტურებულა," - აცხადებს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი ნიკა ლალიაშვილი.

მისი თქმით, ქართულმა მხარემ დააკავა და რუსეთს გადასცა ადამ დეკუშევი, შემდეგ - იუსუფ კრიმშამხალოვი. "საქართველოს უშიშროების სამინისტრო და რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური შედეგიანად თანამშრომლობს და ეს ურთიერთთანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება, საქართველოს უშიშროების სამინისტრო რუს კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობისთვის მზადაა," – განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.

24 საათი

რუსეთის სამხედრო შტაბი ვალერი ხაბურძანიას განცხადებას უარყოფს

ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს უშიშროების მინისტრის მიერ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მცხეთაში, ჯვრის მონასტრის სიახლოვეს მდებარე სამალავში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით იარაღი და ასაფეთქებელი მასალა, რომელიც ქართველ ბოევიკებს სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ჰქონდათ, შეიძლება ქვეყანაში დისლოცირებული რუსული ბაზებიდან მოხვედრილიყო სამალავში.

ასეთი განცხადება გააკეთა საჯარისო დაჯგუფების პრესსამსახურის უფროსმა ალექსანდრე ლუკაევიჩმა, **"საქართველოში არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე იარაღი სრულად არის დაცული და საიმედოდ კონტროლდება,"** – განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ქართული სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბს აღნიშნულ საკითხზე არ დაბოდა და თან ისროდა. ელოდებოდა თუ არა ვინმე დამნაშავეს, არავინ იცის.

მომხდართან დაკავშირებით ოზურგეთის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონო ტარებისა და სხვისი ქონების განადგურების მუხლებით აღიძრა.

პროკურორის იაკობ დოლიძის თქმით, სამართალდამცველები დამნაშავეს ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებენ. თუმცა, იქაური სამართალდამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ დამნაშავეს უახლოეს დღეებში დააკავებენ.

24 საათი

პატიმართა ხმები ხელისუფლებამ მიიღო

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფმა ხმის უფლების მქონე განსასჯელებმა ყველაზე მეტი ხმა სახელისუფლებო ბლოკს მისცეს. ამის შესახებ განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ.

მისი თქმით, გაცილებით ნაკლები ხმები მიიღო ბლოკმა "საკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა", ხოლო კიდევ უფრო ნაკლები - "ლეიბორისტულმა" პარტიამ. არჩევნებში მონაწილე სხვა დანარჩენ პარტიებს პატიმრებისგან ხმები არ მიუღიათ. კაკაბაძის თქმით, ციხეში ხმის მიცემის პროცესზე, ძირითადად, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა იმოქმედეს, რომელ პარტიასაც მეტი გავლენა ჰქონდა ციხის ავტორიტეტებზე, არჩევნებში პატიმრების ხმებიც მან მიიღო.

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე განსასჯელებისათვის საარჩევნო უბნები გახსნილი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებების პირველ და მეხუთე, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის საპყრობლეებში, ასევე ციხის სამედიცინო დაწესებულებაში.

არჩევნებისათვის 2600-მდე ხმის უფლების მქონე განსასჯელი იყო რეგისტრირებული, არჩევნებში მონაწილეობა კი 2300-მა პატიმარმა მიიღო. საარჩევნო პროცესს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და უცხოელი დამკვირვებლები ესწრებოდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის პირობითი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი „ლიდერი“

აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:

1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermediate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფმეშვიდწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:

- საოფისე პროგრამები (Word, Excel),
- Windows,
- მულტიმედია,
- ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.

მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83, მისამართი: ნუცუბიძის 223.

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ВСЕ РОВНО, МЫ БРАТЬЯ!

გვეუბნება შვილმკვდარი აფხაზი დედა

ბოლო დროს ქართულ პრესაში დაიბეჭდა წერილები აფხაზეთში დაღუპული მეომრების გადმოსვენებისა და ამოცნობის შესახებ. ამ თემასთან დაკავშირებით "24 საათს" მოაკითხა საქართველოს ტყვეთა გაცვლისა და მოძიების სახელმწიფო კომისიის წევრმა ალიბაბა ჩადუნელმა. იგი ჯერ კიდევ ომის დროს იყო დაკავებული აღნიშნული საქმიანობით და დღესაც უმეტეს დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაღუპულ მეომართა ძიებაში ატარებს.

"ნუ გააღიზიანებთ გამწარებულ ხალხს"

ალიბაბა ჩადუნელი: "მე არ მოვსულვარ იმისთვის, რომ ვინმეს საპასუხო განცხადებები გავაკეთო, თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ თემაზე გამოქვეყნებულ წერილებში ბევრი უზუსტობაა გაპარული. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ამ შეცდომების გამო ეს წერილები ვერ წაადგება ქართულ-აფხაზური შერიგების პროცესს და შესაძლოა, ნეგატიური როლიც კი ითამაშოს. ამიტომ ყველა ჟურნალისტს ვთხოვ, როცა ასეთ საპასუხისმგებლო საკითხებს ეხება, ყველაფერი კარგად გაარკვიოს. ბოლოს და ბოლოს ყოველი დაღუპული მეომრის უკან დგას გამწარებული დედა. მამა, ოჯახი, ნათესავები. როგორ შეიძლება მათზე არ ვიზრუნოთ და ისინი ასე დაუფიქრებლად გავაღიზიანოთ.

ყველას გასაგონად მოკლედ ვიტყვი იმ ურთიერთობების შესახებ, რაც დაღუპულთა მოძიებისა და გადმოსვენების საქმეში ქართველებსა და აფხაზებს გვაკავშირებს. ეს არის ერთმანეთისადმი ჭეშმარიტად ძმური, ნათესავური და ჭირისუფლური დამოკიდებულება.

ჩვენი სახელმწიფო კომისია ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც თავისუფლად შედის და საქმიანობს აფხაზეთში. ჩვენ პრობლემები არა გვაქვს.

1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერაში თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა, დაღუპული ბიჭები იქვე ბაბუშერის სასაფლაოზე დაკრძალეს. დაბლა ცელოფანი დაუფინეს, ზემოდანაც ცელოფანი გადააფარეს და ზედ ტოტები დაალაგეს. იმ დროს არავინ არ გადმოგვისვენებია. იქ იმყოფებოდა ორი დაღუპული მეომრის მშობელი - ტარიელ ჯანელიძე და მერაბ ქუჩიშვილი. მათ სურდათ შვილების გადმოსვენება, მაგრამ ვერ მოახერხეს და ისინი ცალკე დამარხეს ამერიკელ ჟურნალისტ ალექსანდრე ტეტრასთან ერთად. სულ 84 ადამიანი დაიღუპა. გადმოსასვენებელი დაგვრჩა 36 ცხედარი. შეთანხმება მიღწეულია და 10 ნოემბრამდე გვინდა ამის გაკეთება. თვითმფრინავიდან ცოცხალი გადარჩა 25 კაცი და არა თოთხმეტი, როგორც ეს პრესაში დაიბეჭდა.

ჩვენმა სახელმწიფო კომისიამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ამ ხნის განმავლობაში კარგად გავიცანი დაღუპული ბიჭების ოჯახის წევრები. მე ვიცი მათი მდგომარეობა და ამიტომ მინდა ვთქვა – ნუ გააღიზიანებენ ამ გამწარებულ ხალხს. ეს ეხება ჟურნალისტებსაც და მათ რესპონდენტებსაც.

მოძიებისა და გადმოსვენების საქმეში ორივე მხარე ჯერ კიდევ ომის დროს ვეხმარებოდით ერთმანეთს. კორიდორებს ვაკეთებდით, სროლას ვწყვეტდით.

ამიტომ, ასე ხელაღებით იმის განცხადება, რომ აფხაზები მიცვალებულებს უპატიოდ ექცეოდნენ, მკრეხელობაა.

1993 წლის 20 დეკემბერს სოჭში შევხვდი აფხაზთა მხარეს. ჩავედით ბაბუშერაში, ვნახეთ ეს სამარხები, ყველა დანომრილი და ხელშეუხებელი იყო (მაშინ ამერიკელი ჟურნალისტი უკვე გადასვენებული იყო) და დავიწყეთ მოლაპარაკება. პირველი გადმოსვენება 1994 წლის მაისში მოხდა. მაშინ სოხუმში დაღუპული ექვსი ბიჭი გადმოვასვენეთ. მერე შეხვედრები დავიწყეთ ენგურის ხიდზე. მას შემდეგ ჩვენ მშობლებთან ერთად ვმუშაობთ. ესენი არიან დედები, რომლებიც დაკარგულ შვილებს ეძებენ...

მე აფხაზი დედა მეკითხება, ჩემი შვილი ხომ არ გინახავს იქნებ სადმე ცოცხალიაო.

აფხაზები ძალიან დიდ პატივს სცემენ ჩვენი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ვლადიმერ დობორჯგინიძეს. ეს არის კაცი, რომელმაც აფხაზეთის ომში შვილი დაკარგა, მაგრამ დღემდე, მთელი 10 წლის განმავლობაში არ დაუყენებია მისი მოძიების საკითხი. სხვის შვილებს კი ეძებს. ასეთ ხალხთან გვაქვს საქმე და ნუ გავაღიზიანებთ.

შარშან აგუძერაში ექვსი ცხედარი მოვიძიეთ. მომცეს ნახაზი, რომლის საშუალებით ცხედრები უნდა მოგვეძებნა და გადმოგვესვენებინა. ადგილზე აფხაზებთან ერთად მივედით. ტყის მასივი დაგვხვდა. ტერიტორია ადგილობრივი აფხაზების დახმარებით გავწმინდეთ და რას ვხედავთ - საფლავები დაცული რომ ყოფილიყო, ვიღაცას ტერიტორია ხელყუმბარებით დაუმინია. საქმეს როცა მოვრჩით, აფხაზებმა სუფრა გაშალეს. ასეა, ისინი ჩვენი ძმები არიან.

არიან მშობლები, რომლებსაც სამი და ოთხი შვილი ჰყავთ დაკარგული. მათ მოფერება უნდათ. ამიტომ ნუ დავიწყებთ გაღიზიანებას ზერელე წერილებით. ჯერ გავიგოთ ვინ არიას ეს ხალხი, რა პრობლემები აქვთ.

სუფრასთან ქართველი დედები იცით, რა სადღეგრძელოს ამბობენ? – იმ აფხაზ დედას გაუმარჯოს, რომელიც ჩემნაირად არის გამწარებულიო. აფხაზი დედები კი ღმერთს ევედრებიან, ჩემი შვილი იყო ბოლო მსხვერპლი აფხაზებსა და ქართველებს შორისო.

მე და ავთანდილ იოსელიანი მოვდიოდით სოხუმიდან 1997 წელს. გაგვაჩერეს აფხაზმა დედებმა. ქალს, რომელსაც მთელი მკერდი მიცვალებულებით ჰქონდა დაფარული, ბატონ ავთანდილს უთხრა, "ვსიორავნო მი ბრატიაო".

მეორე გადმოსვენებაზე ერთერთმა აფხაზმა ქალმა, რომელსაც დავეხმარეთ დაღუპული შვილის მოძიებაში ჩვენ საპატივსაცემოდ სუფრა გაშალა. ამიტომ, ნუ შეეხებიან ამ მშობლებს, მათ თავიანთი გასაჭირი აქვთ.

ჩვენი კომისია ვალდებულია და ერთნაირად ვეძებთ აფხაზსაც და ქართველსაც. ერთხელ, ერთად მუშაობის დროს მიწა ჩამოწვა და ქვეშ მომიყოლა. აფხაზები კინაღამ გაგიჟდნენ, ხელებით თხრიდნენ მიწას და გადამარჩინეს.

ჩვენ უნდა შევრიგდეთ. მეტი გზა არა გვაქვს.

ბოლოს მინდა, ვთქვა, რომ ამ ომში ორივე ერის გენოციდი მოხდა."

დაბრუნება და უსაფრთხოება

ზაზა ფაჩუაშვილი

აფხაზეთში დევნილების დაბრუნების მთავარი პირობა მათი უსაფრთხოებაა, რაც უშუალოდ არის დამოკიდებული აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან საქართველოს შემადგენლობაში. სტატუსის საკითხი კი საქართველოსა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის ჯერჯერობით გადაულახავ ბარიერად იქცა. ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მიმდინარეობის, პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ გვესაუბრება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ბატონი ზაზა გოგსაძე, რომელიც 10 წელია, კონფლიქტების მოგვარების სფეროში საქმიანობს. ხუთი წლის განმავლობაში კი ნიუ-იორკში, გაეროსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში მუშაობდა.

ზაზა ფაჩუაშვილის არქივი

"მესამე მხარე რომ არ გვიშლიდეს..."

- ბატონო ზაზა, როგორ მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები?

- ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართოს. ვცდილობთ, უწყვეტლივ ვაწარმოოთ მოლაპარაკების პროცესი, რომელსაც, მოგეხსენებათ, გაერო ხელმძღვანელობს. ამჟამად მოლაპარაკება ჟენევის ფორმატით მიმდინარეობს, სადაც საქართველოს მეგობარი ქვეყნები მონაწილეობენ. ვმუშაობთ რამდენიმე მიმართულებით – დევნილების დაბრუნება, მათი უსაფრთხოება, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები.

დაბრუნება - უსაფრთხოების საკითხებზე გაერო უკვე მესამე შეხვედრას ატარებს. წინა ორისაგან განსხვავებით აქ დაპირისპირებული მხარეებიც ვიქნებით წარმოდგენილი.

- რა არის მთავარი პრობლემა მოლაპარაკებების დროს?

- მოლაპარაკებები ურთულესი პროცესია და მრავალი სიძნელე გააჩნია, მაგრამ მთავარი წინააღმდეგობრივი ფაქტორი, რაც ჩვენს მოლაპარაკებებს ხელს უშლის არის ის, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, ჯერჯერობით, არ სურს აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე საუბარი. თუმცა, სტატუსის საკითხის განხილვა ისეთი გარდუვალი პროცესია, რომ აფხაზების ნებასურვილზე დამოკიდებული ნამდვილად არ არის.

როცა საუბარია დევნილების დაბრუნებაზე, გვინდა თუ არა, გარკვეული პოლიტიკური საკითხების განხილვა და გადაწყვეტა აუცილებლად მოხდება. ლტოლვილები სხვა სახელმწიფოში კი არა, საკუთარ ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ.

- კი, მაგრამ, თუ აფხაზები სტატუსის შესახებ საერთოდ არ საუბრობენ?..

- საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საბოლოო განსაზღვრამდე აფხაზეთში უნდა შეიქმნას გარდამავალი ადმინისტრაციის მსგავსი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა დაბრუნებას და უსაფრთხოებას. თორემ, გალში სპონტანურად დაბრუნებული ხალხი როგორი დაუცველები არიან, ყველამ კარგად ვიცით. 30-35 ათას ადამიანს არა აქვს უსაფრთხოების არავითარი გარანტია.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას არ სურს დევნილების დაბრუნება და ამიტომ ერიდება სტატუსის საკითხს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენი პოზიცია ურყევია და შესაბამისად, მოთხოვნებიც მკაცრი. სტატუსის განსაზღვრის გარეშე მოლაპარაკების მთელი პროცესი დაიბლოკება. ცხადია, ამ ეტაპზე საუბარი არ არის სტატუსის საბოლოო განსაზღვრაზე.

- ამ მხრივ როგორია ჩვენი წინადადებები?

- ჩვენ ვთავაზობთ უფართოეს ავტონომიას, ოღონდ კი დაიწყონ პოლიტიკური დიალოგი. ამის გარდა, არსებობს "ბოდენის დოკუმენტი", რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭომ მხარეებთან რეკომენდაცია უნდა გაუწიოს, მაგრამ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას ამ საკითხების განხილვა არ სურს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამაში ლომის წილი რუსეთს მიუძღვის.

სწორედ მისი დამსახურებაა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ასეთი სიჯიუტე.

მესამე მხარე ხელს რომ არ გვიშლიდეს და ქართველებს და აფხაზებს ერთმანეთთან ლაპარაკს გვაცლიდეს, შერიგების საქმე გაცილებით უკეთესად იქნებოდა.

უახლოეს დღეებში თბილისში უნდა გაიმართოს ქართულ-აფხაზური შეხვედრა ჟენევის ფორმატში, სადაც უნდა განვიხილოთ დაბრუნებისა და უსაფრთხოების საკითხები.

- ახლა როგორია შერიგების პერსპექტივა?

- შერიგების პროცესი ძალიან ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. 5 წლის წინათ ქართველებსა და აფხაზებს შორის ისეთი უნდობლობა სუფევდა, რომ შეხვედრები და მოლაპარაკებები წარმოუდგენელი იყო. ახლა სრულიად სხვა ვითარებაა და ნდობის ფაქტორის აღდგენის დასაწყისზეც შეიძლება საუბარი.

ივლისში გვქონდა შეხვედრა ლონდონში, სადაც მხარეთა ოფიციალურ წარმომადგენლების გარდა, არასამთავრობო სექტორიც მონაწილეობდა. ამ შეხვედრიდანაც შეიძლება ითქვას, რომ ნდობის ფაქტორი ნელ-ნელა იკვეთება. პირად საუბრებში აფხაზები უფრო შორსაც მიდიან და ჩვენგან გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ. ცხადია, ამას ხმამაღლა არავინ ამბობს. დაშინებულია ხალხი.

შეიძლება ბევრს აქვს ასეთი აზრი, მაგრამ სოხუმში არის შიშის ფაქტორი.

- რუსეთი აფხაზეთთან ერთად სხვადასხვა ერთობლივ პროექტს ახორციელებს, რის გამოც ჩვენ მოსკოვში არაერთი საპროტესტო ნოტა გავაგზავნეთ...

- ბევრი საპროტესტო ნოტა გავაგზავნეთ, მაგრამ რუსეთი კვლავინდებურად აგრძელებს კანონდამრღვევ საქმიანობას და ყველაფერს კერძო ფირმებს აბრალებს. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. ჯერ ერთი - კერძო ფირმა სახელმწიფოს წინააღმდეგ ვერ წავა და მეორეც – რა შუაშია კერძო ფირმა, როცა საქმე გვაქვს საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასთან. ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული აქცია.

- მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურების გამო ხომ არ მოხდება გაეროს მანდატის გადახედვა?

- ცხადია, სასურველია გაეროს მანდატის გაძლიერება, რაშიც დაინტერესებულნი ვართ, მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. თუმცა ამ მხრივ გარკვეული სიახლე უკვე შეინიშნება. გაეროს მანდატში გაჩნდა საპოლიციო ელემენტი. საქართველოში ჩამოდის 20 კაციანი რაზმი, რომლის ფუნქციაა ადგილობრივი პოლიციელთა სწავლება, ტრეინინგების ჩატარება, რეკომენდაციების მიცემა. 12 პოლიციელი იმუშავებს გალში, 8 – ზუგდიდში. მართალია, ეს ხალხი წმინდა პოლიციურ ფუნქციებს პირადად არ შეასრულებს, მაგრამ ჩვენთვის მაინც მნიშვნელოვანი ფაქტია. მომავალში კი შესაძლებელი იქნება მათი რიცხვისა და ფუნქციების გაზრდა.

სხვათაშორის, გაერო ყოველნაირად ცდილობს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებას. ჩვენ გვინდა, რომ აფხაზეთში შეიქმნას ერთობლივი ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც დევნილთა უფლებებს დაიცავს.

ასეთი სტრუქტურა მოქმედებს ბოსნია – ჰერცეგოვინაში, სადაც გაერომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებაში და საერთო პოლიციის შექმნაში. იმის გასაცნობად, თუ როგორ მოქმედებენ ერთობლივად სერბულ – ბოსნიური მხარეები, გაეროს მივლინებით ადგილზე იმყოფებოდა ქართულ-აფხაზური დელეგაცია.

- ბოსნია – ჰერცეგოვინაში გაეროს მე-7 მუხლი აამოქმედეს. რამდენად შესაძლებელია ეს საქართველოში?

- აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია რუსეთი, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს, რასაც აუცილებლად გამოიყენებს. ამიტომ, უმჯობესი იქნება კონფლიქტი ისე მოვაგვაროთ, რომ გაეროს მე-7 მუხლის ამოქმედება არ დაგვჭირდეს.

დეკემბერი, დეკემბერი

გაერო-ს ეგიდით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი, მიმდინარე წელს რიგით მესამე რაუნდი ჟენევაში, დეკემბერში იგეგმება. ამ ფორმატით შეხვედრები თებერვალსა და ივლისში გაიმართა. **პრაიმ-ნიუსი**

კარგი პარტნიორი

მოსკოვის ფოლადისა და შენადნობთა ინსტიტუტმა სოხუმისგან ნებართვა მიიღო ბიჭვინთის მახლობლად დასასვენებელი ბაზის აღდგენასთან დაკავშირებით, - იტყობინება "აფსნიპრესი". აღდგენითი სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2004 წლის დასაწყისში. როგორც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ ზანტარიამ განაცხადა, აღნიშნულ ინსტიტუტს აფხაზეთთან კარგი პარტნიორული ურთიერთობები გააჩნია. **პრაიმ-ნიუსი**

სამომავლო პერსპექტივები

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების მიწვევით სოხუმში ჩასული მოსკოვის არქიტექტურული დიზაინის ცენტრის გენერალური დირექტორი ალექსანდრ პუშკარიოვი, მოსკოვის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტები იური მენჩიცი და ნაზირ დუსელიმოვი სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრემიერ ვლადიმერ ზანტარიას და კულტურის მინისტრ ლეონიდე ენიკს შეხვდნენ. მხარეებმა ადგილობრივი რესურსების გამოყენებით აფხაზეთის დედაქალაქის კეთილმოწყობის სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

ლაკობას განცხადება

"რუსეთის "სახალხო პარტია" ხელს შეუწყობს აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას," - აცხადებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის აფხაზი ეროვნების კანდიდატი, აფხაზეთის "სახალხო პარტიის" თავმჯდომარე იაკობ ლაკობა. მისი მტკიცებით, რუსეთს აფხაზეთთან დაკავშირებით მკვეთრად განსაზღვრული პოზიცია აქვს და რუსეთში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს შორის "სახალხოს" პირველმა აღიარა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის აუცილებლობა. **ინტერ-პრესი**

სანაპირო დაცვისათვის

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სამსახურის ტექნიკური გადაიარაღება, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყო, 2004 წლის მეორე ნახევარში დასრულდება.

ამის შესახებ განცხადება გააკეთა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ. მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს თვალთვალისა და კონტროლის საშუალებების მოდერნიზაციის პროცესი. კერძოდ, ვიაჩესლავ ეშბას ინფორმაციით, ხდება ჰიდროაკუსტიკური სისტემის, როგორც კონტროლის ერთერთი კომპონენტის, მოდერნიზება.

შემდეგი ეტაპი, მისი თქმით, რადიოსალოკაციო სისტემების გადაიარაღება იქნება. აფხაზეთის სანაპირო დაცვის სამსახური თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება. ვიაჩესლავ ეშბამ კატეგორიულად უარყო ქართველი მესაზღვრეების ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზეთში ზღვიდან შეიძლება აკრძალული ტვირთების შემოტანა. აფხაზეთის პორტებში შემოსული გემები მკაცრ საბაჟო და სასაზღვრო კონტროლს გადიან, - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

რუსეთის პოზიცია

ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა და გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემატიკა განიხილეს. სერგეი მირონოვმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კოფი ანანი დაინტერესდა მისი აზრით ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაციის შესახებ. რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დიალოგი მუდმივად მიმდინარეობს, კერძოდ, იალტაში მარტში მიღებული გადაწყვეტილებები მიმართულია იქითკენ, რომ ეკონომიკური ხასიათის ნაბიჯებით, როგორიცაა აფხაზეთის რკინიგზის გახსნა, "ენგურჰესზე" ერთობლივი მუშაობა და გალის რაიონში დევნილების დაბრუნება, ნიადაგი მომზადდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მან ხაზი გაუსვა რუსეთის პრინციპულ პოზიციას აფხაზეთის პრობლემის შესახებ.

რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსისა და განსაკუთრებული პოზიციის გათვალისწინებით, თქვა სერგეი მირონოვმა. **პრაიმ-ნიუსი**

ამომრჩეველი ფონს გავიდა

გალის რაიონის სოფელ საბერიოში სეპარატისტებმა და რუსმა მშვიდობისმყოფელებმა თვითნებურად მოაწყვეს საგუშაგო, რითიც გალიდან ზუგდიდისაკენ ავტობუსებით მიმავალ ამომრჩევლებს გადასვლის საშუალება არ მისცეს.

ერთი ავტობუსი სამი საათის განმავლობაში იყო საბერიოში გაჩერებული. ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ მიაღწია შეთანხმებას რუს მშვიდობისმყოფელებთან, რომ გალიდან ზუგდიდში მიმავალი ავტობუსები გაეტარებინათ და არ მომხდარიყო მოსახლეობის ჩხრეკა. თუმცა, როგორც გალიდან შეგვატყობინეს, მოსახლეობა ზუგდიდში გადასვლას ძირითადად მდინარე ენგურის ფონის გავლით ცდილობს. ამრიგად ფონით ზუგდიდში გადავიდა 200-მდე ამომრჩეველი. ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ფონის საშუალებით გადასული მოსახლეობისთვის სეპარატისტებს ხელი არ შეეშალათ.

ბოლო ინფორმაციით, ენგურის ხიდზე მოძრაობა შეზღუდული არ არის და ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ საბერიოსთან, სეპარატისტებმა და მშვიდობისმყოფელებმა საგუშაგო უკვე გააუქმეს. **მედია-ნიუსი**

ფოტოკონკურსი

საკონკურსო ფოტო №13.

ყურადღება, არჩევნები!

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება აცხადებს, რომ ყურადღებით აკვირდება საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს.

"სოხუმში ყურადღებით ადევნებენ თვალყურს აღნიშნულ არჩევნებს, რამდენადაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოუგვარებლობის პირობებში, მშვიდობიანი პროცესი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მოვა საქართველოს ხელისუფლებაში", - განაცხადა კვირას თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ. მან თავი შეიკავა პროგნოზისგან, თუ ვინ გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში.

ასტამურ ტანიას თქმით, მთლიანობაში, საქართველოს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, **"რევანშისტული განწყობის გამძაფრების საშიშროება არსებობს".**

პრაიმ-ნიუსი

ვირტუალური მოგზაურობა ხელოვნების სამყაროში B2
მოდის სახლების ახალი თაობა B3
"რეინჯერსს" შანსი არ დაუტოვეს B4

ნომრის სტუმარი

ხალხმა ხელისუფლებას წითელი ბარათი უჩვენა

ბესო გელაშვილის ფოტო

არც ერთი მშვიდობიანი ათწლეული არ გვაღირსა ჩვენმა ხელისუფლებამ. თუმცა, როგორც გუშინდელმა მოვლენებმა აჩვენა, ხალხი ბრძოლით არ დაღლილა და როგორც 2 ნოემბერს დავრწმუნდით, ის სულ უფრო და უფრო აღარ დაიღლება. თუ "რევოლუციური გამოცდილება" არ მღალატობს, ამ ინტერვიუში ნათქვამი ზოგიერთი რამ, შეიძლება დაგვიანებულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ხომ დემოკრატიას ჯერ მხოლოდ ვსწავლობთ. ცოდნის შეძენის გზაზე კი ბიბლიოთეკის დირექტორის საექსპერტო შეფასებებზე უფრო სასარგებლო რა უნდა იყოს...

დიახ, ჩვენ ვიპოვეთ კაცი, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული იმით, თუ როგორი იქნება პარლამენტი და ვინ იქნება მისი თავმჯდომარე. საქმე ის არის, რომ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ლამის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ხსნის და ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. ამიტომაც, ლევან ბერძენიშვილს ძალიან აინტერესებს, ვინ იქნება მისი უფროსი.

მაია ჭალაბანიძე

გამარჯვება პირველი - საზოგადოება

ცესკო-ში დღეს მიმდინარე პროცესს ყველაზე ნაკლებად უხდება ტერმინი "შედეგების დათვლა." ცესკო-ს მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ჩვენ უკვე მყარი და ნამდვილი შედეგი გვაქვს - საზოგადოებამ გაიმარჯვა. ვინც რამდენი ქულა არ უნდა დაიწეროს, რაც არ უნდა გაყალბდეს, ფაქტია - შედეგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე პარტიის რიცხვითი შემადგენლობა პარლამენტში.

ხელისუფლება საზოგადოებასთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. ხელისუფლების მხარეს იყო ყველაფერი. საზოგადოების მხარეს კი დამოუკიდებელი მედიის საუკეთესო ნაწილი და ახალგაზრდობა (საგანგებოდ მინდა აღვნიშნო "სამართლიანი არჩევნების" მიერ მომზადებული, დაახლოებით, 3000 ახალგაზრდა, რომელთაც, ფაქტობრივად, ეს არჩევნები წაიყვანეს. დიდი გავლენა იქონია მოძრაობამ "კმარა"... ეს ხალხი საკუთარ მომავალზე ფიქრობს).

თბილისში, გორში, რუსთავში, ქუთაისში - ყველგან, სადაც საქართველოა და არა იმ ნაწილებში, სადაც ხელისუფლებას სსრკ აქვს შემონახული - საზოგადოებამ 10:0 მოიგო. ხოლო იქ, სადაც საბჭოთა კავშირია - ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა - ამ ადგილებში ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

უპირველესი და მთავარი, რაც დავინახეთ, ეს არის ხალხი, რომელიც ჩვეულებრივი მოსახლეობა აღარ არის. ამ ტერმინით მისი აღწერა არასწორია. სწორი იქნება - საზოგადოება. ჩვენმა ხალხმა პირველად თბილისში, ადგილობრივი არჩევნებისას, გამოავლინა, რომ იგი მზარდი საზოგადოებაა. მერე რა, რომ თითქმის 60 საუკუნის ვართ, მაინც გვახარებს ეს წარმატება. ცოტა ხნის წინ არ ვიყავით ასეთი ჭკვიანები, ახლა კი - ვართ და ეს ერთმანეთს უნდა დავუნახოთ. პირველი დიდი შედეგი სწორედ საზოგადოებრივი გამარჯვებაა.

გამარჯვება მეორე - მასმედია

გამარჯვებაში უსერიოზულესი როლი შეასრულა დამოუკიდებელი მედიის ნაწილმა, ჟურნალისტების ბრძოლამ საზოგადოების მხარეს. ჟურნალისტი ხარ თუ მოქალაქე იმ მომენტში, როდესაც ხედავ, რომ ვიღაც არასწორ ადგილზე და არასწორ დროს მიათრევს ყუთს?! ჩვენი ჟურნალისტების სერიოზულმა ნაწილმა თავი საუკეთესო მხრიდან აჩვენა.

ზოგიერთ არხზე კი ჟურნალისტების ნაწილი ასეთ რამეს ამბობს - საზოგადოებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც ხმები მისცა ამას და ამასო. ზოგი ფიქრობს, რომ საზოგადოება მარჯვნივ გადაიხარა, ზოგი ფიქრობს, რომ - მარცხნივ. როგორ შეიძლება, ჟურნალისტი საზოგადოებას საყვედურობდეს. ეს იმ ჭაში ჩაფურთხებას ჰგავს, რომლიდანაც თავადვე სვამს წყალს.

ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ცოტა ფრთხილად უნდა იყვნენ. ერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა განაცხადა, რომ ის თურმე ხალხით უკმაყოფილოა... აბა, ხალხს ჰკითხეთ, როგორი კმაყოფილია მისით.

დემოკრატიას ჯერ კიდევ ვსწავლობთ. დიდ ბრიტანეთს 400 წელი დასჭირდა, ის სისტემა რომ ჩამოყალიბებულიყო, რაც აქვთ. ის, რისთვისაც ინგლისმა 400 წელი დახარჯა, საქართველოში ათ და ოც წელიწადში არ გამოვა. პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა და ხალხზე საყვედურების თქმას ურჩევნიათ, გააანალიზონ წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზები.

მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებები ტელევიზიის მიერ სამოქალაქო ომის გაჩაღების თაობაზე, არასერიოზულია. თუმცა, საფრთხე არსებობს და ჩვენ ვაფრთხილებთ ხელისუფლებას - იყოს ზომიერი თავის უსამართლობასა და უსინდისობაში. თუ ეს არ მოსწონთ, საზოგადოებამ სხვანაირი ლაპარაკიც იცის და ეს არც ჩემი და არც ტელევიზიის ბრალი არ არის.

ის, რასაც ტანით ვგრძნობთ

მინდა, ისტორიკოსმა ლორთქიფანიძემ ბიზნესმენ რჩეულიშვილს შეახსენოს, რომ ექიმი ჯორბენაძე სწორია, როდესაც გაყალბების ასეთი მაღალი ხარისხი აღელვებს. მართალი გითხრათ, ამით ჯორბენაძე იმაზე უკეთესი არ გახდება, რაც არის, მაგრამ, როგორც ჩანს, უკეთესი და უარესი სამთავრობო ბლოკშიც მოიძებნება. ჩვენი, საზოგადოების მოვალეობაა, გავაფრთხილოთ ხელისუფლება, რომ ის შედეგები, რასაც ახლა ცესკო და მმართველი ბლოკი აყალბებს, ტანით ვიგრძენით თელავშიც, თბილისშიც, ბათუმშიც და ეს ქალაქი შემთხვევით არ მიხსენებია. თურმე, ხულოში "ნაციონალურმა მოძრაობამ" 15 000-დან მხოლოდ 15 ხმა მიიღო... ბათუმელი ვარ და ვიცი, რომ მთელმა უბნებმა და კვარტლებმა მისცეს ხმა "ნაციონალურ მოძრაობას", მაგრამ, რა თქმა უნდა, ახლა ეს ხმები იკარგება.

ძალიან თავისებური რამ ხდება. ქართველმა ხალხმა არჩევნები მოიგო, ხელისუფლებამ - წააგო. შედეგად კი ხელისუფლება იმ უბნების ხარჯზე გამოაცხადებს გამარჯვებას, სადაც ტერორის ქვეშ მყოფი ქართველი და სხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ. ხელისუფლება ვერ ხვდება, რა საფრთხეში აგდებს სახელმწიფოებრივ იდეას. ხომ შეიძლება, უმრავლესობაში მყოფი მაჟორიტარი დემოკრატი ქართველები გაბრაზდნენ თავის თანამოძმეებზე აჭარაში და სხვა რეგიონებში... ამის გაკეთება არ შეიძლება. ხელისუფლება ფიქრობს, რომ სკამი ყველაფერი ღირს. მათი ლოგიკა ასეთია: აჭარა გააყალბებს არჩევნებს, ეს რომ არ გავუფორმოთ, ეწყინება და სეპარაციას დაიწყებს... ჩვენი საზოგადოება ასეთი პრიმიტიული აზროვნების ღირსი ნამდვილად არ არის.

ნამდვილად არაფერია იმაში ფანტასტიკური, რასაც "ახალგაზრდა იურისტები" აპირებენ (იგულისხმება მათი მომავალი სარჩელი აჭარის ხმების გაუქმების შესახებ), მაგრამ ხელისუფლებას, დაახლოებით, ასეთი გათვლა ექნება - კი ბატონო, დავუშვათ, აჭარაში არ უნდა დავამტკიცოთ არჩევნები, ის რომ სეპარაციით გვემუქრება? საით მოგვიწოდებთ, რა, ომი გინდათ? ხელისუფლების გასაგონად ვიტყოდი - არც ერთი ცოცხალი ადამიანი არ მეგულება, რომელსაც ომი უნდა და მით უმეტეს, საქართველოს ისეთ ნაწილში, სადაც ვერასდროს, ვერანაირი სეპარატიზმი ვერ მოიკიდებს ფეხს.

ჩემი ოჯახი, დათო და პირადად მე, ვემადლიერებით ხალხს, ვინც ანგარიშსწორების დროს დათოსადმი თანაგრძნობა გამოხატა და გვერდით დაუდგა. ესენი უმეტესად აჭარლები არიან. ყველაზე ვაჟკაცები აჭარაში აჭარლები არიან და ეს ძალზე ბუნებრივია - ისინი პასუხს აგებენ ამ კუთხეზე და იმიტომ. არავითარი სეპარატიზმი აჭარაში არ არის და არავითარი ომი არ დაგვჭირდება. არჩევნებმა აჩვენა, რომ ჩვენი ხალხი ყველაფერში გარკვეულია. ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ყველა მუქარა, რომელიც აჭარიდან ნებისმიერი ფორმით წამოვა, იმავე დღეს უნდა აღიკვეთოს. დაუშვებელია აბაშიძის მუქარა: "გამაყალბებინეთ არჩევნები, თორემ საქართველოს გამოვეყოფიო..." მაინტერესებს, სხვა რა არის სამშობლოს ღალატი?! სად უნდა წაიღოს, რა უნდა გამოყოს? აჭარა მაგისია?! რუსეთის მოსაზღვრე მაინც იყოს, გეოგრაფია მაინც იცოდეს... აჭარას ვინ გაატანს?

ვფიქრობ, ახალგაზრდა იურისტები სწორ გზას ადგანან.

არჩევნები

ამ არჩევნების მერე ხალხი ჩვეულებრივი კი არა, გმირი ქართველი ხალხია.

არჩევნებამდე სამი დღით ადრე ჩემი და ჩემი მეუღლის ბედს ვარკვევდი. ინტერნეტის სიაში ორივე 1801 წელს დაბადებულებად ვიყავით გატარებული. ეს გასაგებია, რომ ტექნიკური ამბავია და ვიღაც პროგრამისტის გადაწყვეტილებით მე და ჩემი მეუღლე ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ნაცვლად ორ და ცოტა მეტ საუკუნოვან იუბილეს აღვნიშნავთ... ამ ხუმრობების მერე სამი უბანი მოვიარე და, როგორც იქნა, ერთმანეთი ვიპოვეთ. დავინახე, რომ ამ ამბავში მარტო არ ვყოფილვართ. ჩვენ ორნი ვიყავით, იქ კიდევ ოთხნი იყვნენ, კიდევ სხვები... ხალხი უბნიდან უბანში დადიოდა და საკუთარ თავს ეძებდა. მთელი ამბები გადავიტანეთ. ეს თანამედროვე ქართული ისტორიაა.

სახელისუფლებო ბლოკის ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო გონიერი აღმოჩნდა, ვიდრე ზოგიერთი ოპოზიციონერი. მთავრობის №1 ყველასთან ერთად იდგა ხმის მიცემის რიგში. ზოგიერთი ოპოზიციონერი კი ურიგოდ შევიდა... ეს მომენტი უნდა გამოიყენო.

ხომ დავინახეთ, ვინ გაიმარჯვა? - საზოგადოებამ და იმან, ვინც ამ წუთში ყველაზე ახლოს იდგა საზოგადოებასთან.

ახლა დუღილის პროცესია. საზოგადოება ღელავს და ფიქრობს - არ ელოდება, ვინ რას ეტყვის. ის შეურაცხყოფა, რაც ხელისუფლებისგან მოდის, უკვე აუტანელი ხდება. ხელისუფლება აპირებს, საზოგადოებას უთხრას, რომ წააგო. ეს დაუშვებელია, რადგან პოლიტიკოსების დაწყნარება ადვილია, მაგრამ არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ხალხი... პირადად მე რა დამაწყნარებს - ჩემი წვალება აბუჩად აიგდოს ვიღაც შევარდნაძემ?.. როგორც კი თბილისის შედეგებს თვალს გადაავლებ, ნათელი ხდება, რომ ხალხს დღეს ის მეასე თანრიგის პოლიტიკოსად მიაჩნია.

50 წლის ვარ და პირველად მივეცი ხმა, რომელმაც გამარჯვება მოიტანა. რა თქმა უნდა, მიხარია, მაგრამ, წინ დიდი სამუშაოა. არჩევნებში მოგებას არ გვიფორმებენ და არჩევნებში ჩემს პირველ წარმატებას ასე ადვილად არ დავთმობ.

ერთი კვლევა და მედია ნამდვილია, მეორე - არა

არ ვეთანხმები აზრს, რომ საზოგადოება, სოციოლოგები და მედია ორად გაიყო. სინამდვილეში, ერთი კვლევა და მედია ნამდვილია და მეორე - არა. ეს გაორებას არ ნიშნავს. რეალური გაორებაა, როდესაც ორი გზა ან ორი მეთოდი მაინც არსებობს. ამ შემთხვევაში ნამდვილ და არანამდვილ, მოსყიდულ და მოუსყიდავ სოციოლოგიასთან გვქონდა საქმე.

სოციოლოგებს რამდენი ფულიც არ უნდა მისცენ, მომავალზე ხომ უნდა იფიქრონ. ეს არჩევნები დამთავრდება. მომავალში თუ ყველა არასწორ რეიტინგს გადავხედავთ, კვალიფიკაციაც სახეზე იქნება. ამბობდნენ, რომ "ლეიბორისტები" "ნაციონალებს" 50:0 უგებენ - ახლა სად არის ეს კვალიფიკაცია? მთავარი რიცხვები არ არის, მთავარი - ტენდენციაა. გარკვეული ჯგუფის მიმართ აშკარა სიმპათიის მიუხედავად, "აიპიემი"-ს კვლევაში ტენდენციები ჩანდა. ჩანდა, რომ სააკაშვილის რეიტინგი იზრდებოდა, შალვასი კი ერთ ადგილს ტკეპნიდა.

რაც შეეხება ჟურნალისტებს. მათ ახლა იგივე პრობლემები აქვთ, რაც პოლიტიკოსებს. ზოგიერთმა ჟურნალისტმა არჩევნების შედეგები ძალიან გაითავისა; ისეთ წერილებს წერს, რომელშიც იგრძნობა, რომ, ვთქვათ, დამარცხდა და ამის მიზეზებს კი არ ეძებს, არამედ – ცდილობს, რამენაირად არ აღიაროს ეს არჩევნები.

ჩვენც გვაქვს პრეტენზია ამ არჩევნებთან - ხელისუფლება ხან თაღლითურად, ხან აშკარად, ხან სასოწარკვეთილად იპარავს შედეგებს. მაგრამ იმის თქმა, რომ არჩევნები არ შედგა, იმის დაუნახაობა, რომ ხალხმა მოიგო და წითელი ბარათი უჩვენა ხელისუფლებას - არ შეიძლება.

სხვა ამბავია, რომ ხელისუფლებას რესურსები დარჩა. თუ ვინმე უსმენს, ვახტანგ რჩეულიშვილი პირდაპირ, მოჭრილად ლაპარაკობს - ხალხო, აი, ასე ვარღვევთ კანონებსო. ეს კაცი, თავისებურად, გულწრფელია. შეიძლება, ეს ფსიქოლოგიური პრობლემაა, მაგრამ ერთგვარად დასაფასებელია და მოსმენა სჭირდება.

ამ არჩევნებით ითქვა, რომ გულწრფელობა, ენერგია, ხალხთან ახლოს ყოფნა, ცოტა აგრესია და ძალა - ხალხს მოსწონს, ახლა ასეთი მომენტია. ოღონდ ქვეყანა დაეწყოს და მერე ზომიერი და არაენერგიული ხელმძღვანელებიც დაგვჭირდება. თუმცა, ძალზე მეეჭვება, რომ კიდევ დიდხანს ასე გაგრძელდეს.

პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, საქართველო კი შენდება და ვითარდება. ხანდახან ხალხი მიუთითებს, რომ პოლიტიკოსის რეიტინგი ისეთი მაღალი არ არის, როგორიც ამ პოლიტიკოსს ეგონა. მერე რა მოხდა... პოლიტიკა არ არის მუდმივ გამარჯვებათა ასპარეზი. ისეთი პოლიტიკოსებიც კი, როგორებიც დე გოლი და ჩერჩილია - ყოველთვის გამარჯვებულები არ იყვნენ. ამას წინათ საინტერესო წიგნი წავიკითხე, სადაც ეწერა, რომ ისეთს არავის მიუღწევია სერიოზული წარმატებისთვის, ვისაც წარუმატებლობები არ ჰქონია. თუ იტყვიან, "პრეზიდენტი თუ არ გავხდები, რა მინდა პოლიტიკაში" და მერე შევარდნაძესავით დასძენენ, რომ ამაზე დიდი პოსტიდანაც გადამდგარან – ესე იგი ეს ხალხი ვერ გაგვიზრდია...

ოპოზიციის გაერთიანება

დიახ, გაერთიანება საჭირო იყო, მაგრამ ხუთი ლიდერის გაერთიანება არ ხდება. ხელოვნური გაერთიანება, სადაც ლიდერები ერთმანეთს დახოცავენ, ოპოზიციას ხმების წართმევდა. ტყუილია, როცა ამბობენ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია მეტ ხმას მოიპოვებდა. როცა ხელისუფლებას ასეთი რეზერვები აქვს, ვერ დაამარცხებ... ხელისუფლება ნებისმიერ მომენტში ამოგაცლის ჯიბიდან 200 000 ხმას. ის სხვა ამბავია, რა უნდა ვუყოთ ხელისუფლებას. ვიცოდი, რომ სააკაშვილი მაღალრეიტინგული იყო. ოპოზიციას მოვუწოდებდი, რომ ეს ელიარებინათ და გაერთიანებულიყვნენ. ახლა, როდესაც საზოგადოებამ ეს პროცესი დაადასტურა, მართლაც, რთულია ამბიციებზე უარის თქმა. დღეს ოპოზიციის გაერთიანება ნიშნავს, რომ ის ერთ საარჩევნებო კანდიდატს აღიარებს. ეს რთულია და ადამიანურად მესმის სხვა ლიდერების.

ქვეყანა ცუდად დადგმული პოლიტიკური ფარსის მაყურებელი გახდა, მაგრამ მსხვერპლი ჩვენ არ ვიქნებით, ეს სხვაგვარად გადაწყდება...

ოპოზიციამაც უნდა იცოდეს - ხალხმა თუ დაინახა, რომ მისი ამდენი წვალება ოპოზიციის მხრიდან უსამართლოდ მიჩუმათდა, შეიძლება, ოპოზიციას მოსთხოვოს ის, რასაც ხელისუფლებისგან ველარ მიიღებს. ჩვენ თბილისში, ქუთაისში, თელავში ხელისუფლება არ აგვირჩევია და რა თქმა უნდა, ვინც ავირჩიეთ, მათ დავლაპარაკებით... ვინც ახლა ოპოზიციურ გაერთიანებაზე უარს იტყვის, ესე იგი, ეს საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ იმისთვის უნდოდა, რომ მალე საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. თუ პოლიტიკაში რაღაცის მიღწევა გსურს, ამისთვის სასიცოცხლო დრო გაქვს მოცემული და იქნებ, ოცი წლის შემდეგ მიაღწიო...

გაერთიანება შეუძლებელია მაშინ, როდესაც არ ვიცით, ვინ ვინ არის. ყველას მიაჩნია, რომ თავად არის მაღალრეიტინგული და რთული წარმოსადგენია მათი გაერთიანება...

ერთ დროს "ნაციონალებისა" და "ტრადიციონალისტების" გაერთიანების მცდელობა იყო. ბუნებრივია, პარიტეტულ საწყისებზე ეს ვერ მოხდებოდა, რადგან "ნაცმოძრაობას" უფრო მაღალი რეიტინგი ჰქონდა. ასათიანის წარმომადგენლები საკუთარ პოლიტიკურ ძალაზე უფრო მეტი წარმოდგენისანი იყვნენ, ვიდრე ეს "ნაციონალებს" მიაჩნდათ და გაერთიანება არ შედგა. სხვათა შორის, ეს ტრაგედიად არ მიმაჩნია. არის ქართული ხალხური ანდაზა - ერთხელ კაკო ასათიანიც შეცდებაო... თავის სიცოცხლეში პირველად ვერ გამოიცნო აკაკი ასათიანმა, თუ საით უბერავს სიო.

სხვათა შორის, ეს გზა მის პარტიაშივე დაინახეს და მიმაჩნია, რომ მაია ნადირაძე სერიოზული შენაძენია ქართული პოლიტიკისთვის.

ქალების შესახებ

ნელ-ნელა ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ქალები ჩნდებიან (კონდოლიზა რაისი ერთადერთი ეგზემპლარია მსოფლიოში - არის მემარჯვენე პოლიტიკის გამტარებელი და თან ზანგი...). ესეც საზოგადოების გამარჯვებაა. თუმცა, საქართველოში პირველი კაცობა საზოგადოების მიერ გათხოვილი ქალებისთვის რეკომენდირებული არ არის. ხალხი ვერ იჯერებს, რომ ქალი დამოკიდებული არ იქნება ქმარზე. ეს პუნქტი პოლიტიკური სიმძიმეა და ჩვენმა ქალებმა ეს უნდა იცოდნენ. ამიტომაც, შეიძლება, მათი გაპირველკაცება გაჭირდეს... ან სხვა ტიპის ქალები გვჭირდება.

ცოტაც პოლიციაზე

განსაკუთრებით მინდა ვთქვა ქართული საზოგადოების კიდევ ერთი შენაძენის, ზურაბ ჭიაბერაშვილის შესახებ - აი, ეს იყო ვაჟკაცობა და არა ის, რომ ქართველმა პოლიციელებმა ყველამ ერთად ჩაყარეს ბიულეტენები. სხვათა შორის, ამის გამო ყველას სძულს თავი. ბევრს ვესაუბრე, ყველა აღშფოთებულია საკუთარი საქციელის გამო. მოსახლეობა, რომლის "დაკარუსელება" შეიძლება, ამოიწურა, აღარ არის. ახლა "საკარუსელედ" ის ხალხი დარჩა, რომელსაც ბრძანებითა და სამსახურის დაკარგვის მუქარით დააშინებ.

განწყობა გრძელდება...

მადლობა ღმერთს, ამ ქვეყნის ისტორიაში დგება მომენტი, როდესაც პოლიტოლოგებმა, სოციოლოგებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა, ბიბლიოთეკის დირექტორებმა არ იციან, რა არის საუკეთესო გამოსავალი. ჯერ მყარად უნდა ვიცოდეთ, რა ჩაიდინა ხელისუფლებამ, როგორია მისი გაყალბების ხარისხი, რამდენს ბედავს... ჩვენ ნელ-ნელა ვბრაზდებით, ამას კი ხელისუფლება ვერ ამჩნევს.

ხალხის გადაწყვეტილება ნათელია - შევარდნაძესა და აბაშიძეს – არა! აჭარაშიც ასე თქვეს, უბრალოდ, აბაშიძემ ეს სხვაგვარად მოგვაწოდა, რასაც თვით ვახტანგ რჩეულიშვილიც არ დაიჯერებს, თუმცა ხმამაღლა არ აღიარებს.

საზოგადოება მრისხანების მტევნებს, წვეთებს კრებს. ხელისუფლებას ჰგონია, რომ დროის გავლასთან ერთად, მრისხანებაც გაივლის. ხელისუფალი გვენანება იმისთვის, რაც შეიძლება მოხდეს. ამ თვალსაზრისით, რევოლუციური ანგარიშსწორების მომხრე არა ვარ. ასე რომ მოხდეს, იმავე წუთს რუმინეთში, ჩაუშესკუს დამხობის ხანაში აღმოვჩნდებით. არ მინდა, ის გზა გავიმეოროთ. მირჩევნია, ავად თუ კარგად, ეს ხელისუფლება მშვიდობიანი გზით მოვიშოროთ. აი, ამას კარნახობს საზოგადოება - ნუ იზამენ ზედმეტს, რადგან ხალხში მრისხანება გროვდება. ეს არ არის მოწოდება, ეს შეფასებაა. იმის დამალვა, რომ ხალხი ნელ-ნელა ბრაზდება, არ შეიძლება, რადგან მეც ხალხი ვარ და მეც ვბრაზდები. სისხლისღვრა არ უნდა მოხდეს, ამაში ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. მე, შეუიარაღებელი ლევან ბერძენიშვილი კბილებამდე შეიარაღებულ ხელისუფლებასთან ომზე ვოცნებობ? ჩვენ საკუთარი ხმების დაცვა გვინდა. თუ ამისთვის ომი დაგვჭირდება, კბილებით ვიომებთ. მეტი იარაღი არა გვაქვს.

თინეიჯერი

უკანასკნელი ფოთოლი

ანა მაყაშვილი

შემოდგომა ძალიან მიყვარს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სწორედ წელიწადის ამ დროს დავიბადე (საერთოდ რომ არ დავბადებულიყავი, ალბათ, არაფერიც არ მეყვარებოდა), მერე იმიტომ, რომ სკოლიდანვე შემაჩვიეს "ბარაქიანი შემოდგომის" კულტს (არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან გრამატიკის სახელმძღვანელოების დასურათებული გვერდები – როგორ იღებს მშრომელი გლეხობა მოსავალს, როგორ მხიარულად მუშაობენ რთველის დროს, როგორი მონდომებით ტიტყნის ქართველი ქალი ჩურჩხელას...) და მერე კიდევ, ცოტა რომ გავიზარდე, შემოდგომის რომანტიკული მხარით დავინტერესდი (ფოთლების ფერიცვალება და მათი მიწაზე ჩამოცვენა). ეს სამივე მომენტი მართლაც უქმნის შემოდგომას თავისებურ ხიბლს.

მაგრამ, წელს შემოდგომის ჰარმონიის დარღვევაში თავისი საზიზღარი წვლილი არჩევნებმა შეიტანა. შემოდგომა კი არა, ღამენათევ ტელეწამყვანებს რომ ვუყურებდი, მთელი კვირა-ორშაბათი ახალი წელი მეგონა; მით უმეტეს, ტელეარხებმა განსაკუთრებული რეჟიმებით რომ დაიწყეს მუშაობა, განსაკუთრებული სტუმრებით რომ გაავსეს სტუდიები და დაღლილობისგან ყველას ყველაფერი უკვე სასაცილოდ რომ ეჩვენებოდა. იმდენი ვუყურე და ვუსმინე ამ ყველაფერს, რომ ორშაბათს უნივერსიტეტში წასვლის მეშინოდა – მეგონა, კიდევ მომიწევდა ყველაფრის თავიდან მოსმენა და შესაბამისად, რაღაც აზრის გამოთქმა (რომელსაც თუნდაც ჩემი სამოქალაქო ღირსება მომთხოვდა), მაგრამ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ბევრი არაფერი ულაპარაკიათ. თუმცა, ამის მიზეზებიც არსებობდა: ორშაბათს უნივერსიტეტში მხოლოდ ის ხალხი მოვიდა, ვინც საერთოდ არაფრის გაგებაში არ იყო; ანუ ძალიან ცოტანი იყვნენ, დანარჩენებს, ალბათ, ტელევიზორებთან მიჯაჭვულებს ისე ღრმად ჩაეძინათ, ვერც მიხვდნენ, მეორე დღეც რომ არსებობდა; ან, ალბათ, ეგზიტპოლებს უთენეს ღამეები; ზოგს, ალბათ, არანაირი სურვილი არ ჰქონდა ეშმაკისეულებით (თითზე სითხე დასხმულებს ვგულისხმობ) სავსე ქალაქში გამოსულიყო (კარგია, - თუ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ეშმაკები გახდებიან, მე მაშინ მცირეოდენ ანგელოზთა რიცხვში შევალ); ზოგმა, ალბათ, ჩათვალა, რომ ქალაქში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული და საკუთარი უსაფრთხოების მიზნით სახლში გამოიკეტა; ზოგმა კი უბრალოდ შემთხვევით ისარგებლა...

ჩემი კურსელების არ ვიცი, მაგრამ "კმარა" სრულ მობილიზებაშია. დღეს მეგობარს მათ მოკრძალებულ ოფისში გავყევი და პირველად იქ ვიგრძენი რევოლუციური სული. უსამართლო და სამართლიანი არჩევნების შედეგების დაუმთხვევლობის შემთხვევაში, 1991 წლის დეკემბერში დაბრუნებას გვპირდებიან. ასე რომ, დასავლეთის მიერ მოტივირებული, ნაციონალური განწყობით მომართული ახალგაზრდობის პროგრესული ნაწილი ფარ-ხმალს არ დაყრის.

მე კი, იმის გამო, რომ 18 წლამდე 18 დღე მაკლდა, ჩემი სამოქალაქო ვალი არ მომიხდია; და რომ დავუფიქრდე, დიდად არ ვნანობ – რაც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, რაც არ უნდა გააკეთოს, ჩემი ბრალი არ იქნება – პასუხისმგებლობა კონსტიტუციურად მომიხსნეს. თუმცა, მეორე მხრივ, ვერც იმას შევეგუები, რომ ამ 18 დღის გამო, ჩემი მომავალი ისევ იმ ხალხმა გადაწყვიტოს, რომელმაც ჩემი მშობლების აწმყოზე "იზრუნა".

ახლა საკმაოდ აღელვებული ვარ, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ცოტა დროს მაინც დამიტოვებენ შემოდგომის ხიბლით დატკბობისთვის და ეს ყველაფერი მანამდე მორჩება, ვიდრე ჩემი დაბადების დღე მოვა, ვიდრე ერთი ყურძნის მტევანი დარჩება მოსაკრეფი და ვიდრე უკანასკნელი ყვითელი ფოთოლი დაეცემა მიწას.

იყიდება!

შედევრები ნიუ იორკში

ეს აუქციონი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დიდი ფული დიდძალ სიამოვნებასაც გულისხმობს. ამ კვირის განმავლობაში ნიუ იორკში აუქციონზე შედევრებია გამოტანილი: მოდილიანის საუცხოო შიშველი ნატურა, ვან გოგის თუ კლიმტის პეიზაჟები და მრავალი სხვა. ექსპერტები "კრისტისა" და "სოტბის" წლევანდელ საშემოდგომო შემოთავაზებას "განსაკუთრებით მდიდარს" უწოდებენ. გუშინ, საღამოს საქმეს კრისტის აუქციონი შეუდგა და გასაყიდად იმპრესიონისტების და თანამედროვე მხატვრების ტილოები გამოიტანა.

13 ნოემბერს "ბოლო სიტყვის თქმის" პატივი ნიუ იორკის პატარა სააუქციონო სახლს, "ფილიპსს" და De Pury & Luxembourg-ს ხვდებათ წილად. ისინი 1980-იანი და 90-იანი წლების ხელოვანებს წარმოადგენენ, როგორებიც დემიან ჰირსტი, სარა ლუკასი და მაურისიო კატელანი არიან.

მილიონობით დოლარად შეფასებული ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშების გამყიდველთა შორის არიან ჩოგბურთის ვარსკვლავი ჯონ მაკინროი, ლას ვეგასელი კაზინოების მფლობელი სტეფენ ვაინი, ავსტრიელი ფინანსისტი ვოლფგანგ ფლოტლი და ფრანგი მეწარმე ლუის ვიტონი. გარდა ამისა, "კრისტის" დოროტი მილერის მემკვიდრეობასაც გამოიტანს – ეს ქალბატონი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის პირველი კურატორი და მარკ როტკოს, ჯექსონ პოლაკის, ფრანკ სტელასა და ჯასპერ ჯონსის მფარველი იყო. "სოტბის" განკარგულებაში კი ნიუ იორკელი ფილანტროპის, ვერა ლისტის კოლექციაა, რომელშიც აგნეს მარტინისა და ედვარდ რუშას ნამუშევრებიცაა შესული.

ერაყის ომის წყალობით წარმოქმნილი გაუგებრობების შემდეგ, წელს ორივე სახლი დიდ შემოსავალს ელის. მათი ყველაზე პერსპექტიული საქონელი იმპრესიონისტებისა და მოდერნის წარმომადგენელთა ნამუშევრებია. "კრისტის" თავის ყველაზე ფასეულ ექსპონატს, ამადეო მოდილიანის მიერ 1917 დახატულ შიშველ ნატურას 20-დან 25 მილიონ ამერიკულ დოლარამდე აფასებს.

ვინსენტ ვან გოგის "ხეივანისთვის" (1888 წელი) ეს აუქციონი 12-დან 18 მილიონ ამერიკულ დოლარამდე მოგების მიღებას გეგმავს. ამავე ოსტატის აკვარელის ფასი 6-8 მილიონი დოლარია – ეს ნამუშევარი 1928 წლიდან კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და ამრიგად, 75 წლის განმავლობაში გასაყიდად არ გატანილა.

"კრისტი" იმედოვნებს, რომ ფერნანდ ლეჟეს კუბისტური შედევრის გაყიდვის შემდეგ მის განკარგულებაში 10-15 მილიონი დოლარი იქნება. საპასუხოდ დღეს "სოტბი" ვან გოგის გრაფიკულ პეიზაჟს გაიტანს, რომლის ფასმაც 1997 წელს, ლონდონში გამართულ აუქციონზე, სარეკორდო 14,7 მილიონ დოლარს მიაღწია.

"სოტბის" განსაკუთრებით გუსტავ კლიმტის "ვილა ტბის პირას" (1914 წელი) ეამაყება. აუქციონის კატალოგში მისი სავარაუდო ფასია მითითებული – 18-25 მილიონი დოლარი.

ომის შემდგომი მხატვრობა წარმოდგენილია ჯასპერ ჯონსის მიერ 1957 წელს შექმნილი "ნაცრისფერი რიცხვებით" (5-7 მილიონი დოლარი) და მარკ როტკოს "უსათაუროთი" (1967 წელი, 4-6 მილიონი დოლარი).

შეტყობინება მანჩესტერიდან

დამოუკიდებელი როკი არჩევანის თავისუფლებისთვის

ვერა ნეფარიძე

ბრიტანული ჯგუფი The Brothers With Different Mothers თბილისში რამდენიმე დღის წინათ, წინასაარჩევნოდ ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის მხარდასაჭერად ჩამოვიდა. პირველ ნოემბერს მანჩესტერელი მუსიკოსები იმ ქართველ კოლეგებს შეუერთდნენ, რომლებიც ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველოს" პროექტის ("მიეხმარე შენს ქვეყანას") ფარგლებში გაერთიანდნენ. დღეს კი სტუმრები კლუბ "ნოა-ნოაში" საკონცერტო პროგრამას წარმოადგენენ.

პოლიტიკა და როკი

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სახელისუფლებო პოლიტიკას საქართველოში ქართული ესტრადა უჭერს მხარს; თავისუფალ სამოქალაქო არჩევანს კი – თავისუფალი როკი. ეს უკანასკნელი კი მუსიკის ისეთი გლობალური განშტოებაა, რომ ზედმეტია მისი დაყოფა წარმომავლობის მიხედვით. ალბათ, ამ მოსაზრებას იზიარებდნენ პროექტის ავტორები, როდესაც აქციაში - "მიეხმარე შენს ქვეყანას" (რომლის დასკვნითი ნაწილიც ვაკის პარკში გაიმართა) მონაწილეობის მისაღებად მანჩესტერული ჯგუფი მოიწვიეს. ლოკომოტივის სტადიონზე გამართული მეორე, წინასაარჩევნო კონცერტთან შედარებით აქცია წარმატებული და აქტიური გამოდგა. ეს ორი კონცერტი ერთმანეთისგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ ვაკის პარკში ყველა მონაწილეს კარგად ჰქონდა გააზრებული მონაწილეობის მისია, პასუხისმგებლობა და რაც მთავარია, ეს არანირად არ ეწინააღმდეგებოდა ხელოვანის მთავარ პრინციპს – არ აღმოჩნდეს რომელიმე პოლიტიკური პარტიის იარაღის როლში. თუმცა, ქართული რეალობა ასეთი აღმოჩნდა: სამოქალაქო აქტივობამ არც საარჩევნო უბნებში და არც აქციებში, ადეკვატური შედეგები ვერ მიიღო; და დღეს სახეზეა თავშივე გაყალბებული საარჩევნო ბიულეტენები, გაყალბებული შედეგები და ამ ყველაფრის ლოგიკური შედეგი - ქუჩაში გამოსული ხალხი.

მათი ქვეყანა ხომ არა მარტო როკ-ენ-როლის, არამედ ჩვენთვის წარმოუდგენელი სახელმწიფოებრივი წესრიგის სამშობლოა. ალბათ, ამიტომაც სიმბოლურად მეჩვენება The Brothers With Different Mothers-ის წევრების აქციაში მონაწილეობა; განსაკუთრებულ დატვირთვას კი მათი სტუმრობა ჯგუფის სახელწოდების (მისი ქართული თარგმანია "ძმები განსხვავებული დედებისგან") გამოც იძენს.

"თუკი ვინმეს ვგავართ, ეს "ბითლზია"

სხვა გზა არ მაქვს, უნდა გაგიმხილოთ ჩემი სუბიექტური (რომელიც, გულახდილად რომ გითხრათ, სულაც არ მგონია, რომ სუბიექტურია) დამოკიდებულება ბრიტანეთიდან ჩამოსული მუსიკოსების მიმართ. არა მგონია, საჭირო იყოს მიზეზის ახსნა, რადგანაც მიმაჩნია, რომ ბრიტანელებს ალბათ ყველაზე დახვეწილი მუსიკალური ინდუსტრია აქვთ. თანამედროვე ქართული მუსიკალური რეალობიდან გამომდინარე კი, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო, თანამედროვე ინგლისელი შემსრულებლების გაცნობაა, რაც არცთუ ისე ხშირად ხდება თბილისში. დღეს სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი შემთხვევა იქნება.

The Brothers With Different Mothers ახალგაზრდული ჯგუფია. სულ რაღაც სამი წლის წინათ შექმნილი. უკრავენ როკ-ენ-როლს, "ეს არ არის კლასიკური როკ-ენ-როლი, საცეკვაო მუსიკა. თუმცა, სტრუქტურა სწორედ მისგან გვაქვს აღებული. უბრალოდ ეს არის მუსიკა, რომელიც მესიჯს აწვდის მსმენელს ", - ამბობენ ჯგუფის წევრები. ძალიან ზოგად წარმოდგენას ჯგუფზე შეგიქმნით ბრიტანული ე.წ. "მუსიკალური რევიუები", სადაც ამ მანჩესტერული ჯგუფის მუსიკას 60-იანი წლების მელოდიური როკის შემსრულებლებთან ერთად, თანამედროვე მუსიკის ისეთ ცნობილ სახელებს ადარებენ, როგორიცაა თუნდაც "სუპერგრასი". ასეთ მოსაზრებებს გარკვეულწილად ამყარებენ თავად მუსიკოსები, რომლებიც ფავორიტად აღიარებენ 60-იანი წლების ჰიტების ერთ-ერთ საუკეთესო ავტორებს, ჯგუფს Hollies. მათი შემოქმედება მელოდიური როკისა და თანამედროვე ჟღერადობის სინთეზია. პარალელებზე კი ასე ფიქრობენ: "თუკი საერთოდ ვინმეს ვგავართ, ეს "ბითლზია", - მაგრამ ამ ნათქვამით "ძმები" ხაზს უსვამენ, რომ ლივერპულელ ოთხეულს ისინი უფრო მუსიკისადმი დამოკიდებულებაში გვანან.

ჯგუფი კლასიკური ოთხეულის პრინციპით არის შერჩეული: ორი გიტარა, ბასი და დასარტყამი ინსტრუმენტები. The Brothers With Different Mothers თბილისში მცირედი სახეცვლილებით არის ჩამოსული. საკუთარი ბასისტის ნაცვლად, რომელიც ამჟამად აშშ-შია, "ძმებს" მეგობარი მუსიკოსი მორგან რიჩარდ ფიუ (რომელსაც საკუთარი ჯაზ-პროექტი - Crackin Records აქვს) შეუერთდა. მათთან ერთად (დანარჩენი წევრები: სტეფან გულდსონი, გვინ მორგან დევისი, ადამ ფილიპ გონმანი) კი ჩამოსულია ტურნეს მენეჯერი რეი ლისონი, "სოფტ ეჯექტის" ბრიტანელი მენეჯერი. სწორედ ამ ადამიანმა შეარჩია The Brothers With Different Mothers, როდესაც "სოფთების" ლიდერმა ვახო ბაბუნაშვილმა "სოროსის" პროექტში რეის მანჩესტერელი მუსიკოსების მონაწილეობაში დახმარება სთხოვა. "The Brothers With Different Mothers-ს აქამდეც ვიცნობდით და ვმეგობრობდით კიდეც ჩვენი ბრიტანული ტურნეს დროს. გაგვიხარდა, რომ რეიმაც სწორედ ეს მუსიკოსები ჩამოიყვანა", - ამბობენ მანჩესტერელი მუსიკოსების მეგობრები და უშუალო მასპინძლები: ვახო ბაბუნაშვილი და გიორგი კობახიძე.

შთაბეჭდილებები განსხვავებული სამყაროს შესახებ

ისინი არ არიან ბრიტანული მუსიკალური სცენის ვარსკვლავები ქართული გაგებით. მაგრამ, ამ სიტყვის ასეთი გაგება ბრიტანეთში რა გასაკვირია, რომ საერთოდ არ არსებობს. პირიქით, The Brothers With Different Mothers იმ "დაჩაგრულ" მუსიკოსთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც ადგილი მიუჩინა ინგლისში შემოღებულმა ლიცენზიამ: "ამ ლიცენზიის გამო ხელოვნურად გაჩნდა უფსკრული საშუალო მუსიკალურ ჯგუფებსა და ისეთ გიგანტებს შორის, როგორიცაა მაგალითად, "რეიდიოჰედი", - ამბობენ ისინი.

არ ვიცი, თბილისში განვითარებული მოვლენების წყალობით, რა შთაბეჭდილებებით წავლენ მუსიკოსები ბრიტანეთში. მაგრამ, ვიცი, რომ პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, გაცილებით დადებითად მათზე ქართველი კოლეგების გაცნობამ იმოქმედა. ამ მხრივ, "ძმები" განსაკუთრებით "ზუმბას", "გრინ მამას" და "მწვანე ოთახს" აღნიშნავენ. აღარაფერს ამბობენ "სოფტ ეჯექტზე", რომელიც სრულიად სამართლიანად, მათ ერთ-ერთ წამყვან ქართულ ჯგუფად მიაჩნიათ. და კიდევ: ქართველ კოლეგებზე საუბრისას, მანჩესტერული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ირაკლი ჩარკვიანის ბოლო ალბომი "ამო"-ს კომპაქტ-დისკი გვაჩვენა. შეუძენია და საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა.

რა შთაბეჭდილებას დატოვებს თავად The Brothers With Different Mothers ჩვენს მსმენელზე, ამას დღეს საღამოს თქვენთან ერთად, საკუთარ თავზე გამოვცდი.

მანჩესტერელები თბილისში

ვირტუალური მოგზაურობა ხელოვნების სამყაროში

ნინო ჟანიშვილი

როცა დრო, ფული და ხალისი არა გაქვს, მსოფლიოს წამყვან მუზეუმებსა და გალერეებს რეალურად ესტუმრო, მაშინ უმჯობესია, საკუთარ კომპიუტერს მიუჯდე. ვირტუალურ მოგზაურობას ხელოვნების სამყაროში ერთი დიდი უპირატესობა აქვს. ზიხარ წყნარად და უამრავ გამოფენას ათვალიერებ. ამ სიმშვიდეში კი იმდენ რამეს ნახულობ, რასაც რეალურ ცხოვრებაში ასეთი სისწრაფით ვერასდროს მოახერხებ. მოკლედ, რა ხდება დღეს მსოფლიოს არტ-სამყაროში:

- პეტერბურგში მეგა-ვარსკვლავის დემიენ ჰირსტის გამოფენა გაიხსნა. "რუსულ მუზეუმში" ჰირსტის გრაფიკა, "აკვნიდან სამარემდე" გამოფინეს. პატარაობაში თურმე დემიენი როგორც კი ერთ ნახატს დაამთვარებდა, დედა მაშინვე ახალ ფურცელს უცურებდა. ჰოდა, დემიენიც დღემდე ხატავს და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მხატვრად იქცა. ხატვის გარდა დემიენს ძალიან უყვარს ფორმალინში მკვდარი ცხოველების დაკონსერვება. პეტერბურგში ჰირსტმა ის ნახატები გაგზავნა, რომლებიც ზაფხულში ლიუბლანაში, გრაფიკული ხელოვნების ბაზრობაზე ჰქონდა გამოფენილი. რუსეთში თავად ჰირსტსაც ელოდნენ. რუსი არტ-კრიტიკოსები თავგამოდებით ცდილობდნენ ექსკლუზიური ინტერვიუები დაეჯავშნათ, მაგრამ ამაოდ. ჰირსტი საერთოდ არ ჩავიდა პეტერბურგში. ჰირსტის რუს ფანებს მხატვრის ბიოგრაფი და გამოფენის კურატორი შერჩათ ხელში. მისამართზე rusmuseum.ru, დემიენ ჰირსტის ხუთი ცალი გრაფიკა ისეთი პატივითაა გამოტანილი, გეგონება დიურერის ნახატებიაო. მაგრამ რეალობა ასეთია, ბრიტანელ მხატვარს უკვე გენიოსსაც უწოდებენ. თავისი არსებობით მან მოახერხა თანამედროვეობის მეტად საინტერესო მხატვრები ჯეფ ქუნსი და ჯულიან შნაბელი დაეჩრდილა. მოკლედ ესტუმრეთ მხატვრის საიტს damienhirst.com აქ ნახავთ ჰირსტზე გამოცემულ წიგნებს, მის ბიოგრაფიას, ნამუშევრებს.

■ ■ ■

- გამოფენა „შონბერგი, კანდინსკი და ლურჯი მხედარი" ნიუ იორკის ებრაულ მუზეუმში გაიხსნა. კანდინსკი და შონბერგის წყვილი პირველად არ იფინება ერთად. საქმე ისაა, რომ რუსული ავანგარდის სულისჩამდგმელი და ავსტრიელი კომპოზიტორი-რევოლუციონერი მეგობრობდნენ. მათ ერთმანეთი 1911 წელს მიუნჰენში გაიცნეს. გარდა იმისა, რომ ორი ინტელექტუალი ერთმანეთის ხელოვნებით საზრდოობდა, არნოლდ შონბერგი ხატავდა კიდეც. როცა შონბერგის მუსიკალური ნაწარმოებები საზოგადოებამ და კრიტიკოსებმა მტრულად მიიღეს, კომპოზიტორი სახლში ჩაიკეტა და ხატვა დაიწყო. ის თუ როგორ ხატავდა დიდი კომპოზიტორი, ნახავთ მისამართზე thejewishmuseum.org. აქვე ნახავთ მიუნჰენის მხატვრული გაერთიანების „ლურჯი მხედარის" წევრების ოგიუსტ მაკეს, გაბრიელ მიუნტერის, ალექსეი ფონ იავლენსკის სურათებსაც. ყოველ ნამუშევარს მცირე, მაგრამ საინტერესო და მეტად ინფორმაციული ანოტაცია მოჰყვება. მათი დათვალიერება მშვიდად შეგიძლიათ - გამოფენა 12 თებერვალს იხურება.

■ ■ ■

- კანდინსკი კიდევ ერთ გამოფენაზე დომინირებს, ამჯერად პაულ კლეესთან ერთად. გამოფენა "ბაუჰაუზის წლები" გუგენჰაიმის ნიუ იორკის მუზეუმში გაიხსნა. "ბაუჰაუსი" - ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სახელმწიფო სკოლა 1919 წელს ვაიმარში დაარსდა. ამ სკოლამ უდიდესი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ვიზუალურ ხელოვნებაზე. "ბაუჰაუსს" ერთი უტოპიური მიზანი ჰქონდა - ყოველდღიური ყოფა უნივერსალური ესთეტიკის საშუალებით გაეუმჯობესებინა. სწორედ ამ ამბიციური მიზნის განსახორციელებლად ჩავიდნენ ვასილი კანდინსკი და პაულ კლეე ვაიმარში. ისინი "ბაუჰაუსის" პირველი მასწავლებლები გახდნენ. გამოფენის მიზანია, უჩვენოს მაყურებელს მათი ურთიერთთანამშრომლობა "ბაუჰაუზის" წლებში. მუზეუმის საიტზე Guggenheim.org ინფორმაცია გამოფენის შესახებ არც ისე დიდია. ანუ ამ შემთხვევაში გამოფენას რეალურად უნდა ესტუმრო. სამაგიეროდ მუზეუმის მაღაზია გვთავაზობს ინტერნეტით შევიძინოთ კანდინსკის შესახებ გამოცემული წიგნები და მაისურები. მაისურებზე დიდი ავანგარდისტის ცნობილი სურათებია დატანილი. თითო მაისურის ფასი 22 დოლარია.

სპენსერ ტუნიკის ფოტო-ნიუ

■ ■ ■

- ცოტა ხნის წინ ამერიკელმა ფოტოგრაფმა სპენსერ ტუნიკმა მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ხალხი გააშიშვლა და ნიუ იორკის Grand Central Terminal-ის ტერიტორიაზე გამოფინა. ამ ამბავმა მასმედიის დიდი ყურადღება მიიპყრო. სპენსერ ტუნიკმა პირველი ფოტოექსპერიმენტები სტილში „ნიუ" 1992 წელს დაიწყო. ტუნიკის ფოტოქრონიკას, დაწყებული 1994 წლიდან, ნახავთ მის ვებგვერდზე spensertunick.com. ამ ფოტოებზე ნახავთ, როგორი რუდუნებით აწყობს შიშველი ხალხისგან შემდგარ კომპოზიციებს ტუნიკი. 90-იან წლებში ტუნიკი ხუთჯერ დააპატიმრეს. წარმოიდგინეთ ამერიკელი პოლიციელების რეაქცია, როცა ის შუა ქუჩაში ნუდისტებისგან ინსტალაციებს აწყობდა. მაგრამ 2000 წლის მაისში ამერიკის მეორე საოლქო სასამართლომ განაჩენი ტუნიკის სასარგებლოდ გამოიტანა. გაირკვა, რომ ხელოვანის საქმიანობას ამერიკის კონსტიტუცია იცავს. ამის შემდეგ ტუნიკს ნება დართეს თავისუფლად იმოქმედოს ნიუ იორკის ქუჩებში. ფოტოგრაფის მიერ მოწყობილ წარმოდგენებში ასობით და ათასობით მოხალისე მონაწილეობს. ტუნიკი ახალ მსურველებს სთხოვს თავიანთი მონაცემები შეიტანონ მის საიტზე. საიტზე კანის შვიდი ფერია მოცემული. ახალმა მოხალისემ მონაცემების შევსებისას საკუთარი კანის ფერიც უნდა მიუთითოს. როგორც ჩანს, ინსტალაციების შექმნისას კანის ფერს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სპეცეფექტების რევოლუცია თბილისში

ის უკანასკნელად მოვიდა

თამარ ბაბუაძე

მგონი, დიდი ხანია, ჩვენი ქალაქი მსოფლიო პროცესებში ასე თანადროულად არ ჩართულა; არც ასე დროულად დამტკბარა გრანდიოზული სპეცეფექტების ხიბლით...

თუმცა, ეს რა მომივიდა – თქვენ ხომ თავისუფლად შეგეძლოთ, გეფიქრათ, რომ ახლა ჩვენ საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოხვედრილ არჩევნებზე ვიწყებთ საუბარს, გრანდიოზულ სპეცეფექტებში კი საარჩევნო სპეცეფექტებს ვგულისხმობთ. თუ ასე გგონიათ, ჯობს, ისევ გაზეთის A ბლოკს დაუბრუნდეთ, ხოლო თუ თბილისის მსოფლიო პროცესებში ჩართვის ჩვენებური მიზეზი გაინტერესებთ, განტვირთვაც გსურთ და თან ფანტასტიკის ჟანრის თაყვანისმცემელიც ბრძანდებით, მაშინ ნახეთ, რა ხდება:

საქმე ის გახლავთ, რომ დღეს "მატრიცას" მესამე ფილმის საერთაშორისო პრემიერაა და სიტყვა "საერთაშორისო" ამჯერად საქართველოსაც გულისხმობს. თბილისში ისევე, როგორც პარიზში, ტოკიოში, მადრიდში, ბრიუსელში, ანდა მოსკოვში დღეს პირველად ნახავენ გახმაურებული ტრილოგიის უახლეს ნაწილს.

ასე რომ, სწორედ "მატრიცაა" თბილისის მსოფლიო პროცესებში თანადროულად ჩართვის მიზეზი. გარდა ამისა, "მატრიცა" იმის იმედიც არის, რომ ჩვენთან მეკობრულ კინოპრემიერებს, ლეგალიზებული მსოფლიო პრემიერები ოდესმე საბოლოოდ შეცვლის.

მანამდე კი, შეგიძლიათ, საარჩევნო ბატალიები "ამირანის" დიდ ეკრანზე გათამაშებული ვირტუალური შეტაკებებით ჩაანაცვლოთ და ბრძოლის გაცილებით უფრო დახვეწილ ხერხებს გაეცნოთ – თანაც, გაცილებით უფრო გლობალური, ანდა - აბსურდული მიზნებით.

კეანუ რივზის გმირი, შაოსანი ნეო მესამე ფილმშიც ძველებური სისასტიკით ებრძვის მანქანებს, რომელთაც დედამიწაზე ადამიანების ცხოვრება იძულებით სიზმრად – "მატრიცად" აქციეს, რეალურად კი, შორეულ მომავალში ისინი დაიმონეს.

"მატრიცა - 3" - ჰუგო ვივინგი

კიანუ რივზი

რივზი – ამ საშინელი სიზმრიდან მოულოდნელად გამოფხიზლებული გმირი, თავის ამალასთან ერთად, ადამიანების გადარჩენას ცდილობს. ბრძოლის მესამე, დასკვნით სერიაში მას ზურგს სულ უფრო მეტი "გაღვიძებული" ადამიანი უმაგრებს, თუმცა მანქანები იპყრობენ სიონს – აჯანყებული ადამიანების ცენტრს, დედამიწაზე დარჩენილ უკანასკნელ რეალურ ქალაქს.

ერთი სიტყვით, სიტუაცია წარმოუდგენლად იძაბება იმ მიზნით, რომ კვანძი ერთხელ და სამუდამოდ გაიხსნას. "მატრიცას" პროდიუსერი ჯოელ სილვერი ხომ მაყურებელს შეჰპირდა, რომ მესამე სერია დროში მისტიკურ-ფილოსოფიურ მოგზაურობას საბოლოოდ დაასრულებს.

დასასრული კი ამ ფუტურისტულ ეპოპეას მართლაც შთამბეჭდავი აქვს. წინა ორი ფილმის შემდეგ გადამღებმა ჯგუფმა მოახერხა იმგვარი ტრიუკებისა და სპეცეფექტების შექმნა, რომ მაყურებელი უდავოდ გაოცებული დარჩება. მესამე სერია გვთავაზობს კიდევ უფრო მეტ ბრძოლებს, ფრენებს, რბოლებს, რეალობათა განუწყვეტელ ცვლას, იმგვარ სცენებს თავს მართლაც რომ საზარელ სიზმარში გაგრძნობინებთ...

მართალია, აქედან ბევრი რამ კომპიუტერზე იქმნება, მაგრამ მანქანებისა და რივზის შერკინების ამსახველი სცენები რეალურადაა გათამაშებული და ძალზე ძვირიც ღირს. მაგალითად, ბოლო ფილმში მხოლოდ ერთი, 14-წუთიანი ბრძოლის სცენის გადაღება, თურმე, 40 მილიონი დოლარი დაჯდა.

თუმცა, სცენარის ავტორსა და რეჟისორ ძმებს, ლერი და ენდი ვაჩოვსკებს საწუწუნო მაინც არაფერი აქვთ. 1999 წელს გამოსულმა პირველმა ფილმმა მათ ხომ 450 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა. 2003 წელს გამოსული ორი ახალი ფილმი კი, სავარაუდოდ, მოგების მილიარდ დოლარიან ზღვარსაც გადააჭარბებს.

ისე, რომ არ ყოფილიყო მესამე სერია, ალბათ, მხოლოდ მეორე ნაწილი – კანის ფესტივალზე პირველად ნაჩვენები "მატრიცა: გადატვირთვა" ჩავარდებოდა კიდეც. ვაჩოვსკების ტრილოგიის თბილისელმა ფანებმა მითხრეს, რომ მეორე სერია პირველთან შედარებით ძალზე დამღლელი და უაზროა. მეორე ნაწილს კრიტიკას არც ამერიკელი და ევროპელი მიმომხილველები აკლებდნენ (ფილმის ვებსაიტზე კი ახლაც ირწმუნებიან, რომ "მატრიცა" მთელი ფილოსოფიაა, რომლის შესახებაც იქვე მოსაზრებებს ცნობილი თანამედროვე ფილოსოფოსები აყალიბებენ. შეგიძლიათ, თავადაც ნახოთ: http://whatisthematrix.warnerbros.com).

თუმცა, კრიტიკის მიუხედავად, პროექტის გაგრძელება პროდიუსერმა მაინც გარისკა. ალბათ, მან იფიქრა, რომ "მატრიცაში" ჩადებულ თანხას ასე უფრო ამოიღებდა. მაყურებლის მოსაზიდად კი ჯერ კიდევ მეორე ფილმის გამოსვლისთანავე თქვა – მესამე, დასკვნითი სერია ამაზე მეტად ძვირადღირებული სპეც-ეფექტებით იქნება სავსეო.

აი, ასე დაუგეს მაყურებელს "მატრიცას" მორიგი მახე, რომელშიც ის, ალბათ, მესამედაც სიამოვნებით გაებმება და ფილმის შემქმნელებს მილიარდ დოლარიანი მოგების ოცნებას აუხდენს. რაც მთავარია, ძმები ვაჩოვსკების გამდიდრების ამ მსოფლიო პროცესში თავის მოკრძალებულ წვლილს საქართველოც შეიტანს – თავისი საერთაშორისო პრემიერით.

In Grid, კატები და არისტოტელე

იტალიელი შემსრულებელი "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ინგრიდი (მარჯვნიდან მეორე) და ორგანიზატორები

ნანა ბასილაშვილი

სამოდელო სააგენტო "მაქსიმუმმა" და სარეკლამო კომპანია რეინგოლდ & co-მ გუშინ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დაპირებული ერთობლივი პროექტი წარმოადგინა. არ ვიცი პროექტის მხარდამჭერისა და თანაორგანიზატორის - "მაესტროს" მიერ მის პრომოუტერობაზე მაქსიმალური მონდომებისა და ზრუნვის ბრალია, თუ სხვა რამ, ფაქტია, რომ ქართველი მელომანებისათვის In Grid საკმაოდ პოპულარული შემსრულებელი აღმოჩნდა. იმდენადაც, რომ კონცერტამდე კარგა ხნით ადრე, არც ისე იაფფასიანი ბილეთები ყველა გაყიდული იყო. გუშინ იტალიელი მომღერალი In Grid, ვიდრე კონცერტზე თბილისელ თაყვანისმცემლებს შეხვდებოდა, ჟურნალისტებმა პრესკონფერენციაზე ვიხილეთ.

ინგრიდისა და მისი საშემსრულებლო კარიერის შესახებ, ინტერნეტსა თუ მომღერლის ჩამოსვლამდე გამართულ პრესკონფერენციებზე, ბევრი ვერაფერი ინფორმაცია შეგროვდა. ეს კი ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ In Grid პოპ-მუსიკაში ახალი სახელია. ამდენად, მასთან შეხვედრა ორმაგად საინტერესო იყო. მით უმეტეს, რომ იტალიელი მომღერალი ყველა შეკითხვას, ამომწურავად და გულწრფელად პასუხობდა.

ის, რომ In Grid ჯერ არც ისე პოპულარული შემსრულებელია, ეს თავად მომღერალმაც დაგვიდასტურა: "არასოდეს მქონია ისეთი შემთხვევა, რომ ამდენი ტელეკამერის წინაშე ვმდგარიყავი და ამიტომ ძალიან ვნერვიულობ". თუმცა, გარეგნული ნიშნების მიხედვით, მღელვარებას მას ვერ დააბრალებდი. მომღიმარი სტუმარი მხიარულად და საკმაოდ გულახდილად პასუხობდა ჟურნალისტების შეკითხვებს. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. სხვადასხვა ჟურნალის, გაზეთისა თუ ტელევიზიის წარმომადგენლების, ყველას ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ინგრიდს საკმაოდ "ჭრელ" კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. ამდენად მისი პირადი ცხოვრებიდან დაწყებული, პროფესიით დამთავრებული მომღერალმა ყველაფერზე ისაუბრა.

"მე მიცნობენ ციმბირში, ამერიკის შეერთებული შტატებში, თუმცა ხანდახან საკუთარი მეზობლები ვერ მცნობენ... ჩემს სიმღერებს საკმოდ ხშირად ასრულებენ სხვადასხვა მომღერლები, თუმცა ეს მე სრულებითაც არ მაღიზიანებს, პირიქით, ე.ი. ხალხს ჩემი სიმღერები უყვარს", - ამბობს ინგრიდი. მასთან საუბრისას, რასაკვირველია, ისიც გავარკვიეთ, თუ რატომ მღერის იტალიელი მომღერალი მხოლოდ ფრანგულენოვან სიმღერებს. "ძალიან რთული ენაა, ვერაფერი გავუგე, მაგრამ მისი რომანტიკულობის გამო ჩემს ხასიათს შეეფერება და ზუსტად ჩემს გრძნობებს ემთხვევა". ინგრიდი, რომელიც სიყვარულს ერთადერთ მაცოცხლებელ ძალად მიიჩნევს, ორ წელიწადზე მეტია "უსიყვარულოდ" ცხოვრობს. თუმცა, ამ დანაკლისს მისი საყვარელი შინაური ცხოველები (25 კატა) უვსებენ: "ამ მომენტში უკაცოდ ცხოვრება შემიძლია, მაგრამ კატების გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია". ინტიმური დეტალების გარდა ინგრიდი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ინგრიდ ალბერინია, განაცხადა, რომ ძველი ბერძნული ფილოსოფიის, კერძოდ კი არისტოტელეს თაყვანისმცემელია: "არისტოტელე, ჩემი ცხოვრების მეგზურია, რითაც ვხელმძღვანელობ".

საკუთარ თავზე საუბრის შემდეგ, მომღერალი კონცერტზე წინასწარ ჩაფიქრებულ სიურპრიზებზეც ალაპარაკდა, თან პრესკონფერენციის დასრულებას ჩქარობდა: "ერთი სული მაქვს, როდის შევჭამ თქვენს ხაჭაპურს", - ამ ფრაზის წარმოთქმა მან ქართულ ენაზე სცადა.

მოდის სახლების ახალი თაობა

სალომე კიკალეიშვილი

პარიზი, თითქოს, მოდის სამყაროს ქალაქ-მუზეუმს ემსგავსებოდა. ერთი და იგივე დიზაინერები, თითქოს უკვე ერთმანეთის მსგავსი კოლექციები... არადა - საჭირო იყო რაღაც ახალი მამოძრავებელი ძალა, ახალი თაობა, რომელიც ბუმბერაზ მოდის სახლებს ახალ სულს, ახალ სიცოცხლეს შესძენდა.

მოდის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ის უნივერსალური პიროვნებაა, რომელზეც დამოკიდებულია სახლის საერთაშორისო აღიარება, შემოსავალი (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მოდის სამყაროში) და რაც მთავარია, ამა თუ იმ მოდის სახლში გაბატონებული სტილისა და ტრადიციის შენარჩუნება, რომელმაც, ამავე დროს, ტრანსფორმაცია, მოდერნიზაცია, განახლება უნდა განიცადოს.

Balenciaga და Lanvin-ის სახლების ახალი თაობა.

ფრანგმა ნიკოლა გესკიერიმ, რომელიც საკმაოდ პოპულარულია მოდის სამყაროში, საბოლოოდ გაამყარა მოდის სახლ Balenciaga-ს სახელი. 1977 წელს ამ თვითნასწავლმა დიზაინერმა, რომელიც მანამდე ჟან პოლ გოტიესთან და საკმაოდ ცნობილ ფირმებთან Trussardi და Callaghan-თან თანამშრომლობდა, სრულიად ახალი, ძალზედ ინდივიდუალური სტილი დაამკვიდრა. შეიძლება ითქვას, ეს არის მსუბუქი რომანტიზმის და ანატომიური მინიმალიზმის ნარევი: დაგრძელებული სილუეტი, მოტმასნილი შარვლები ფეხებს ლამის უსასრულობამდე რომ აგრძელებს და კორსეტი, რომელსაც ასე ხშირად იყენებს დიზაინერი, რათა მკერდის სილამაზეს გაუსვას ხაზი.

Haut couture-ს კიდევ ერთი ღირსეული გამაგრძელებელი ალბერ ელბაზი 2001 წლის ოქტომბერში Lanvin-ის მოდის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. წარსულისა და მომავლის ერთმანეთთან ექსპერიმენტული დაკავშირებით, მან სრულიად ახალი, მგრძნობიარე, ელეგანტური, თანამედროვე ფრანგი ქალის სახე შექმნა. ბაფთიანი პალტოების, დაბალქუსლიანი ფეხსაცმლის და ტალღოვანი მაქმანებით მორთული საცვლების სერიის დასამზადებელი მატერიის – აბრეშუმის ფუნქცია, რომლისგანაც მკვეთრი ნახატებით მოხატული არაჩვეულებრივი მინი-კაბები შექმნა.

ჯულიენ მაკდონალდსი თავის მოდელებთან ერთად

ლი ჰაეროვანი კაბების კოლექცია დღეს უკვე ცოცხალ ლეგენდად იქცა.

Yves Saint Laurent: ტომ ფორდის ახდენილი ოცნება

2000 წელს Yves Saint Laurent-ი Gucci-PPR-მა შეიძინა. ტეხასელი კუტურიე – ტომ ფორდი თავიდან ტყავისგან დამზადებული აქსესუარებითა და სამოსის შექმნით იყო დაკავებული, ხოლო ბოლოს უკვე, როგორც Gucci-ს მთავარმა დიზაინერმა, მისი სათაყვანებელი ფრანგული ბუმბერაზი, მოდის სახლი YSL-იც "ჩაიგდო" ხელთ. "Gucci-ის ქალი არის ძალიან სექსუალური, ხოლო YSL ზედმეტად მგრძნობიარე, რის გამოც მისი დამორჩილება უფრო საინტერესო, უფრო ძნელი ხდება" – ასე ანსხვავებს ტომ ფორდი ორ დიდ სამოდელო სახლს. იგი YSL-ის ისეთ ცნობილ კოლექციებს, როგორებიცაა "სურეალიზმი" და "აფრიკა", უკეთებს თანამედროვე ინტერპრეტაციებს, სადაც მკვეთრი ფერებით, სხეულის შიშველი ნაწილებითა და გამჭვირვალე ნაჭრებით იწყებს "თამაშს". თანამედროვე ხაზის მიმდევარი, Haut couture-ის ნამდვილ სამოსს ქმნის.

Rochas და Gres-ს ახალი ცდები

ახალგაზრდა, 26 წლის ბელგიელი დიზაინერი ოლივიე ტეისკენსი, რომელიც საკმაოდ ცნობილი არის მოდის სამყაროში, თავისი შავებში შესრულებული, გრაფიკული სილუეტის რომანტიკული კოლექციით, 2003 წელს ჩაუდგა სათავეში მოდის სახლ Rochas-ს. თავის მიზანს - პრეტ-ა-პორტერის კოლექციისთვის ახალი იმპულსების, ახალი სულის შთაგონებას, დიზაინერმა უდავოდ ბრწყინვალედ გაართვა თავი: შანტიური მაქმანები, მკაცრი კოსტიუმები და თეთრი აბრეშუმისგან შექმნილი ფოთლებით მორთული საღამოს კაბები.

1941 წელს დაარსებული ფირმა Gres, რომელიც 1988 წელს იაპონურმა ჯგუფმა Yagi Tsuhol-მ შეისყიდა, ფაქტობრივად, მთლიანად გადაბარგდა იაპონიაში. ფირმამ მხოლოდ 2003 წლის მარტში წარუდგინა თავისი კოლექცია ფრანგ საზოგადოებას. კოჯი ტანტუნომ, რომელიც ცნობილია თავისი ძიებებით მატერიისა და ფორმის სფეროში, არც ამჯერად უღალატა თავის ტრადიციას და მთლიანად შეცვალა Gres ცნობილი ჰაეროვანი კაბების კოლექცია.

სიგამხდრე ახალგაზრდობაა



ტომ ფორდი და ჯინა გერსონი

"ამ თემის შესახებ ბევრი დავობს, მაგრამ სიგამხდრე რეალურად არის ახალგაზრდობის შენარჩუნების უმთავრესი გზა", - აცხადებს "გუჩისა" და ივ სენ ლორანის სახლების შემოქმედებითი დირექტორი ტომ ფორდი და ამას საკუთარი მაგალითით გვიმტკიცებს და აცხადებს, რომ 42 წლის ასაკში 28 წლის ბიჭის წონას სწორედ ამ მიზნით ინარჩუნებს. თუმცა, ფორდი იმასაც აღიარებს, რომ წონას მამაკაცები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ მათ მაინც მოუწოდებს, კვირაში ერთხელ სარკის წინ თავიანთი შიშველი სხეული კარგად შეათვალიერონ და იქნებ, გახდომის სურვილი ასე მაინც გაუჩნდეთ. დიზაინერი აცხადებს, რომ ახალგაზრდობა ასევე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული ჯანსაღ კბილებთან. ასე რომ, თუ მის რჩევებს გავითვალისწინებთ, პირველ რიგში, კბილები და წონა უნდა ვაკონტროლოთ თუ ჯანსაღი ფორმის შენარჩუნება ხანგრძლივად გვსურს.

მოკლედ

უილიამსები ახალ წელს დაბრუნდებიან

ერთ დროს პირველი ჩოგნები, დები უილიამსები, რომლებიც კორტებზე წლევანდელი უიმბლდონის ტურნირის შემდეგ აღარ გამოჩენილან, დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ახალი წლიდან ვარაუდობენ. პირველ ტურნირებს უილიამსები 2004 წლის იანვარში ავსტრალიაში გამართავენ. "დიდი სლემის" ტურნირების ექვსგზის ტრიუმფატორი სერენა უილიამსი იმედოვნებს, რომ 3-დან 10 იანვრამდე წყვილთა მსოფლიო ჩემპიონატში "ჰოპმანის თასზე" ითამაშებს.

თავის მხრივ, უფროსი უილიამსი აცხადებს, რომ 8-თვიანი შესვენების შემდეგ კორტზე პირველად გამოვა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, რომელიც 19 იანვარს დაიწყება. დები უილიამსების ასეთი ხანგრძლივი პაუზა ტრავმებით იყო გამოწვეული. სერენამ აგვისტოში მუხლზე ოპერაცია გადაიტანა. ვინუსი კი მუცლის ტრავმას მკურნალობდა.

"დარწმუნებული ვარ, ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ვითამაშებ", - განაცხადა უფროსმა უილიამსმა, რომელმაც თავისი ახლანდელი მდგომარეობის კომენტირებისგან თავის შეიკავა.

რაც შეეხება სერენას, მან თქვა, რომ შარშან "ჰოპმანის თასის" გათამაშებისგან შეუდარებელი სიამოვნება მიიღო და არ აპირებს, წლეულს ამ სიამოვნებაზე უარი თქვას. უილიამსები, რომლებიც ბოლო დროს საყვარელ საქმეს ჩამოსცილდნენ, სხვა სფეროში ჩაებნენ. ამერიკელები WTA-ის მიერ მოწყობილი მოდების სხვადასხვა ჩვენებაში მონაწილეობდნენ.

უილიამსების გვერდით პოდიუმზე სხვა ჩოგბურთელებიც ჩანდნენ. მაგალითად, მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი კიმ კლიისტერსი, ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი და რუსები - ანასტასია მისკინა და ელენა დემენტიევა.

მშვიდობა ოლიმპიადის დროს

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, დაიცვას მშვიდობა ათენის 28-ე ოლიმპიური თამაშების მსვლელობის პერიოდში. ოლიმპიური თამაშები 2004 წლის 13-29 აგვისტოს გაიმართება. "ოლიმპიური ზავი ძლიერ სიგნალს იძლევა და მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს მოუწოდებს, შეჩერდნენ და დაფიქრდნენ. 24 საათით მაინც მისცენ მსოფლიოს შანსი, - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა, - ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ 24 საათის განმავლობაში ადამიანები დაფიქრდებიან ომზე, მშვიდობაზე, იმაზე, თუ რას ნიშნავს ოლიმპიური თამაშები. იმედი მაქვს, ზოგიერთი მათგანი არა მხოლოდ 24 საათის განმავლობაში, არამედ უფრო დიდხანსაც შეჩერდება".

გაეროს გენერალური მდივანი იმედოვნებს, რომ ამ სიგნალს გაიგებენ "ყველა კონფლიქტურ რაიონში - ერაყიდან ავღანეთამდე, ლიბერიამდე და კონგომდე" და მას "ნამდვილად გაიგებენ არა მხოლოდ ისინი, ვინც ომობს", არამედ მოსახლეობა, რომელმაც ომის შეჩერება და მშვიდობა უნდა მოითხოვოს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2005 წელი სპორტისა და ფიზიკური კულტურის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს "განათლების განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, ეკონომიკურ განვითარებას და მშვიდობას", - ნათქვამია ორშაბათს მიღებულ რეზოლუციაში. გაეროს მთავრობებსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს მოუწოდა, განვითარებად ქვეყნებს დაეხმარონ. "ძალისხმევა არ დაიშუროთ სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარებისთვის". დააჩქარონ საერთაშორისო ანტისადოპინგო კონვენციის შემუშავება, რომელიც სპორტის ყველა სფეროს მოიცავს.

ორგანიზატორებს ფული არ ეყოთ

ფორმულა 1-ის ეტაპის, კანადის გრან-პრის ჩატარება კვლავ ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას. როგორც კანადური გაზეთი "ლა პრესი" იუწყება, ლუდის გადამამუშავებელმა კომპანია "მოლსონმა", რომლის მხარდაჭერით კანადაში ხორციელდება ადგილობრივი ჩემპიონატის ეტაპები კარტინგში და ბიზნესმენმა ჯორჯ ჟილეტმა ვერ გამონახეს საჭირო თანხა ფორმულა 1-ის გრან-პრის ჩასატარებლად.

რამდენიმე თვის წინათ კანადის გრან-პრი ფორმულა 1-ის კალენდრიდან ამოიღეს ამ ქვეყანაში სიგარეტის რეკლამის აკრძალვის გამო, მაგრამ მოგვიანებით ფორმულა 1-ის შეფმა ბერნი ეკლსტოუნმა რბოლის დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა, ორგანიზატორებს დაევალათ, კომპენსაცია გაეცათ იმ გუნდებისთვის, რომელთა სპონსორები თამბაქოს გადამამუშავებელი კომპანიები იყვნენ. "ლა პრესი" აცხადებს: კანადის გრან-პრის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ დაახლოებით 30 მილიონ დოლარს გამოძებნიან - 3 მილიონი ყოველი გუნდისთვის.

სექტემბრის ბოლოს ეკლსტოუნმა განაცხადა, რომ კანადის გრან-პრის ორგანიზატორებს ფინანსური პრობლემები შეექმნებათ მანამ, სანამ კანადაში ძალაში დარჩება კანონი, რომელიც თამბაქოს რეკლამას კრძალავს და არ არის გამორიცხული, გუნდების კომპენსაცია 100 მილიონ დოლარამდე გაიზარდოს.

TV პროგრამა

ოთხშაბათი. 5 ნოემბერი

NTV + ფუტბოლ
06:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: უაიტ ჩემბერლენი
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1978. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "WASHINGTON BULLETS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. "ლაციო" – "ჩელსი"
15:15 ჩემპიონთა ლიგა. "პორტუ" – "მარსელი"
17:05 თავისუფალი დარტყმა
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:10 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "გლაზგო რეინჯერსი"
20:55 ჩემპიონთა ლიგა. "სელტა" – "აიაქსი"
22:45 სახვალიო ტელეპროგრამა
22:50 თავისუფალი დარტყმა
23:05 "დარტყმა გოლისთვის"
23:20 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა
01:35 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" (ინგლისი) – "დინამო" (უკრაინა)
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. საკალათბურთო არხი
05:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1978. ფინალი. "SEATTLE SUPERSONICS" - "WASHINGTON BULLETS". მე-5 თამაში

NTV + სპორტ
11:00, 13:45, 16:45, 20:15, 22:25 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 წრიული ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის
12:45 ტრიატლონი. მსოფლიო თასი ესპანეთში
14:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:00 ბილიარდი. რუსეთის თექვსმეტი უძლიერესი მოთამაშის ტურნირი. ფინალი
17:00 ცხენოსნობა. კონკური. "Georgenburg Cup"
18:00 "NHL – პლუს"
18:20 სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი მოსკოვში. პირველი ნაწილი
20:30 "Power week - NHL-ის კვირა"
21:00 ათენის გზაზე
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:10 "NHL – პლუს"
22:40 "ყველაზე ძლიერი ადამიანი". იამაიკა. მეორე ნაწილი
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ინტერი" (იტალია) – "ლოკომოტივი" (რუსეთი). პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "რეალ სოსიედადი" – "იუვენტუსი"

EUROSPORT
11:30 ცხენოსნობა. ვილამურის შოუ
12:30 ფეხბურთი. ევროგოლები
13:30 სპიდვეი. გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ლეგენდები
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ლეგენდები
16:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
17:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში
18:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში
19:00 სპიდვეი. გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ლეგენდები
21:00 ჩოგბურთი. ჰოლივუდის ხეივანი
21:30 ჩოგბურთი. WTA-ს ლეგენდები
22:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
22:45 ცხენოსნობა. ნაციის თასი. სუპერლიგა. მიმოხილვა
23:45 აფროსნობა
00:15 გოლფი. ჩელენჯ ტური
01:15 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
02:15 ახალი ამბები
02:30 სნუკერი. ტრიკშოტი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

"რეინჯერსს" შანსი არ დაუტოვეს

"ჩელსი" კი "ლაციოს" ანადგურებს

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელმა დღემ პირველი მერვედფინალისტები და ზოგიერთი ის გუნდი გამოავლინა, რომელთაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები აღარ გააჩნიათ. თუმცა, ჯობს, ეს მატჩები თანმიმდევრობით, ჯგუფების მიხედვით მიმოვიხილოთ.

E ჯგუფი, სადაც გლაზგოს "რეინჯერსია" გამწესებული, ცხადია, ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. "მანჩესტერ იუნაიტედი" ამჯერად მასპინძლის როლში მოევლინა შოტლანდიელებს და, სამწუხაროდ, გაანადგურა კიდეც. "რეინჯერსი" პირველივე წუთებიდან უსუსურად გამოიყურებოდა და მთელი მატჩის მანძილზე პრაქტიკულად არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია "მანჩესტერელთა" კართან. ანგარიში შეხვედრის მე-6 წუთზე დიეგო ფორლანმა გახსნა, რომელმაც რიო კინის ჩაწოდების შემდეგ შეუჩერებლად დაარტყა კლოსის კარში, იქვე მდგომმა ხიზანიშვილმა რეაგირებაც ვერ მოასწრო. 43-ე წუთზე ვან ნისტელროიმ ანგარიში ორამდე გაზარდა, მეორე ტაიმში კი იმავე ნისტელროიმ მესამე გოლი გაიტანა და "რეინჯერსის" განადგურებას წერტილი დაუსვა. მასპინძლებს გოლის გატანის კიდევ რამდენიმე აშკარა მომენტი ჰქონდათ, "რეინჯერსის" კი არავითარი შანსი არ ჰქონია. შოთა არველაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა მთელი მატჩის მანძილზე ითამაშეს, თუმცა, როგორც მთელმა გუნდმა, არც თუ ისე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

გერმანული "შტუტგარტი" "პანათინაიკოსს" სტუმრობდა და კონსტანტინიუს მიერ მე-60 წუთზე გატანილი გოლის შემდეგ მარცხდებოდა კიდეც, თუმცა სტუმრებმა მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა შეძლეს. 68-ე წუთზე ბერძენმა ფისასმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. შემდეგ კი კურანემ და ჰინკელმა თითო ბურთი გაიტანეს და "შტუტგარტს" გამარჯვებაც მოუტანეს – 1:3.

E ჯგუფს "მანჩესტერი" და "შტუტგარტი" 9-9 ქულით ლიდერობენ, "რეინჯერსი" კი 4 ქულით მესამე ადგილზეა. "პანათინაიკოსს" მერვედფინალში გასვლის შანსი აღარ აქვს.

F ჯგუფში მადრიდის "რეალი" პირველი გუნდია, რომელმაც მერვედფინალის საგზური უკვე "ოფიციალურად" გაინაღდა. ბელგრადის "პარტიზანთან" სტუმრად მიღწეული ფრე ამისათვის საკმარისი აღმოჩნდა. "პარტიზანს" კი ისღა დარჩენია, ჯგუფში მესამე ადგილისათვის იბრძოლოს, ალბათ, "მარსელთან". ფრანგულმა კლუბმა პორტუგალიურ "პორტოსთან" კვლავაც წააგო და 4 მატჩში დაგროვებული 3 ქულით შემდეგ ეტაპზე გასვლის თითქმის არავითარი შანსი აღარ გააჩნია.

უაღრესად საინტერესოდ ვითარდება მოვლენები G ჯგუფში. გუშინ აქ ლიდერების დაპირისპირება შედგა, რომლის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი ამ გუნდთაგანი ჯგუფის აუტსაიდერად იქცა. ლონდონის "ჩელსიმ" რომის "ლაციოს" მისივე მოედანზე შავი დღე აყარა და 4:0 მოუგო. ლონდონელებმა შეხვედრა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს, შემდეგ მსაჯმა "ლაციოელი" მიხაილოვიჩი გააძევა მოედნიდან და "გოლეადაც" დაიწყო. კრესპო (15-ე წუთზე), გუდიონსენმა (70`), დაფმა (75`) და ლამპარდმა (81`) თითო გოლი გაიტანეს რომაელთა კარში და "ჩელსის" ჯგუფში ლიდერობაც კიდევ უფრო გაამყარეს.

კაკას გოლმა "მილანს" გამარჯვება მოუტანა

E ჯგუფი							
ფენერბახჩე	3	-	0	რეინჯერსი			
მანჩესტერი	1	-	3	ბეშიქთაში			
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	ბეშიქთაში	4	3	0	1	8:4	9
2	მანჩესტერი	4	3	0	1	10:2	9
3	რეინჯერსი	4	1	1	2	3:8	4
4	ფენერბახჩე	4	0	1	3	2:11	1

F ჯგუფი							
პარტიზანი	0	-	0	რეალი			
პორტო	1	-	0	მარსელი			
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	რეალი	4	3	1	0	6:3	10
2	პორტო	4	2	1	1	6:6	7
3	მარსელი	4	1	0	3	7:8	3
4	პარტიზანი	4	0	2	2	1:5	2

G ჯგუფი							
ბენფიკა	1	-	0	სპარტა			
ლაციო	0	-	4	ჩელსი			
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	ჩელსი	4	3	0	1	7:3	9
2	ბენფიკა	4	2	0	2	4:4	6
3	სპარტა	4	1	1	2	4:5	4
4	ლაციო	4	1	1	2	5:8	4

H ჯგუფი							
სელტა	3	-	2	არსენალი			
ბარსელონა	0	-	1	მილანი			
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	მილანი	4	2	1	1	2:1	7
2	არსენალი	4	2	0	2	5:4	6
3	სელტა	4	1	2	1	4:4	5
4	ბარსელონა	4	1	1	2	2:4	4

მაგავსი ვითარებაა H ჯგუფშიც, სადაც "მილანი" "ბრიუგეს" სტუმრობდა. მატჩი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და "მილანის" საქმეებიც ძალიან ცუდად წავიდა. 35-ე წუთზე ტრავმა მიიღო მალდინიმ და შესაცვლელი გახდა, ორი წუთის შემდეგ კი მსაჯმა მოედნიდან გააძევა ნესტა. მიუხედავად ამისა, მატჩის მიწურულს ბრაზილიელმა კაკამ გამარჯვების გოლის გატანა შეძლო და "მილანს" სამი ქულა მოუტანა.

დიდი ბრძოლა გაიმართა ვიგოში, სადაც ადგილობრივი "სელტა" ამსტერდამის "აიაქსს" მასპინძლობდა. 25-ე წუთზე ამსტერდამელთა კარში საკმაოდ საეჭვო პენალტი დაინიშნა, რომელიც კარგად გამოიყენა ლუჩინმა და ანგარიშიც გახსნა. 39-ე წუთზე მილოშევიჩმა ანგარიში ორამდე გაზარდა. 53-ე წუთზე სონკმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო და "აიაქსს" წარმატების იმედიც დაუბრუნდა, თუმცა ათ წუთში ვაგნერმა მესამე გოლი გაუტანა ლობონტს და ამსტერდამელებს იმედი გადაუწურა. 82-ე წუთზე ვან დერ ვაარტის მიერ გატანილი გოლი უკვე აღარაფერს წყვეტდა – 3:2.

ელბერი და "ბაიერნი" - შეხვედრა №2

"არსენალის" უკანასკნელი შანსი კიევის "დინამოა"

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი მატჩებიდან ორი შეხვედრა, ალბათ, მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ლონდონის "არსენალი" კიევის "დინამოს" მასპინძლობს. თუ არსენ ვენგერის გუნდი დღესაც ვერ მოიგებს, ახლავე გამოეთიშება ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებას. კიეველებთან გამარჯვების შემთხვევაში კი "არსენალი" მერვედფინალში გასვლის თეორიულ შანსს მაინც შეინარჩუნებს. დღევანდელი ტური იმითაც არის საინტერესო, რომ მიუნხენის "ოლიმპიაშტადიონზე" დღეს "ბაიერნისა" და ჯოვანი ელბერის მეორე შეხვედრა შედგება. ცხადია, გვაინტერესებს აშვეთიას და ასათიანის "ლოკომოტივიც"...

A ჯგუფი
ბაიერნი – ლიონი
სელტიკი – ანდერლეხტი

მიუნხენის "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონატის ცხრილის შუაგულშია და ლიდერებს სულ უფრო მეტად ჩამორჩება. სხვაგვარად არის საქმე ჩემპიონთა ლიგაში: ერთი გამარჯვებით და ორი ფრეთი მიუნხენელები A ჯგუფს ლიდერობენ, თუმცა, პატარა უპირატესობით. ეჭვგარეშეა, "ლიონის" წინააღმდეგ "ბაიერნს" მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში ლიდერობას დაკარგავს და საქმესაც ერთიორად გაირთულებს. ისევე როგორც წინა ტურში, "ბაიერნისა" და "ლიონის" შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამის მიზეზი კი ჯოვანი ელბერია. "ბაიერნის" ყოფილმა თავდამსხმელმა, ამჟამად "ლიონის" წევრმა, წინა ტურში ვერ შეძლო, მიუნხენელებზე შური ეძიებინა. ახლა ელბერი "ოლიმპიაშტადიონზე" მოუგო (0:1) და თუ საკუთარ კედლებშიც იგივეს გაიმეორებს, მერვედფინალში გასვლის რეალურ შანსს დაიბრუნებს. ბერძნები კი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მეტისმეტად სუსტად გამოიყურებიან. დღევანდელ მატჩში დამარცხება მათთვის დასასრული იქნება.

C ჯგუფის ლიდერები დღეს მონაკოში შეხვდებიან ერთმანეთს. "დეპორტივოს" და "მონაკოს" შორის განსხვავება მხოლოდ ერთი ქულაა და ესპანელების დამარცხების შემთხვევაში "მონაკო" C ჯგუფის სათავეში მოექცევა.

D ჯგუფი
ოლიმპიაკოსი – გალათასარაი
სოსიედადი – იუვენტუსი

ბერძნული ოლიმპიაკოსისთვის ჩემპიონთა ლიგა მხოლოდ პრესტიჟის საქმედ იქცა. ეს გუნდი ახლა ჯგუფში მესამე ადგილისთვის თუღა იბრძოლებს, ხოლო მერვედფინალში გაღწევაზე ოცნებაც კი ზედმეტია. ბერძნები დღეს თურქულ "გალათასარის" უმასპინძლებენ და, ალბათ, პირველი ქულების მოგროვების საუკეთესო შანსიც ამ მატჩში მიეცემათ. ფათიხ თერიმის გუნდს ახლა სამი ქულა აქვს და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსსაც ჯერ კიდევ ინარჩუნებს. "გალათასარაის" მთავარი კონკურენტი ესპანური "რეალ სოსიედადია", "იუვენტუსთან ჭიდილს კი, ალბათ, აზრი აღარა აქვს.

ტურინული კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ასპროცენტიანი მაჩვენებლით მიიწევს წინ და აქამდე ჩატარებულ სამ მატჩში ჯერ ქულა არ დაუკარგავს. "იუვენტუსი" დღეს "სოსიედადს" სტუმრობს და, ალბათ, წაგების უფლებაც აქვს, ესპანელებს კი გამარჯვება ნამდვილად სჭირდებათ. "იუვენტუსთან" სამი ქულის მოპოვების შემთხვევაში "სოსიედადი" ცხრა ქულას დააგროვებს და ცალი ფეხით მერვედფინალში იქნება.

A ჯგუფი							
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	ბაიერნი	3	1	2	0	4:3	5
2	ლიონი	3	1	1	1	2:3	4
3	ანდერლეხტი	3	1	1	1	2:2	4
4	სელტიკი	3	1	0	2	3:3	3

B ჯგუფი							
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	ინტერი	3	2	0	1	5:3	6
2	ლოკომოტივი	3	2	0	1	5:4	6
3	დინამო	3	1	1	1	3:2	4
4	არსენალი	3	0	1	2	1:5	1

C ჯგუფი							
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	დეპორტივო	3	2	1	0	4:1	7
2	მონაკო	3	2	0	1	6:2	6
3	ეინდჰოვენი	3	1	0	2	2:4	3
4	აეკ	3	0	1	2	1:6	1

D ჯგუფი							
	#		ი	ხ	წ	ს	ქ
1	იუვენტუსი	3	3	0	0	8:4	9
2	სოსიედადი	3	2	0	1	5:5	6
3	გალათასარაი	3	1	0	2	3:4	3
4	ოლიმპიაკოსი	3	0	0	3	1:4	0

ინფორმაცია

ფეხბურთი. ბერძენი ფანები იმდენად შეწუხებულნი არიან ჩემპიონთა ლიგაში "პანათინაიკოსის" უფერული თამაშით, რომ გადაწყვიტეს, პროტესტი გამოხატონ კლუბის ხელმძღვანელობის პოლიტიკისა და მთავარი მწვრთნელის იცხაკ შუმას წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, რომ "პანათინაიკოსის" ფანებმა მოუკლონ სტადიონზე სიარულს, რაც საბერძნეთისთვის საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანიის "კაიზერსლაუტერნი", რომელიც ბუნდესლიგაში მე-12 ადგილზეა, "სატურნის" ფორვარდით, ალექსი მედვედევით დაინტერესდა. მედვედევმა რუსეთის ახლად დასრულებულ ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა და გუნდის ბომბარდირი გახდა. რუსული პრესის ცნობით, ახლა "კაიზერის" ხელმძღვანელობა განიხილავს 26 წლის ფორვარდის თამაშის ვიდეოჩანაწერებს. ფეხბურთელს თავის კლუბთან კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება. თუმცა, ამ დრომდე ოფიციალური მოლაპარაკება კლუბებს შორის არ გამართულა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბილბაოს "ატლეტიკის" ფეხბურთელს კარლოს გურპეგის 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. შეგახსენებთ, რომ გურპეგი შარშანდელ სეზონში დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. ამ საქმესთან დაკავშირებით გარჩევა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. "ატლეტიკმა" კი განაცხადა, რომ კიდევ ერთ აპელაციას შეიტანს.

■ ■ ■

ფეხბურთი. 26 ივნისს ლიონში, "ჟერლანის" სტადიონზე, კონფედერაციის თასზე, კამერუნისა და კოლუმბიის გუნდების მატჩში პირდაპირ მინდორზე გარდაიცვალა კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი მარკ ვივიენ ფოე. 11 ნოემბერს ლიონის ამავე სტადიონზე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები შეიკრიბებიან და საქველმოქმედო მატჩს გამართავენ, რომლის მიზანი ფოეს ოჯახის დახმარება იქნება. მატჩის ორგანიზატორია მარსელის "ოლიმპიკის" ყოფილი ფეხბურთელი ბაზილ ბოლი. მატჩის სავარაუდო მონაწილეთა შორის ასახელებენ ანრის, ვილტორს, პირესს, ედმილსონს, ანელკას.

■ ■ ■

ფეხბურთი. ტრაგედია მოხდა კოლუმბიის ქალაქ ბარანკილიაში. ადგილობრივი გულშემატკივრები იმდენად ომახიანად ზეიმობდნენ კლუბ "ატლეტიკო ხუნიორის" გამარჯვებას, რომ ტრიბუნების კედელმა ვერ გაუძლო. შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, 35-მა კი სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფაბიენ ბარტეზი, რომელსაც ფიფამ მარსელის "ოლიმპიკში" თამაში აუკრძალა, საფრანგეთში დარჩა და ვარჯიშს აგრძელებს გუნდთან, რომელთანაც საბოლოოდ კონტრაქტის გაფორმებას ვარაუდობს. თუ "ოლიმპიკის" თხოვნა, ბარტეზს უფლება მისცენ, ითამაშოს მარსელის გუნდის შემადგენლობაში, არ დაკმაყოფილდა, ბარტეზი ფრანგულ კლუბში 2004 წლის იანვრიდან მაინც ითამაშებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსის" რუმინელმა ფორვარდმა ადრიან მუტუმ იტალიის ჩემპიონატის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა. "მე "პარმა" მენატრება, სერია A კი არა, - განაცხადა რუმინელმა ფეხბურთელმა, - ინგლისში არბიტრები მატჩზე 10-12 დარღვევას აფიქსირებენ, იტალიაში კი - 60. მე ბრიტანული სტილი უფრო მომწონს. ეს არის ფეხბურთი მამაკაცებისთვის".

■ ■ ■

ფეხბურთი. ავსტრიული ქალაქ კლაგენფურტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ქალაქს შეუძლია საკუთარი ძალებით ააგოს 32-ათასიანი სტადიონი, რომელიც 2008 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების ნაწილს უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ევროპის პირველობას ავსტრია შვეიცარიასთან ერთად უმასპინძლებს. ვარაუდობენ, რომ სტადიონის მშენებლობა კორინთიის მხარის დედაქალაქს 40 მილიონი ევრო დაუჯდება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანური "მარკა" იუწყება, რომ "ვალენსიამ" მოინონა რომან აბრამოვიჩის წინადადება, შეიძინოს კლუბის მცველი რობერტო აიალა. გაზეთი აიალას ნისლიან ალბიონზე გადასვლის საქმეს მოთავებულად მიიჩნევს. აბრამოვიჩმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გაიღო. ტრანსფერი უნდა განხორციელდეს იანვარში, როცა ზამთრის სატრანსფერო დერეფანი გაიხსნება. ერთადერთი, ვისაც შეთანხმების ჩაშლა შეუძლია, თვითონ ფეხბურთელია, რომელსაც პირადი კონტრაქტის დეტალები ჯერ არ შეუთანხმებია.

■ ■ ■

ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ნიცას" განადგურება (5:0) "ლიონს" ძვირად დაუჯდა. მინდორი იძულებით დატოვეს ედმილსონმა, სიდნი გოვუმ და პეგი ლუიინდულამ. მათი საფეხბურთო მომავალი ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ცუდ დღეშია გერმანული "შტუტგარტიც". "ფრაიბურგის" გადაგდურების (4:1) შემდეგ კლუბი კვლავ სათავეში ჩაუდგა ბუნდესლიგას, მაგრამ მცველმა მარსელო ბორდონმა საზარდულის ტრავმა მიიღო და იგი წლის ბოლომდე თამაშს ვერ შეძლებს. მცველს ოპერაცია გაუკეთეს. მწვრთნელ ფელიქს მაგათს მისი შემცვლელის მოძებნა მოუწევს.

ინფორთეკა

კალათბურთი. "სან-ანტონიომ" "მემფისთან" მატჩში სენსაციური მარცხი განიცადა. ეს კი გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიმ დანკანის ტრავმის გამო მოხდა. ტერფის ტრავმა გუნდს დაებედა. ასეთი ტრავმის გამო კლუბს ჯერ გამოაკლდა გამთამაშებელი ტონი პარკერი. ახლა კი მას ტიმ დანკანიც დაემატა. ვირჯინიის კუნძულების წარმომადგენელმა მხოლოდ 7 წუთი ითამაშა და 10 ქულა მოიპოვა. რამდენი ხნით გამოაკლდა ლიდერი "სან-ანტონიოს", ეს რენტგენული სურათის გადაღების შემდეგ გახდება ცნობილი.

■ ■ ■

კალათბურთი. სტარტი აიღო საკალათბურთო ევროლიგამ. სასტარტო მატჩში ტურნირის გამარჯვებულმა, ესპანეთის "ბარსელონამ", სტუმრად დაამარცხა რომის "ვირტუსი" - 61:59. კატალონიელებმა მატჩის ბოლოს შეძლეს გამარჯვება. "ბარსას" მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა დეიან ბოდიროგამ. მან გუნდს 16 ქულა შესძინა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირების სამგზის გამარჯვებულმა ბორის ბეკერმა აღიარა, რომ მას პრობლემები ჰქონდა ძილის წამალთან და ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ჩოგბურთელმა მკითხველს უამბო თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში, რომელიც ნოემბერში გამოქვეყნდება. ბეკერის თქმით, სპირტიანი სასმელებისა და ალკოჰოლის გარეშე იგი ვერ გაუძლებდა იმ დატვირთვას, რომელიც საჩოგბურთო ტურნირებზე მონაწილეობით იყო გამოწვეული.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატმა პარიზმა თამაშების ჩატარების ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა. კომიტეტმა, რომელიც პარიზის წარდგენას აპირებს, გადაწყვიტა, რომ ბიუჯეტი 24 მილიონ ევროს შეადგენს. საჭირო თანხა პროპორციული სისტემით წამოვა - მთავრობიდან, პარიზის ბიუჯეტიდან, დედაქალაქის ახლომდებარე დაბებიდან და კორპორაციული სპონსორებისგან.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ათენში გამართეს 11 საზღვაო ლაინერის პრეზენტაცია, რომლებიც ოლიმპიადის პერიოდში მოცურავე სასტუმროებად გადაიქცევიან. ვარაუდობენ, რომ ამ სასტუმროებზე სხვადასხვა ეროვნული ფედერაციის 13 ათასი წარმომადგენელი განთავსდება. ქალაქის პორტში უკვე შევიდა ერთ-ერთი ლაინერი - ჰოლანდიური "ოოსტერდამი", რომელსაც 1848 მგზავრის მასპინძლობა შეუძლია.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. გუშინ აშშ-ის ფედერალური დაზვერვის ბიუროს შეფი რობერტ მიულერი საბერძნეთის დედაქალაქს ეწვია. ის აპირებს, პირადად შეამოწმოს ადგილობრივი სპეცსამსახურების მზადყოფნა 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის. აშშ-ს ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება მომავალი ოლიმპიადის ანტიტერორისტული უშიშროების საკითხებში. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ კი ბერძნები უკვე შეაქო. "მე ვენდობი იმ მზადებას, რომელსაც საბერძნეთის მთავრობა ოლიმპიურ თამაშებზე უშიშროების დარგში ახორციელებს", - განაცხადა როგემ.

■ ■ ■

ფორმულა 1. ახალი McLaren MP4-19 ვალენსიის ტრასაზე უკვე 25 ნოემბერს გამოჩნდება და გახდება მომდევნო სეზონის პირველი მანქანა, რომელსაც ტესტებზე ვნახავთ. გუნდი იმედოვნებს, რომ ახალი ბოლიდი ბევრად უფრო უკეთესი იქნება MP4-18A-ის მოდელზე, რომელიც ტესტებს ვერაფრით გასცდა.

■ ■ ■

ჰოკეი. 2004 წლის სექტემბერში გაიმართება მსოფლიო თასის გათამაშება ჰოკეიში. გუშინ ტორონტოში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ცნობილი გახდა, რომ ამ ტურნირზე უეინ გრეტცკი კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი იქნება. სავარაუდოდ, გრეტცკის ასისტენტები იქნებიან მისი ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად "ედმონტონის" მენეჯერი კევინ ლოუ და "ვანკუვერის" აღმასრულებელი დირექტორი სტივ ტამბელინი. ამრიგად, კანადელები აპირებენ, დაეყრდნონ მწვრთნელთა იმ შემადგენლობას, რომელმაც გუნდს სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები მოაგებინა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თასის გათამაშება 30 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე ერთბაშად ორ კონტინენტზე გაიმართება. რუსეთი, კანადა, აშშ და სლოვაკეთი შექმნიან ჩრდილოამერიკულ ჯგუფს, რომელიც მონრეალში, ტორონტოსა და სენტ-პოლიში ითამაშებენ. ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი და გერმანია კი ევროპულ ჯგუფს შექმნიან და ჰელსინკში, სტოკჰოლმში, პრაღასა და კიოლნში ითამაშებენ. ერთ-ერთი ნახევარფინალი გაიმართება ამერიკულ სენტ-პოლში, ხოლო მეორე ნახევარფინალი და ფინალი - ტორონტოში.

■ ■ ■

ჰოკეი. მარიო ლემიეს ბარძაყის ტრავმა, რომელიც ჰოკეისტმა "ბოსტონთან" შეხვედრაში მიიღო, მას დიდხანს არ დატოვებს თამაშგარე მდგომარეობაში. "პიტსბურგის" კაპიტანი ორშაბათს უკვე გამოჩნდა გუნდის ვარჯიშზე, მაგრამ ვარჯიშში მონაწილეობა არ მოუღია. ვარაუდობენ, რომ ლემიე პარასკევს "ფლორიდას" წინააღმდეგ ან შაბათს - "ტამპა-ბეისთან" შეხვედრაში გამოჩნდება მოედანზე.

კალათბურთი

ჩიკაგოელი გულშემატკივარი ძველ დროს შესტრფის

სანდრო ნავერიანი



ჩიკაგოელებს ჯორდანი, პიპენი და როდმანი მოენატრათ, "იუტა" კი მელოუნს დაბრუნებას სთხოვს

გუშინ ჩატარდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის შვიდი მატჩი. ზაზა ფაჩულიას "ორლანდო მეჯიქმა" საკუთარ "ვოთერჰაუს ცენტრში" "ნიუ იორკ ნიქზს" უმასპინძლა. წინა შეხვედრების მსგავსად, ქართველ ლეგიონერს არც ამ თამაშში მიუღია მონაწილეობა. ორლანდოელმა ჯადოქრებმა ვერაფერი მოუხერხეს კეიტ ვანჰორნსა და კომპანიას და თამაში დათმეს - 68:75. ჯადოქართა შემადგენლობაში, როგორც ყოველთვის, ტრეისი მაკგრეიდი გამოირჩეოდა. ორლანდოელთა პირველმა ნომერმა გუნდს 19 ქულა მოუტანა, 14 ქულა შესძინა თავის გუნდს დრიუ გუდენმა. "ნიქზის" შემადგენლობაში კი ყველაზე შედეგიანი ჩარლი უორდი გამოდგა. მან გუნდს 15 ქულა შესძინა, დაცვაში ექვსჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და ხუთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კეიტ ვანჰორნმა გუნდს 14 ქულა მოუტანა.

მეორე ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" "როუზ გარდენში" "ფილადელფია სევენთი სიქსერზს" უმასპინძლა. სამოცდამეთექვსმეტელებმა დაამარცხეს პორტლენდური გუნდი - 94:83. სტეფანიამ ამ მატჩში სამი წუთი დაყო მოედანზე და საერთოდ არაფერი გაუკეთებია. ბლეიზერსის შემადგენლობაში საუკეთესონი იყვნენ რაშიდ უოლასი და ბონზი უელში. მათ თავიანთ გუნდს, შესაბამისად, 22 და 17 ქულა მოუტანეს. "ფილადელფიის" რიგებში ვერავინ შეედრებოდა ალან აივერსონს. მან თავის გუნდს 31 ქულა მოუტანა. კენი ტომასმა, გლენ რობინსონმა და მარკ ჯექსონმა თავის გუნდს, შესაბამისად, 16, 15 და 15 ქულა მოუტანეს.

საინტერესოდ წარიმართა მატჩი მემფისში. ადგილობრივმა გრიზლებმა შარშანდელ ჩემპიონს, "სან ანტონიო სფარზს" უმასპინძლეს. მატჩი "სფარზის" შეტევებით დაიწყო და პირველი მეოთხედი მათ სასარგებლოდ - 27:16 დასრულდა. მეორე პერიოდში მემფისურმა გუნდმა სულ სხვა თამაში აჩვენა და ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მერე პერიოდის შემდეგ ერთ ქულას იგებდნენ. გრიზლების გუნდში ჯეისონ უილიამსი შეუდარებელი იყო. მან გუნდს 13 ქულა მოუტანა და შვიდი შედეგიანი გადაცემა განახორციელა. კარგად გამოიყურებოდა სტომაილ სვიფტი, რომელმაც 14 ქულა მოაგროვა. რაც შეეხება "სან ანტონიოს", მის რიგებში ირიცხება ბოლო ორი წლის ყველაზე ძვირად ღირებული კალათბურთელი ტიმ დანკანი, მაგრამ ამ ძვირად ღირებულ ადამიანს ხსენებულ თამაშში ღირებული არაფერი გაუკეთებია. "სფარზის" რიგებში მშვენივრად გამოიყურებოდა არგენტინელი ლეგიონერი მანიუ ჟინობილი, მან თავის გუნდს 13 ქულა შესძინა და ხუთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა, მაგრამ ამან არ უშველა "სან ანტონიოს", თან, ამას დაემატა ისიც, რომ მათმა მთავარმა მწვრთნელმა ტექნიკური მიიღო და მწვრთნელის სკამიდან გულშემატკივრის სკამზე გადაინაცვლა. საბოლოო ანგარიში 88:80 დაფიქსირდა. მემფისელმა გრიზლებმა პირველი თამაში ჩაატარეს საკუთარ პირამიდაში და მოიგეს კიდეც. თანაც, მოუგეს გასული სეზონის ჩემპიონს.

"იუტა ჯაზი" უკვე შეიძლება წლის აღმოჩენად ჩაითვალოს. იუტელებმა მორიგი მატჩი მოიგეს. მათი მსხვერპლი ამჯერად საკმაოდ ძლიერი "მინესოტა თიმბერვულვზი" გახდა. ჯაზმენების შემადგელობაში კარგად გამოიყურებოდა რუსი ანდრეი კირილენკო, რომელმაც 17 ქულა მოაგროვა და ამ მაჩვენებლით მეორე იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში. პირველი კი მეტ ჰარპინგი გახლდათ. მან თავის გუნდს 32 ქულა მოუტანა. რაულ ლოპესმა და გრეგ ოსტერტაგმა, შესაბამისად, 15 და 12 ქულა მოუტანეს გუნდს. მოედანზე არ გამოსულა კარლოს აროიო, რომელიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. თიმბერვულვზის შემადგენლობაში თავი გამოიჩინეს სემ კასელმა და ლატრელ სფრიუელმა. მათ თავის გუნდს, შესაბამისად, 27 და 24 ქულა მოუტანეს. ეს ის ლატრელ სფრიუელია, რომელიც თავის დროზე "ნიუ იორკ ნიქზში" თამაშობდა. გუნდიდან წასვლის მიზეზი გახდა ის, რომ ნერვებმოშლილმა სფრიუელმა ვარჯიშის დროს თავისი გუნდის მთავარ მწვრთნელს ლოყაში დანა გაუყარა. ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი "თიმბერვულვზის" ლიდერმა კევინ გარნეტმა. მან მხოლოდ ათი ქულა მოაგროვა (არც ერთი შედეგიანი გადაცემა). ამ თამაშის შემდეგ სოლტ ლეიკ სიტის ქუჩებში და, კერძოდ, დელტა ცენტრის გარშემო ჯაზმენების ქომაგები თავიანთ სიხარულს გამოხატავდნენ და ტრანსპარანტებით "karl please come back" – კარლ, დაგვიბრუნდი! - კარლ მელოუნს მიმართავდნენ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ კარლ მელოუნი იუტაში დაბრუნდეს, მაგრამ "იუტა ჯაზის" ქომაგებს სანერვიულო არაფერი აქვთ, მათი გუნდი ძალიან კარგად გამოიყურება და მატჩებსაც იგებს.

გახსოვთ "ჩიკაგო ბულზი"? სკოტი პიპენი? დენის როდმანი მაინც არ გახსოვთ? ჯორდანი ხომ ნამდვილად გახსოვთ?! ეოდა, პოსტჯორდანული და პოსტპიპენური ხანა მხოლოდ წარუმატებლობამ შეცვალა. უკვე მეექვსე სეზონია, რაც ჩიკაგოში დიდ კალათბურთს არ უზეიმია. მართლა კარგი იყო იმ "ჩიკაგო ბულზის" ცქერა. გუშინ, გამთენიისას, ჩიკაგოელთა სტადიონზე, "იუნაითედ ცენტრში", "ბულზმა" "ჰიუსტონ როქეთსს" უმასპინძლა. ერთ დროს ჰიუსტონშიც იდგა ისეთი ხანა, რომელსაც დღეს ამ გუნდის ქომაგები შესტრფიან. კლაიდ დრექსლერი და ჰაკიმ ოლაჯუვონი. გახსოვთ ასეთი სახელები? დღეს ამ გუნდში ლიდერად ჩინელი გიგანტი იაო მინგი გვევლინება, მაგრამ ზემოთ ნახსენებ სახელებს ვერ დაჩრდილავს. მატჩი ჰიუსტონელმა კალათბურთელებმა 30 ქულით მოიგეს. ჩიკაგოელთა ერთადერთი იმედი ჯამალ კროუფორდია, მაგრამ მარტო ჯამალი ვერაფერს გახდება, თუ გუნდში ისეთი კალათბურთელი არ იქნა, რომელსაც მისი დახმარება შეეძლება. გუნდში კი არის ისეთი კალათბურთელი, რომელმაც იცის, რა სჭირდება მის გუნდს, მაგრამ ამის ძალა არ შესწევს. დაბერდა და იმიტომ. ალბათ, მიხვდით, რომ საუბარია სკოტი პიპენზე. მან ნამდვილად იცის კალათბურთის თამაში, თუმცა, აღარ შეუძლია. იმ მატჩში პიპენი განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოსულა. მას უყვარს თავისი გუნდი და იმიტომაც დარჩა ამ გუნდში, თორემ იმ დონეზე ნამდვილად შეუძლია თამაში, რომ რომელიმე სუსტ გუნდს გამოადგეს. მატჩის საუკეთესო მოთამაშებად ჩიკაგოელი ჯამალ კროუფორდი და ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი დაასახელეს. ამ კალათბურთელებმა თავ-თავის გუნდს 19-19 ქულა მოუტანეს.

შარშანდელმა ფინალისტმა, "დალას მავერიქზმა", თავის "ემერიქან ეირლაინზ ცენტრში" "მაიამი ჰიტი" მიიღო. მატჩი დალასელი მოხეტიალეების გამარჯვებით დასრულდა. მათ შემადგენლობაში საუკეთესო გახდა გერმანელი ლეგიონერი დირკ ნოვიცკი. მან 30 ქულა მოაგროვა და ამით დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში. კარგად ითამაშეს ბოსტონიდან გადმოსულმა ანტუან უოლკერმა და ტონი დელკმა. მათ, შესაბამისად, 13 და 17 ქულა მოაგროვეს. ასევე კარგად გამოიყურებოდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სტივ ნეში, მან 18 ქულა მოტანა თავის გუნდს და გააკეთა 11 შედეგიანი გადაცემა. ის, რომ დალასურ გუნდს წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ, სრულიად გამართლებული აზრია. "მაიამის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო ადონის ჰესლემი. მან თავის აქტივში 20 ქულა მიითვალა. ასევე კარგად ითამაშეს ჯონ უოლასმა და ლამარ ოდომმა. მათ თავის გუნდს, შესაბამისად, 19 და 17 ქულა მოუტანეს. ბრაიან გრანტმა კი დაცვაში 12-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. საბოლოო შედეგი 103:93 დაფიქსირდა.

კიდევ ერთ თამაშში, რომელიც ატლანტაში, "ფილიფს არენაზე" ჩატარდა, ადგილობრივმა ატლანტელმა ქორებმა ნიუორლეანელ "ჰორნეთსს" უმასპინძლა და ანგარიშით 90:80 გაიმარჯვა. მასპინძელთა რიგებში საუკეთესო გახდა დიონ გლოვერი. მან 20 ქულით გაამდიდრა თავისი აქტივი. ასევე სტივენ ჯექსონმა და შარიფ აბდურ რაჰიმმა, შესაბამისად, 19 და 18 ქულა მოაგროვეს და ამით წერტილი დაუსვეს მატჩის შედეგს. ნიუორლეანელთა რიგებში რობერტ ტეილორმა გამოიჩინა თავი. 20 აღებული ქულით ის საუკეთესო გახდა თავის გუნდში. 19 ქულა გაკეთა დეივიდ უესლიმ. დაცვაში კი თავი გამოიჩინა პიჯუი ბრაუნმა. მან 12-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ორლანდო - ნიუიორკი	68:75
მემფისი - სან ანტონიო	88:80
დალასი - მაიამი	103:93
პორტლენდი - ფილადელფია	83:94
ატლანტა - ნიუ ორლეანი	90:80
ჩიკაგო - ჰიუსტონი	66:98
იუტა - მინესოტა	93:88

კრივი

მონაჩმახი თუ უკან წაღებული სიტყვა

ლუისი წავა არ წავა, ვიტალისთვის საკითხავი აი, ესაა

გიგა გურასაშვილი

თანამედროვეობის უდიდესი მოკრივის, აბსოლუტური ჩემპიონის, საკრივო სამყაროს ყველაზე პატივდებული კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ტიტულმპყრობელის, ბრიტანელი ლენოქს ლუისის რინგიდან წასვლა-არწასვლა დღეს, ალბათ, ყველაზე აქტუალური თემაა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ განცხადებასა თუ ინფორმაციაში თუნდაც გაკვრით ნახსენები მისი სახელი ცხოველ ინტერესს იწვევს. მით უმეტეს, თუ ეს განცხადებები ლუისის მომავალს უკავშირდება. რამდენიმე დღის წინ ლუისთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვაზე პასუხი გასცა უკრაინელმა ვიტალი კლიჩკომ. იგი დღეს, ალბათ, ერთადერთია, რომელსაც შეუძლია ბრიტანელის ტახტიდან ჩამოგდება თუ არა, მისი ღირსეულად შეცვლა მაინც (თუ, რა თქმა უნდა, ლუისი ბოლოს და ბოლოს, ხელთათმანებს გაიძრობს). ვიტალის ახლანდელი ინტერვიუ კი ეხმაურება ცოტა ხნით ადრე "Daily Express"-ში გამოქვეყნებულ, ბრიტანელის სახელოვანი მწვრთნელის, ემანუელ სტიუარტის ინტერვიუს, რომელშიც ეს უკანასკნელი გადაკვრით მიანიშნებს იმაზე, რომ დიდ ჩემპიონს კარიერის დასრულებაზე დაუწყია ფიქრი. მართალია, მოგვიანებით სტიუარტს საკუთარი სიტყვების უკან წაღება მოუხდა, მაგრამ... ამაზე ქვემოთ. ახლა კი გავეცნოთ ვიტალისთან ინტერვიუს.

ლენოქს ლუისი თავის მწვრთნელთან ერთად

- ვიტალი, ემანუელ სტიუარტის განცხადებაზე როგორ კომენტარს გააკეთებდი?

- თუ ლენოქსმა პენსიაზე წასვლა გადაწყვიტა, მაშინ შემიძლია ჩავთვალო, რომ სწორედ ჩემთან ორთაბრძოლამ (ლენოქსმა და ვიტალიმ WBC-ის საჩემპიონო ქამრისთვის ლოს ანჯელესში 21 ივნისს იჩხუბეს. უკრაინელი მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა.-რედ.) უბიძგა ამისკენ. ფაქტია, ყველა სულმოუთქმელად ელის კლიჩკო-ლუისის მეორე ორთაბრძოლას. ვფიქრობ, მცოდნენიც და კრივის უბრალო მოყვარულნიც დამეთანხმებიან, რომ განმეორებითი ორთაბრძოლა მსოფლიოში უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. თუ ლუისს ჩემთან ჩხუბი არ სურს, მიზეზების დასადგენად დიდი ტვინის ჭყლეტა არაა საჭირო. თუმცა, ვინც რა უნდა თქვას, თუ იგი თავად არ გადაწყვეტს, კრივიდან წავიდეს თუ დარჩეს, ლაპარაკი ლაპარაკად დარჩება.

- როგორ ფიქრობ, ლუისი მართლა აპირებს წასვლას?

- არა მგონია, ასეთი რამ გააკეთოს. ლენოქსმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ჩემთან მოგების შემდეგ წერტილი დასვა. თუმცა, მის აზრს არ ვიზიარებ. ჩემთვისაც, კრივის მოყვარულთა უდიდესი ნაწილისთვისაც და სპეციალისტთათვისაც ჩვენი შერკინება დიდი კითხვის ნიშნით დასრულდა, ანუ აუცილებელია განმეორებითი ორთაბრძოლა, რომლისგანაც საბოლოო პასუხს მივიღებთ. ამიტომაც ვთვლი, რომ ვიდრე კრივიდან წასვლის საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეს, ერთხელაც იჩხუბებს.

- ლენოქსი ცნობილია სიფრთხილით. როგორ ფიქრობ, ელის თუ არა შენსა და კირკ ჯონსონთან ორთაბრძოლის (ვიტალი და კანადელი კირკ ჯონსონი 6 დეკემბერს, ნიუ იორკში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.-რედ.) **შედეგს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, შემდგომშიც გამართოს ორთაბრძოლები თუ არა?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყურადღებით მიადევნებს თვალს იმას, თუ როგორ ვეჩხუბები ჯონსონს. გამარჯვებული მისი საჩემპიონო ქამრის ოფიციალური პრეტენდენტი გახდება. ამიტომაც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად შეაფასებს და ანალიზს გაუკეთებს არა მარტო ჩხუბის შედეგს, არამედ თავად ორთაბრძოლასაც.

- საკრივო მომავალთან დაკავშირებით თავად ლუისისგან როდისაა მოსალოდნელი განცხადება?

- ეს მხოლოდ ლუისზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ემანუელ სტიუარტის განცხადებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან საკუთარი სიტყვები გადათქვა და საკმაოდ გაბრაზებულმა განაცხადა კიდეც, ასეთი რამ თავში როგორ მოგივიდათ, ამას როგორ ვიტყოდი და, საერთოდ, რას მიედ-მოედებით. ვიცი, რაც დაწერეს, მაგრამ ეს ყველაფერი საშინელი ტყუილია. ყოველ შემთხვევაში, ბოლოს, როდესაც ვილპარაკეთ, ამაზე სიტყვა არ დასცდენია. მთელი ეს მონაჩმახი, უბრალოდ, ნეხვიაო.

ფორმულა 1

ოჯახის კაცივ და მრბოლივ

შუმახერი მეშვიდე ტიტულს გეგმავს

"ფერარის" გერმანელი პილოტი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი აღიარებს, რომ 2003 წლის სეზონი მისთვის ერთობ რთული გამოდგა. ამიტომაცაა, რომ მეექვსეჯერ უმაღლესი ტიტულის დაუფლება მიხაელისთვის ორმაგად ფასობს.

ფაქტია, სამეფო რბოლების ბოლო ეტაპამდე, ანუ იაპონიის გრანპრიმდე (12 აპრილი) უცნობი იყო, შუმი გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი თუ მისი უახლოესი მდევარი, "მაკლარენის" ფინელი პილოტი კიმი რაკონენი. სუძუკას ტრასაზე გავითარებული მოვლენები უკვე ისტორიის საკუთრებაა, ისტორიისა, სადაც შუმახერს ერთადერთი ჩასათვლელი ქულაც ეყო იმისთვის, რომ მორიგი გამარჯვება ეზეიმა.

"მომწონს კიდეც, რომ სეზონი ასეთი მომთხოვნი და მომქანცველი იყო. სანახაობრივადაც კარგი ჩემპიონატი გვქონდა, რადგან საკმაოდ ოფლის ღვრამ მომიწია.

არ გეგონოთ, თითქოს 2002 წლის სეზონით უკმაყოფილო ვიყო. მაშინაც ხომ ბოლო წლებში გაწეული დიდი შრომის ნაყოფი მოვიმკეთ. ჩვენი ბატონობა რაღაცით განსაკუთრებულიც კი იყო, - აღიარებს მიხაელ შუმახერი. – ამჯერად ჩვენი ძალა არაფრით იყო სხვებზე აღმატებული, თუმცა, საბოლოოდ მოგება ჩვენ დაგვრჩა. არადა, ბევრმა სათვალავიდან ჩამოგვწერა კიდეც, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, გუნდის სულისკვეთებაზე ამას გავლენა არ მოუხდენია.

მართლაც, გიჟური, ქაოსური, მძიმე სეზონი გვქონდა, თუმცა მაინც მშვენიერი იყო. სუძუკაზე საკუთარ გამარჯვებაზე მეტად იმ ბიჭების მაგივრად მიხაროდა, რომლებიც გუნდში მუშაობენ. კონსტრუქტორთა თასის ზედიზედ მეხუთედ დაუფლება – განუმეორებელი ფანტასტიკური შედეგია. ძალიან მინდოდა, "ფერარი" მეხუთედ გამხდარიყო ჩემპიონი".

ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მიხაელ შუმახერმა მეხუთედ აღმართა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ლეგენდარული არგენტინელი მრბოლის ხუან მანუელ ფანხიოს რეკორდი დაამხო, დღის წესრიგში დადგა მომავალ ჩემპიონატზე ამჯერად უკვე საკუთარი რეკორდის გამჯობესება: "ვეცდები, მეშვიდე ჩემპიონატიც მოვიგო. არ გეგონოთ, რომ ამის მოტივაცია დავკარგე. დიდებისთვის არასდროს დავქროდი. მარტო ამაზე რომ მეფიქრა, მაშინ ვერასდროს მივაღწევდი წარმატებას".

2003 წლის სეზონის მოგების შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს გერმანელ პილოტს სამეფო რბოლებიდან წასვლა ჰქონდა განზრახული, მაგრამ შუმახერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი, ჯერჯერობით არსად წასვლას არ აპირებს: "ძალზე მიყვარს სპორტის ეს სახეობა. შესაძლოა, 2006 წელი ჩემი კარიერის დასასრული არც იყოს... სიმართლე გითხრათ, თავს ისე ვგრძნობ, როგორც 25 წლის ბიჭი. არადა, ზამთარში 35 წლის გავხდები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასაკთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა მქონდეს".

რბოლისადმი უსაზღვრო სიყვარულის მიუხედავად, მიხაელისთვის მთავარი მაინც ოჯახია: "კორინა და ჩვენი შვილები ყველაზე ძვირფასია, რაც კი მაბადია. მათთან უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ჩემი ოჯახის გარეშე არაფერი ვიქნებოდი. რაც შეეხება მომავალს, საკუთარ თავს კვლავაც ოჯახის კაცად, მამად და მრბოლად ვხედავ".

მეფობა საფრანგეთში

რეიმსის საკათედრო ტაძარი. დასავლეთის ფასადი

IX საუკუნეში კარლოს დიდის პოლიტიკურმა წარმატებებმა, იმპერატორად მისმა კურთხევამ ფრთები შეასხა ფრანკებს და ეროვნული თვითშეგნების ჩანასახი გაუღვივა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი თვითშეგნების მატარებელი იმხანად მხოლოდ ეკლესია შეიძლებოდა ყოფილიყო. ასე შეიქმნა ქალაქ რეიმსის მთავარეპისკოპოსის, წმ. რემიგიუსის ცხოვრება, რომელშიც მისი ავტორი, ასევე რეიმსის მთავარეპისკოპოსი, ხინკმარი მოგვითხრობს ორ ლეგენდას. ერთის მიხედვით, ფრანკები მითიური ტროელების შთამომავლები არიან. მეორე კი უფრო კონკრეტულ ამბავს გვამცნობს: წმ. რემიგიუსმა მონათლა ფრანკების მეფე ხლოდვიგი (მსგავსად იმისა, როგორც წმ. სილვესტრმა მონათლა კონსტანტინე დიდი) — ამ დროს მრევლმა იხილა, როგორ ჩამოფრინდა ციდან თეთრი მტრედი, რომელსაც ნისკარტში სურნელოვანი ზეთით სავსე ჭურჭელი მოჰქონდა. ეს ჭურჭელი რეიმსის ტაძარში დაასვენეს და მასში ზეთი მუდმივად ახლდებოდა. სწორედ ამ ზეთს სცხებდნენ საფრანგეთის მეფეებს კურთხევისას.

სამეფო ძალაუფლება ბარბაროსთა დაწესებულია. ლათინური სიტყვას rex (მეფე) რომაელები დაპყრობილი ან დაქვემდებარებული ხალხების ბელადებს უწოდებდნენ. ამ ბელადებს ანდობდნენ ისინი თავიანთი ტომების ნაწილობრივ მართვასა და იქ სამართლის აღსრულებას. განსაკუთრებული წყალობის ნიშნად რომის იმპერატორები მათ იმპერიულ თანამდებობებსა და წოდებებს ანიჭებდნენ. სწორედ ასე ატარებდნენ, მაგალითად, ქართველი მეფეები კურაპალატის ტიტულს. სიტყვა rex ბიბლიაშიცაა გამოყენებული საულის, დავითის, სოლომონისა და სხვათა მიმართ. სწორედ ეს ბიბლიური მეფეები იქცნენ ფრანკთა მეფეების იდეალურ ნიმუშებად. მოდელის ხარისხი მათ სამღვდელოებამ მიანიჭა და ამგვარად მეფეთა კონტროლის მშვენიერი საშუალებაც გაინაღდა. ეპისკოპოსები ფხიზლად უთვალთვალებდნენ გვირგვინოსნებს, რათა ისინი თავიანთ სასიყვარულო მიდრეკილებებში დავითსა და სოლომონს არ დამსგავსებოდნენ: ავხორცობა და ვნებიანობა — აი, მეფეთა უმთავრესი ცოდვა. მეფე ქალების მიმართ არ რჩებოდა გულგრილი, ეპისკოპოსი და მოძღვარი კი ამას თავის და ეკლესიის სასარგებლოდ იყენებდა. ტყუილად კი არაა, რომ საფრანგეთის მეფე რობერტი, ღვთისმოსავად წოდებული სასიყვარულო ლირიკის ერთ-ერთი პირველი ავტორია.

გვირგვინოსანი პირი ეპისკოპოსებითაა გარემოცული. 986 წელს ეკლესიამ ფრანკთა ერთ-ერთი უძველესი მეფის, ლოტარის ნეშტის საჯარო გადატანა მოაწყო მავზოლეუმში. მეფის სარკოფაგს ეპისკოპოსების პროცესია მიასვენებდა, ხოლო ცენტრში სამეფო ძალაუფლების სიმბოლოები იყო დაბრძანებული — გვირგვინი და სკიპტრა.

მეფის კურთხევის წესი კი ძალიან ემსგავსებოდა ეპისკოპოსის კურთხევის წესს. ასე გამოიყურებოდა IX საუკუნეში ეს ცერემონია:

მთავარეპისკოპოსის ნიშანზე ტახტზე ასვლის კანდიდატი სამღვდელოებისა და საეროთა წინაშე საზეიმო სიტყვას წარმოთქვამდა. ეს ფიცი კი არა, აღთქმა იყო, მსგავსი იმისა, რომელსაც ბერად აღკვეცისას წარმოთქვამენ. მომავალი მეფე ჯერ ეპისკოპოსებს მიმართავს: "გპირდებით, რომ შევუნარჩუნებ თქვენს ეკლესიებს კანონიერ პრივილეგიას, იმ სჯულსა და სამართალს, რომელიც თქვენ შეგფერით. იმდენად, რამდენად ეს ჩემს ძალებშია, და ღვთის შეწევნითაც, როგორც ეს მეფეს შეჰფერის თავის სამეფოში, მე უზრუნველვყოფ ყოველი ეპისკოპოსის, ყოველი ეკლესიის მფარველობას". ამის შემდეგ საგვირგვინოდ განმზადებული ერს მიუბრუნდება: "ქრისტეს სახელით ჩემს მორჩილებაში მყოფ ქრისტიან ერს ვპირდები, რომ არასოდეს გადავუხვევ შემდეგ სამ წესს: ყოველი ქრისტიანი უკუნითი უკუნისამდე ჭეშმარიტი მშვიდობით შეინარჩუნებს უფლისა და ჩემი მსაჯულის ეკლესიას; მე წინ აღვუდგები ყოველგვარ სიხარბესა და უზნეობას; სამართლიანი და მოწყალე ვიქნები ჩემს ყოველ განაჩენში".

ამის შემდეგ რეიმსის მთავარეპისკოპოსი, რომელიც უფალს განასახიერებს, "ირჩევს" მეფეს წინასწარმეტყველ სამუელის მსგავსად. ერი ახალარჩეულს ესალმება. ამის შემდეგ მირონის ცხება სრულდება. სენრემის მონასტრიდან მოწიწებით მოაბრძანებენ ზეთით სავსე ჭურჭელს. სასწაულებრივ ზეთსა და მირონს ერთმანეთში ურევენ და სხეულზე სცხებენ მომავალ მეფეს. სამეფო კურთხევის წესი, ახალი ორდონანსი, რომელიც 1270 წელს გამოქვეყნდა, ამბობს: "ამა სოფლის მეფეთა შორის მხოლოდ საფრანგეთის მეფეს ეკუთვნის ზეციდან ერთხელ წარმოგზავნილი მირონით ცხების დიდებული პრივილეგია". ამ ცერემონიის დროს ფსალმუნი იგალობებოდა. შემდეგ ახალნაკურთხ მეფეს მისი რეგალიები — გვირგვინი და სკიპტრა ეძლეოდა.

საფრანგეთის მეფე ლუი VII 1143 წელს წერდა: "მხოლოდ მეფეებსა და ეპისკოპოსებს განწმენდს მეორე მირონცხება. ეს მათ ერთობლივად აყენებს კაცთა მოდგმის სათავეში მის სამწყემსად". ეს არა მარტო უბრალო ანალოგიაა, ეს ნამდვილი კოლეგიალობაა, რომლის საპირისპიროდ, კლუნის ბერები მიიჩნევდნენ, რომ მირონცხება ანიჭებს მეფეებს გონებას, მაგრამ ამის გარდა ავსებს სიბრძნითაც. იმდროინდელ საეკლესიო დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით თვალსაზრისს, რომ ერისკაცთა შორის მხოლოდ მეფეებს შეუძლიათ ზეციური იერუსალიმის სულიერი ჭვრეტა. ზეციური იერუსალიმი უნდა იყოს იმ წესრიგის ნიმუში, რომლის დადგენას ცდილობს მეფე მას დაქვემდებარებულ სივრცეში. ეპისკოპოს ადალბერონის მოწმობით, მეფეს მონიჭებული აქვს ორანტის, ანუ მლოცველის ტიტული, რაც მას უბრალო მხედართა, ერისკაცთა მაღლა აყენებს. აქედან მომდინარეობს მეფის სასწაულქმედება: შუასაუკუნეობრივი ქრონიკის მოწმობით მეფე რობერტ ღვთისმოსავი ნაკურთხი წყლის სხურებით მხედველობას ანიჭებდა დაბადებიდან უსინათლოებს.

მაგრამ ეპისკოპოსთა კოლეგიუმში შეყვანილი ფრანკთა მეფე ეპისკოპოსთა ზედამხედველობის ქვეშაა დაყენებული. ადალბერონი ამასაც ახსენებს მეფეს. მხოლოდ ეკლესია განასახიერებს სახელმწიფოსა და მთელი კოსმოსის წესრიგს, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს. მეფე ამ მორჩილებიდან თავისუფალი არაა. ერთ თავის ჰიპოსტასში მეფე იერარქთა სწორია, მეორეში კი — მათზე დამოკიდებული.

ორლეანელი ქალწული

ჟანა დ'არკის ძეგლი ორლეანში

ძალიან ძნელია ორი სიტყვით იმ პოლიტიკური და სოციალური სიტუაციის აღწერა, რომლის დროსაც საფრანგეთს მხსნელად მოევლინა **ჟანა დ'არკი**. თუმცა სიტყვა "მხსნელი" განმარტებას მოითხოვს: უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მწყემსი ქალის აღზევებით მოხდა საკრალურის შეჭრა პოლიტიკურის სფეროში. იმ დროისთვის, როცა ზებუნებრივის რწმენა საყოველთაოდ იყო გავრცელებული, ეს არცთუ საკვირველია.

მაშ ასე, XV საუკუნის პირველ მესამედში საფრანგეთის სახელმწიფოს არსებობის წესი, ერთი მხრივ, ინგლისთან გამუდმებული ომიანობა იყო (შემდგომ ის ასწლიანი ომის სახელით შევა ისტორიაში), მეორე მხრივ კი — ფეოდალ სენიორთა შორის სისხლიანი მეტოქეობა. ვერ ვიტყვით, რომ ომი ცალსახად ნიშნავდა უბედურებას: მოსახლეობის ყველაზე გამორჩეული ნაწილი მას არა მარტო მშვენივრად ეგუებოდა, არამედ ცხოვრების მნიშვნელოვან სახსარსაც ხედავდა მასში. მაგრამ ომი სახიფათო თამაშია, ამიტომაც სულ მალე ბრძოლის ველად ქცეულ სამეფოში დაძაბულობამ კრიზისულ ზღვარს გადააბიჯა.

მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ გამძაფრდა, როცა ერთმანეთს ორი ბიძაშვილი დაუპირისპირდა: მაშინდელი მეფის, **შარლ VI**-ის ძმა, ორლეანის ჰერცოგი, **ლუი** და ბურგუნდიის ჰერცოგი, **ჟან უშიშარი**. ორივეს საკუთარი პარტია, ან უფრო ზუსტად, კლანი ჰყავდა და ორივეს სჭირდებოდა სახელმწიფო ხაზინასთან დაუბრკოლებელი მისასვლელი. შუღლმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ლამის ფეოდალიზმის უზენაესი ღირებულების, სისხლის ნათესაობის საყოველთაო დისკრედიტაცია გამოიწვია. ბრძოლაში მთავარი სამიზნე **პარიზი** იყო. და რადგან სიბრაზით დაბრმავებული ორივე მეტოქე მხარდაჭერას საზღვარგარეთ ეძებდა, მათი მტრობით გახსნილ კარებში თავისუფლად შემოიჭრა ინგლისის მეფე, **ჰენრი V**.

1415 წელს ინგლისელებმა ფრანგები **აზენკურთან** დაამარცხეს და უწყალოდ გაჟლიტეს ფრანგი არისტოკრატია. 1419 წელს ლუი ორლეანელის შურისმაძიებლებმა მოკლეს ჟან უშიშარი. საფრანგეთის სამეფოს ბედი ბეწვზე დაეკიდა.

ხელისუფლების დაძაბუნების პირობებში ხშირად ჩნდებიან ხოლმე სხვადასხვანაირი "ნათელმხილველები", "სალოსები", "უზენაესი შთაგონებით შეპყრობილი" ადამიანები. ერთ-ერთი მათგანი იყო გლეხის გოგო, ჟანა. იგი საფრანგეთის ისეთ კანტონში დაიბადა, სადაც ნაციონალური გრძნობა განსაკუთრებით ძლიერი იყო: მისი მშობლიური სოფელი, **დომრემი** ზედ ფეოდალურ საზღვართან მდებარეობდა.

"მწყემს გოგოს" არასოდეს უცხოვრია სილტაკეში: მამამისი შეძლებული გლეხი იყო. რელიგიური გრძნობა ჟანას დედამ და სამრევლო წინამძღვარმა გაუღვივეს. თავისი როლი სოფლად მოწყალების მთხოვნელმა ბერებმაც შეასრულეს. თავიდანვე ჟანას სარწმუნოება ქრისტიანობისა და სოფლურ-წარმართული ცრურწმენების ნაზავს წარმოადგენდა, მაგრამ თავისი ინტენსივობით მნიშვნელოვნად სჭარბობდა ჩვეულებრივ ზომას. მეტად ძლიერ სულიერ კავშირს გრძნობდა იგი მთავარანგელოზ მიქაელთან და წმ. მარგარიტასთან, რომელიც, ლეგენდის თანახმად, მამაკაცის სამოსში გადაცმული გაიქცა სახლიდან. ეს უკანასკნელი მიდრეკილება იმასთანაც იყო დაკავშირებული, რომ სქესობრივი მომწიფება ჟანას სიცოცხლის ბოლომდე არ დასრულებია. მაგრამ მომწიფებასთან დაკავშირებული სიძნელეები ჟანას 13 წლის ასაკში დაეწყო და სწორედ ამ დროიდან ესმოდა იდუმალი ხმები. ეს ხდებოდა შუადღისას, როცა ველად გასული გოგონა ცხვრებს მწყემსავდა. ხმები მარჯვენა მხრიდან ესმოდა და მათი შთაგონებით ჟანამ ქალწულობის აღთქმა დადო. მშობლების რისხვისაც არ შეეშინდა და დანიშნულ საქმროს უარი უთხრა.

ჟანას ირგვლივ იქმნებოდა ლეგენდა, რომ საშინელ დღეში ჩავარდნილ სამეფოს მალე **ლოტარინგიის** საზღვრებიდან წამოსული ქალწული იხსნის. და აი, ჟანას ყურს მისი "სამოთხის ძმათა" ხმა მისწვდა. გოგონამ განაცხადა, რომ თვითონაა ღვთის რჩეული ქალწული. ამან ყველა გააკვირვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დაუჯერეს. ადგილობრივი ციხედარბაზის კომენდანტისგან შთაგონებული ქალწული ცხენს და ორ თანმხლებ რაინდს იღებს. მამაკაცურად გამოწყობილი მიემგზავრება მდინარე ლუარას ნაპირებისკენ, სადაც ბოროტებასთან დაპირისპირება უნდა მოხდეს. იქაა დაბანაკებული საფრანგეთის ტახტის მემკვიდრე, დოფინი **შარლი**.

1429 წლის 6 მარტს, **შინონში**, დოფინმა მოუსმინა იარაღასხმულ და მოკლედ თმაშეჭრილ ქალიშვილს. ამორძალმა განუცხადა შარლს, რომ **რეიმსში** წაიყვანს, იქ, სადაც საფრანგეთის მეფეთა კურთხევა ხდებოდა ხოლმე და მირონს აცხებს. ამ ნორჩი მწყემსის პირით ცხადდებოდა, რომ მეფობა საღვთო საქმეა და რომ ადამიანების საქმე არაა, გვირგვინის კანდიდატის არჩევა. გამოდიოდა, რომ აქტუალურ მეფეს, შარლ VI-ც კი უფლება არ ჰქონდა, უფროსი ვაჟი მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინა, რადგან სამეფო სისხლის ღირსება ღვთივკურთხეულია, ხოლო მემკვიდრეობითობა — ბუნებრივი კანონი. მწყემსი ქალის პირით მთელი ფრანგი ხალხი ღაღადებდა, რომ საფრანგეთი ინგლისელების სათარეშო არაა, ისინი **ლა-მანშის** გადაღმა უნდა დაეტიონ, სადაც ღმერთმა დაასახლა.

ასეთი "ნათელმხილველები" მანამდეც ჩნდებოდნენ, მაგრამ სულ მალე ირკვეოდა, რომ ისინი ან ფსიქიკურად დაავადებულნი იყვნენ, ან ანგარებით აღძრულნი. ჟანას შემოწმება უნდა გაევლო. ამისათვის იგი პუატიეში წარგზავნეს, სადაც პარიზელი თეოლოგების ნაწილი იყო გახიზნული. მკაცრი გამოცდის შემდეგ (თეოლოგები იკვლევდნენ მის შეხედულებებს, ცხოვრების წესსა და ფაქტებს, დაადასტურეს მისი ქალწულობა) ჟანას კიდევ ექვსკვირიანი ვადა დაუნიშნეს, რომლის განმავლობაში იგი დოფინს არ უნდა მოსცილებოდა, რათა ყველას დაენახა. ჟანა ითხოვდა შეიარაღებული რაზმის სარდლობას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი გამარჯვებას მოუტანდა. ამას ზეგარდმო ნიშის ან სასწაულის გარეშე არავინ ანდობდა. "გამგზავნეთ ორლეანში და იხილავთ ნიშანს, რომ მე ღვთის რჩეული ვარ", — განაცხადა ჟანამ.

იმ გაზაფხულს ორლეანი ინგლისელების ალყაში იყო. თუ ამ სტრატეგიულ პუნქტს დათმობდნენ, საფრანგეთის ბედი მართლაც საეჭვო გახდებოდა. ქალაქის გარნიზონი უკვე სულს ღაფავდა და ფრანგებსაც სხვა გზა არ დარჩათ: ჟანას მოთხოვნილი უფლებები მიანიჭეს. 22 მარტს მან ინგლისის მეფეს უსტარი გაუგზავნა, რომელშიც ღვთის სახელით ითხოვდა ყველა აღებული ქალაქის კლიტის დაბრუნებასა და ორლეანის ალყის მოხსნას. ერთი მუჭა მხედრებით ჟანამ ქალაქის ციხე-სიმაგრეში შეაღწია და ინგლისელებმა უკან დაიხიეს. 1429 წლის 9 მაისს მოხდა სასწაული — ორლეანი გათავისუფლდა. ეს ამბავი მალე გავრცელდა საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთაც. ჟანასკენ ბრბოები დაიძრა, ყველას უნდოდა მისი ხილვა და მისი შეხება. ამბობდნენ, რომ ორლეანელ ქალწულს მკვდრადშობილი ბავშვების გაცოცხლება შეუძლია. მისი სარდლობის ქვეშ ფრანგი კაპიტნები თავგანწირვით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ. მაშინვე მოხდა კიდევ ერთი სასწაული: როცა ჟანას ბრძოლაში მიღებული ჭრილობები შეუხვიეს, მისი შიშველი სხეულის ხილვას არავისთვის აღუძრავს ხორციელი ვნებები.

ქალწულმა შეუძლებელს მიაღწია: 17 ივლისს რეიმსის საკათედრო ტაძარში დოფინი მეფედ აკურთხეს და იგი შარლ VII-ის სახელით ავიდა საფრანგეთის ტახტზე.

ყველას გაკვირვებას იწვევდა, რომ აქამდე უძლეველი ინგლისელები ისე გარბოდნენ ქალწულის ხილვისას, თითქოს სატანა გამოეცხადათ. სწორედ მათგან წამოვიდა პირველად ეს თვალსაზრისი და მალე გაუჯდა ყველას, ვისაც საზოგადოებრივი ცვლილებები აშინებდა: ნუთუ მართლა ღვთის ნება გამომჟღავნდა? იქნებ ეშმაკის საქმე იყო? მაგრამ ჟანა ჯერ კიდევ მოქმედებდა, მისია ჯერ არ დაესრულებინა და თეოლოგიურ კითხვებზე პასუხის გაცემაც გადადეს. ამასობაში ჟანა ინგლისელების სრულ განდევნას იქადნიდა და პარიზის აღებას ჰპირდებოდა ფრანგებს. მაგრამ პარიზი ორლეანი არ იყო: აქ უმრავლესობას ინგლისელთა მხარდამჭერი ბურგუნდიელების პარტია წარმოადგენდა. მათგან ზოგს თანამდებობის დაკარგვა ეშინოდა, ზოგსაც — სიცოცხლისა.

პარიზის აღება ვერ მოხერხდა. **შარიტე-სიურ-ლუართან** ბრძოლაშიც დამარცხდა ჟანა. და ბოლოს **კომპიენის** ბრძოლა, სადაც 1430 წლის 24 მაისს ორლეანელი ქალწული ტყვედ ჩავარდა. დამარცხებულ არ სწყალობენ და პარიზელმა თეოლოგებმა უკვე მკაცრად ამხილეს ეს დედაკაცი, რომელიც ასე ურცხვად დადიოდა მამაკაცის ტანსაცმელში, იყო სასტიკი და დიდი ჯოხით სცემდა ურჩებს. პარიზის უნივერსიტეტმა ერეტიკოსი ქალის გადმოცემა და გასამართლება მოითხოვა. მაგრამ ინგლისელებმა ჟანა გამოისყიდეს, **რუანის** ციხე-სიმაგრეში ჩაჰკეტეს და მისი ეშმაკეულობის დამტკიცება თვითონ მოისურვეს.

1431 წლის 3 იანვარს ჰენრი VI-მ **ბოვეს** ეპისკოპოსს დაავალა ჟანას წინააღმდეგ პროცესის დაწყება. პოლიტიკურ საქმეს თეოლოგიური ელფერი მიანიჭეს და ინკვიზიციურ სასამართლოს გადასცეს. უნდა ითქვას, რომ არც მისი თავმჯდომარე, ეპისკოპოსი **კოშონი** (თუმც ეს გვარი ფრანგულად "ღორს" ნიშნავს), არც სასამართლო სხვა წევრები პირად გამორჩენას არ ეძებდნენ. მათ ალალად ეშინოდათ სატანისა. ამ დროისთვის ქრისტიანობა ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტ ხალხურ რელიგიად იქცა და სწორედ ხალხურმა შეხედულებებმა გამოიწვიეს ღვთისმეტყველების დონის საგრძნობი დაცემა.

მოსამართლეებს ფიზიკური წამება არ გამოუყენებიათ, რადგან ეშინოდათ ჟანასი. თუ იგი ეშმაკეული იყო, ხიფათი დემონების თავდასხმაში მდგომარეობდა, ჟანას უდანაშაულობის შემთხვევაში (ბევრი მოსამართლე ამაში დარწმუნებული იყო) არსებობდა უსამართლო განაჩენის ცოდვა და ღვთის სასჯელის შიში. მაგრამ ერთი უეჭველი დანაშაული მაინც აღმოაჩინეს: საეკლესია განხეთქილება, სქიზმა. აქ კი ამბოხი იგულისხმებოდა. ორლეანელი ქალწული გადაჭრით უარყოფდა, დამორჩილებოდა ხილულ ეკლესიას და უშუალოდ ზეციურ ძალებს მიმართავდა. დილეგშიც ესმოდა იდუმალი ხმები, მათგან იღებდა ძალებსა და მხნეობას. ბრალდებული არ ნებდებოდა — ეს კი ინკვიზიციურ პროცესებში ძალიან იშვიათი მოვლენა იყო.

ჟანას სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ, ზიარებას უკრძალავდნენ, მაგრამ მისი სიმტკიცე ვერ შეარყიეს. დანაშაული აშკარა იყო: "ცოდვათა არმონანიება". საეკლესიო სასამართლომ ყოყმანი შეწყვიტა და საერო სამართლის კომპეტენციაში გადასცა ბრალდებული. რუანის კომენდანტი ამ განაჩენს ელოდა. ახალი პროცესის გაუმართავად მან ბრძანა, მოწყალების გამოყენებით საჯაროდ კოცონზე დაეწვათ ჟანა. მოწყალების გამოყენება აქ კოცონის აგიზგიზებამდე საბელით მოხრჩობას ნიშნავდა. განაჩენი 1431 წლის 30 მაისს აღსრულდა.

მოედანზე შეკრებილთაგან ერთი ფიქრობდნენ, რომ სულელი მეფის მაცდუნებელი ჯადოქრობა დაემხო, მეორენი კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წმიდა მოწამეობრივ სიკვდილს ესწრებოდნენ.

ჟანას მიერ მოხდენილი ყველაზე დიდი სასწაული იყო უიმედობის განქარვება. შემართებამ, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგაც არ დამცხრალა რამდნიმე წელიწადში გაათავისუფლა საფრანგეთი უცხოელი დამპყრობლებისაგან. ჟანამ საფრანგეთის ეროვნულ ერთიანობას მიაღწია.

უკვე მკვიდრად გამეფებულმა შარლ VII-მ მოითხოვა განაჩენის გადასინჯვა, რათა არავის ეთქვა, თითქოს მისი მეფედ კურთხევა ჯადოქრის ხრიკებით მოხდა. არავის უნდოდა ამ საქმის გახსენება: რომის პაპს არ სიამოვნებდა მეამბოხის გამართლება, პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგებს — თავიანთი მარცხის აღიარება. გაუთავებელ ყოყმანს კარდინალმა **ესტუტვილმა** მოუღო ბოლო: ის წარმოშობით ნორმანდიელი იყო და მისი გვარი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ინგლისელებს.

1455 წელს ახალი ინკვიზიციური სასამართლო შეიკრიბა ორლეანში. ამ დროს პირველი პროცესის მონაწილეთა უმრავლესობა უკვე ცოცხალი აღარ იყო. ერთადერთი მოწმე, თეოლოგი, **ჟან ბოპერი** ამტკიცებდა, რომ ჟანას ხილვები სრულიად ბუნებრივი იყო, ადამიანის ნების შედეგს წარმოადგენდა და არა ზეციურ ძალთა გამოვლენას. მოხუცი ინკვიზიტორი მტკიცედ იდგა თავის აზრზე, მაგრამ მისი ჩვენებები არავის გაუთვალისწინებია. უმთავრესი როლი იურისტებმა შეასრულეს, რომლებმაც 1431 წლის პროცესში უამრავი პროცედურული შეცდომა მოიძიეს და სასამართლო დადგენილება ბათილად სცნეს. ეს ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილება იყო: სიფრთხილე ყველას კარნახობდა, რომ მეამბოხის განდიდებას შეიძლება სახიფათო შედეგები მოჰყოლოდა. ჟანას რეაბილიტაცია აღსრულდა.

სხვა დროსაც, თუმცა ჟანას სახე მკაფიოდ შერჩა საფრანგეთის ისტორიულ მეხსიერებას, მისი პიროვნების შეფასებაში პოლიტიკური აქცენტები დომინირებდა. XVIII საუკუნემ, თავისი მთავარი ტრიბუნის, **ვოლტერის** პირით მასხრად აიგდო ორლეანელი ქალწული, მისტიკური საფარველის მოხდას შეეცადა. მაგრამ დიდი რევოლუციის შედეგად XIX საუკუნის დასაწყისში აღძრულმა ნაციონალისტურმა ტალღამ მკვდრეთით აღადგინა ჟანას მოგონება. ამას კათოლიციზმის ახალი აყვავება, შუასაუკუნეობრივი ისტორიისადმი რომანტიული სწრაფვა და ჰუმანიტარული ერუდიციის განვითარება დაემატა: პროცესის მასალათა კრიტიკული გამოცემა გამოვიდა.

მემარჯვენეები სამეფო შრომანთა გარემოცვაში წარმოიდგენდნენ ორლეანელ ქალწულს — სახელმწიფო დაწესებულებათა და საეკლესიო ტრადიციათა მფარველს. ასე გამოისახა იგი **ენგრის** მიერ შექმნილ ტილოზე.

მემარცხენეები მასში ხალხის ჭეშმარიტი შვილის სულისკვეთებას განადიდებდნენ, რომელმაც ცბიერი და მოღალატე სამღვდელოების წინააღმდეგ გაილაშქრა. ასე აღწერა იგი ისტორიკოსმა **მიშლემ**.

კათოლიკურ ეკლესიასაც აღმოაჩნდა თავისი ინტერესი. პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი საფრანგეთის რესპუბლიკა ძალიან საერო გამოდიოდა. საჭირო იყო მისი ძირითადი სიმბოლოს ოდნავ მაინც გაქრისტიანება. 1920 წელს წმიდა საყდარმა ხანგრძლივი პროცესის შედეგად ჟანა დ'არკი წმინდანად შერაცხა.

დომინიკ ენგრი – ჟანა დ'არკი

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

რობოტები იაპონური კულტურის სახლში

რობოტები, ურთიერთობა ადამიანებსა და კიბერნეტიკულ სამყაროს შორის, ამ თემაზე გამართული გამოფენები, შეხვედრები და სპექტაკლებია დაგეგმილი პარიზში ახლად გახსნილ იაპონიის კულტურის სახლში.

ედოს (1603-1868) ეპოქის ავტომატები, რომლებიც რობოტების სახით ადამიანების გვერდით არსებობდნენ; გარდა ამისა, 2000 წელს ჰონდას ფირმის მიერ შექმნილი – ASIMO, რომელსაც ცეკვის რამდენიმე ილეთის გაკეთებაც კი შეუძლია, ყველაფრის ნახვა შეგეძლებათ გამოფენაზე, რომელიც "კიბერნეტიკული ფანტაზიების" სახელწოდებით გაიხსნა და სრულად ასახავს იაპონელების დამოკიდებულებას რობოტების, უმაღლესი ტექნოლოგიების მანქანების, როგორც ადამიანის ერთგული მეგობრის მიმართ.

სანამ ფეხს "ნიპონის" (ამ ტიპის რობოტებს იაპონელები როგორც ჰუმანოიდებს, ისე უყურებენ) მომხმარებელთა სალონში შეადგამდეთ, წინ ოსამუ ტეზუკას მიერ 1952 წელს შექმნილი Astro Boy დაგიხვდებათ, რომელიც ამ განზომილების გმირს წარმოადგენს.

ექსპოზიციის გული შვიდი ინსტალაციაა, რომლებიც რობოტების და ადამიანის სამყაროს ინტერაქტივს წარმოადგენს.

მაუვა დენკის "არტისტული" ნამუშევარი, რომელიც მუსიკალური აბსურდის მანქანებს წარმოადგენს, ცნობების მიღების ელექტრონული უნიკალური საშუალებაა. ტოშიო ივაის Happy Robo Room, რომელიც ერთგვარი ინტერაქტიული ოთახია, ღილაკზე თითის დაჭერის შემთხვევაში ფანჯარაზე წვიმას უშვებს.

მთელ ამ სიამოვნებას იაპონიის კულტურის სახლი 6 ნოემბრიდან 31 იანვრამდე წარმოადგენს. გარდა ამისა, დამთვალიერებელს იაპონური ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების ციკლი ელის.



ლალო შიფრინი

(დირიჟორი,პიანისტი,კომპოზიტორი)

და საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვახტანგ მაჭავარიანი

დიდი მაესტროს, ლალო შიფრინის კონცერტზე ახლებურად განიცდით და გაიაზრებთ ეკრანზე ნანახს. ამ მოგზაურობაში იგრძნობთ იმ საფრთხეს, რომელიც უკვე კარგად ცნობილი ფილმების გმირებს ემუქრებათ. მოხვდებით სხვადასხვა საუკუნეში, იმღერებთ, იცინებთ, შეხვდებით თქვენს სიყვარულს, ფინალში კი გელით ტრიუმფი. ეს მუსიკა დაგეხმარებათ, ერთხელ უკვე განცდილი გრძნობა, უფრო მძაფრად შეიგრძნოთ და განიცადოთ.

საკონცერტო პროგრამა:

,,რაც დრო გადის-(As Time Goes By) კინოფილმიდან ,,კასაბლანკა-(Casablanca)
,,ტარას თემა-(Tara's Theme) ,,ქარწაღებულნი-(Gone With The Wind)
,,მთვარის მდინარე,-(Moon River) ,,საუზმე ტიფანისთან-(Breakfast At Tiffany's)
ჯეიმს ბონდის თემა ,,ცინცინატის ბიჭუნა-(Cincinnati Kid)
,,სასიყვარულო თემა-(Love Theme) ,,ნათლიმამა- (The Godfather).
მუსიკა პოლიეუდის კლასიკად ქცეული კინოფილმებიდან:
,,დოქტორ ჟივაგო-(Dr. Zhivago), ,,ლორენსი არაბეთიდან-(Lawrence Of Arabia),
,,ბერძენი ზორბა-(Zorba The Greek), ,,მესამე კაცი-(The Third Man). კოსმიური თემები კინოფილმიდან ,,ვარსკვლავური ომები-(Star Wars)
თემები ვესტერნიდან:,,ნაშუადღევს-(High Noon), ,,შესანიშნავი შვიდეული-(The Magnificent Seven), ,,კარგი, ცუდი, ბოროტი-(The Good, The Bad, The Ugly)
,,მისია:შეუსრულებელია-(Mission: Impossible) და ბევრი სხვა

გენერალური სპონსორი:

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

Cinema Rustaveli
რუსთაველი

EASTERN PROMOTION Tel: 95-40-01,
E-mail: eastern@caucasus.net
www.easternpromotion.com
www.schidrin.com

6 . 11.2003
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

სკანვორდი



TV პროგრამა

5 ოქტომბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა. "ლაციო"-"ჩელსი" **17.30** სერიალი "ჯადოქარი" **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.25** სერიალი "მაშველები" **19.10** დოკ. ფილმი "ჯაზი" **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"ლიონი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "წარსული ცხოვრების დრამა" **11.30** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** დოკ. სერიალი "ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.35** ზღვარი **15.15** მხ. ფილმი "პოლდენის ვეალდაკვალ" **16.50** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.10** 50-50 **17.45** მულტსერიალი "კიტუ" **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი "კორდეების ოჯახი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "მათი შვილები" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი გაჩერება" .

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მის დეიზის მძღოლი" მთ. რ-ში მორგან ფრიმენი, ჯესიკა ტენდი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "იაგუარი". მთ.რ-ში ჟან რენო, პატრიკ ბრიუელი. **02.00** "ღამურა" "ჭრიჭინა" მთ. რ-ში კევინ კოსტნერი, კეტი ბეიტსი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "მალენა" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "მტერი კარიბჭესთან"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "ლორები" **21.00** და არს მუსიკა **21.30** ქვეყნები - ლიბანი. მე-2 ნ. **22.10** მხ. ფილმი "ორნი ქალაქში"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ცხოველი" **13.30** მხ. ფილმი "ამერიკული თავგადასავალი" **15.00** მხ. ფილმი "გასეირნება ამერიკაში" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ოცნების ზღვარი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ჯუმანჯი" **22.30** მხ. ფილმი "სულელები"

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი "საპაერო პოლიცია" **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მტარტ-უპის შთამომავლობა" **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "საპაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მწერთა ომი"

მესხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი "ნეკრესი" **10.15, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მდინარე სუჩიუს საიდუმლო" **13.15** "ცხელი ცხრიანი" **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 1-ლი ს. **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი "უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ღამის ექიმები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი "მოჯადოება" **22.10** კონცერტი. "ელო" **23.45** მოკლ. მხ. ფილმი "ხანძარი" **00.30** მხ. ფილმი "რობერტი და კლარა"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.10** სერიალი "გვირაბი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "იმპერია ნობლ ჰაუზი" **15.15** მხ. ფილმი "მკვლელობა უცხო ქალაქში" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 01.10** ქრონიკა **17.25** მულამები **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** მხ. ფილმი "უპრობლემოდ" **21.30** არტ-ბულვარი **23.15** მხ. ფილმი "მაქსი და იერემია"

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** საოთავადასავლო ფილმი "რთული ბავშვი-2" **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "აგენტი ჯონი ინგლისში" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** დრამა "დედა-ღამე" **16.20** მულტფილმი "ტექს-ავერი" **17.25** "ქართული კინო" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.15** კომედია "რვა ქალბატონი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.10** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" 3 ს. **02.25** დოკუმენტური ფილმი **03.40** თრილერი "პრეცენდენტი"

VII არხი

09.10 მელოდია **09.20** "აჩიკუდა" **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** სპორტული პროგრამა "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმ.) **10.30** მობილურები **10.50** ავტომტრეკინგი (განმ.) **11.50** ტელესერიალი "გრაფინია დე მონსორო" **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.45** სპორტული პროგრამა "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.20** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **22.10** მობილურები **22.45** "კინოკლუბი " - "მწვანე მილი". მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: ტომ ჰენკსი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი "ჯვაროსნული ლაშქრობა" **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე

ОРТ

07.00 "Доброе утро" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 10.20 Комедия "БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ"** 1-я с. **11.30 Сериал "ЗНАХАРЬ"** 2-я с. **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20** Город женщин **14.00 Детектив "ПРОЩАЛЬНАЯ ГАСТРОЛЬ "АРТИСТА" 15.30** Новые чудеса света. "На пути всемирного потопа" **16.20, 01.50** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 18.00** Большая стирка **19.30** Смехопанорама **20.50 Сериал "ПОБЕГ" 22.00, 00.30** Время **22.30 Комедия "БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ"** 2-я с. **23.40** "Человек и закон" **00.50** "Большой взрыв" **01.20** "Лики Туниса" **02.10 Комедия "ДОКТОР ГОЛЛИВУД"**

РТР

05 06.00 Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 10.45** Сам себе режиссер **11.45, 14.45, 17.30, 00.50** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Короткое замыкание **13.45 Сериал "КИДНЕПИНГ" 15.30** Что хочет женщина **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Городок **21.50** Спокойной ночи, малыши! **00.00** Вести+. **00.20** "Исторические хроники". "1906. Александр Блок" **01.30** Народный артист **01.40 Худ. фильм "ФАНАТ" 03.25** Дорожный патруль **03.40 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 04.35 Сериал "ТИТАНЫ"**

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.50, 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок: Италия-Россия **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20** Сегодня **13.35** Мультфильм "Прометей" **13.55 Детектив "ОДИН И БЕЗ ОРУЖИЯ" 15.35** По праву **16.35** "Друзья мужа -мои враги". Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Чистосердечное признание **20.35, 01.10 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ" 02.45** Гордон **03.35** Футбол. "Интер" - "Локомотив". Лучшие моменты матча. **03.55** Ленивая ночь

უმდიდრესნი და ულამაზესნი

გაზეთ "სანდი თაიმსის" ბოლო ნომერში გამოქვეყნებული მდიდართა ნუსხა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სუპერმოდელებს მძიმე ცხოვრება, მაგრამ ისეთი ანაზღაურება აქვთ, რომ დაღლას იოლად ივიწყებენ.

მართალია, სიას სათავეში რუსი მილიარდერი, "ჩელსის" საფეხბურთო კლუბის მფლობელი რომან აბრამოვიჩი 564 მილიონი გირვანქა სტერლინგით უდგას, მაგრამ იქვე არიან მოდის სამყაროს წარმომადგენლებიც: ერინ ო`კონორი, 5 მილიონი გირვანქა სტერლინგით, ერთადერთი 30 წლამდე ქალბატონია, რომელიც პირველ ათეულში მოხვდა. მის შესახებ კარლ ლაგერფელდი ამბობს: "ერინი ერთ-ერთი უდიდესი მოქმედი მოდელია. მისი სახე რომაულ ლარნაკს ჰგავს – არასტანდარტული მშვენებით ის თანამედროვე ანტი-სილამაზეა". სიაში ასევე შედიან: რუსი მოდელი ნატალია "სუპერ" ვოდიანოვა (230-ე ადგილი, 3.6 მილიონი), კეიტ მოსი (256-ე, 3.15 მილიონი), მილა იოვოვიჩი (259-ე, 3.1 მილიონი), ვივიენ სოლარი (386-ე, 2.2 მილიონი), ელიზაბეტ ჰარლი (396-ე, 2.15 მილიონი) და სოფი დალი (489-ე, 1.75 მილიონი).

ნატალია ვოდიანოვა - რუსული ბაზრიდან მდიდართა ნუსხაში

მოსი - ახალი ნიკო

თუ მუსიკალური ჯგუფის "ფრაიმალ სქრიმის" ლიდერს ბობი გილესპის დავუჯერებთ, კეიტ მოსი მალე ვარსკვლავი სულ სხვა დარგში გახდება. "კეიტმა ჩვენთან ერთად რამდენჯერმე იმღერა. ჩანაწერები სტუდიაშიც გავაკეთეთ. მას შესანიშნავი ხმა აქვს, დაახლოებით ისეთი, როგორიც "ველვეთ ანდერგრაუნდში" ნიკოს ჰქონდა", - აცხადებს ბობი და მოსს გზას ულოცავს მუსიკალურ სამყაროში.

თუმცა, სუპერ-მოდელი არა მხოლოდ მღერის. შილიფად ჩაცმული კეიტი "ფრაიმალ სქრიმის" რამდენიმე კლიპსაც ამშვენებს. ბოლოს ის ჯგუფის სინგლშიც Some Velvet Morning გამოჩნდა და მოკლე, თითქმის გამჭვირვალე კაბითა და თასმებიანი პანტალონით მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას მალე "უაით სთრაიფსის" კლიპშიც I Just Don't Know What To DO With Myself ვიხილავთ.

კეიტ მოსი სერიოზულად ამღერდა

"ჰაი თექის" მოდა

წარმოშობით უელსელი დიზაინერი ჯულიენ მაკდონალდი აქამდე ნაქსოვ ტანსაცმელთან ასოცირდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც კორპორაცია "ინტელთან" დადო კონტრაქტი, სუპერ-ტექნოლოგიური ჩანთების კერვა დაიწყო. მისი ხელჩანთები განკუთვნილია ლეპტოპების ჩასადებად და ძალზე მოდურად გამოიყურება: "ხშირად მინახავს ხოლმე, როგორ აკაკუნებდნენ თავიანთ ლეპტოპებზე დიზაინერები და მოდელები, მაგრამ ისიც აშკარად შემიმჩნევია, როგორ ეუხერხულებოდათ მათ კომპიუტერების გამოჩენა და როგორ მალავდნენ ხელსაწყოებს სკამის ქვეშ. ჩანთების შეკერვა სწორედ მათთვის გადავწყვიტე – საქმიანი ქალებისთვის, რომლებიც სავსე სოციალურ ცხოვრებას ეწევიან, თანამედროვე ტექნიკაზე ყოველდღიურად არიან დამოკიდებულნი, მაგრამ თან სურთ, მოდურებიც იყვნენ", - აცხადებს მაკდონალდი. საგანგებოდ "ინტელისთვის" შეკერილი მისი ჩანთები შავ და თეთრ ფერში იყიდება და ლეპტოპსა და ყველა საჭირო ატრიბუტს "მოდურად" იტევს.

მოდელების ომი

ამერიკაში მოდელების სააგენტო Models 1 თავის კონკურენტს, ICM Models უჩივის - ყველაზე კარგი სახეები წაგვართვაო. ამის გამო მრავალ წარმატებულ და მაღალი ანაზღაურების მქონე მოდელს, როგორებიც ელიზაბეტ ჯაგერი, ერინ ო`კონორი და ალეკ ვეკი არიან, კონტრაქტის პირობების დარღვევაში დასდეს ბრალი.

ჟურნალ "ვოგის" ინტერნეტული ვერსიის ცნობით, გასულ კვირაში სააგენტომ ადვოკატებს მიმართა და მოდელებისა და ორი ყოფილი თანამშრომლის წინააღმდეგ პროცესი დაიწყო. მთელი ამ ორომტრიალის მიზეზი ის გახდა, რომ მოდელებს ICM Models-თანაც დაუწყიათ თანამშრომლობა. "ჩვენ ამ საქმეს ძალიან სერიოზულად ვუყურებთ," განაცხადა Models 1-ის საწარმოო დირექტორმა, ჯონ ჰორნერმა.

ელიზაბეტ ჯაგერმა, მოდელ ჯერი ჰოლისა და მიკ ჯაგერის ასულმა, განაცხადა, რომ მსგავსი საჩივრებისა სულ არ ეშინია. "სანდი ტელეგრაფისთვის" საგანგებოდ ამ ამბებთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: "თუკი ვინმეს იმის დაჯერება უნდა, რომ მე ICM-თან თანამშრომლობის დასაწყებად ვიღაცამ რაღაცაში დამაჯერა, რამით მომხიბლა ან ძალა დამატანა, ძალიან შემცდარა". მოდელის აზრით, უბრალოდ, ICM-ში კარიერის გასაგრძელებლად ბევრად უკეთესი პირობები ყოფილა.

ამ სააგენტოს ხელმძღვანელი, გევინ მაიალი აცხადებს, რომ Models 1-თან ბრძოლა აზრადაც არ მოსვლია, მას მხოლოდ ლამაზი ქალების მოზიდვა უნდოდა, ესაა და ეს. და საიდან მოვიდნენ ეს ქალები - სააგენტოს ეს ყველაზე ნაკლებად აღელვებს.

მედიებმა სასწრაფოდ გაიხსენეს, რომ წელს, მაისში, მოდელების სააგენტოებთან დაკავშირებით კიდევ ერთი ხმამაღალი ამბავი დატრიალდა. საქმე ის გახლავთ, რომ სააგენტო IMG-ს დამაარსებლის, მარკ მაკორმაკის გარდაცვალების შემდეგ, სააგენტოს გაყიდვასთან ერთად ისეთი სუპერმოდელების გაყიდვაც დაიწყო, როგორებიც ჟიზელ ბუნდხენი, ჰაიდი კლუმი და ტაირა ბენქსი არიან.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.